პარლამენტმა ბიუჯეტი "გადააგორა" A2

საახალწლო საჩუქარი - 24-საათიანი ელექტრომომარაგება A4

"თქვენი აფხაზეთი" B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2004 წელი. №309 (858)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# მილიონერების ლატაკი ქვეყანა

## ანაბრების საიდუმლო

წერილი მესამე

პაატა ვეშაპიძე

"ლარი ჩვენი არსობისა"

**"მე არ ვიცი, რა მონაცემები აქვს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს. ვის სურს ჩვენი სამანეთო ზონაში მიღება და თუ სურთ, რის ფასად? მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ეჭვიც არ მეპარება, რომ თუ რუსეთი მიგვიღებს სამანეთო ზონაში, ჩვენთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის სტატუსი კი არა, რუსეთის გუბერნიის სტატუსიც დიდი იქნება. სამანეთო ზონაში მიღების სასფასურად რუსეთი წაიღებს ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნია, წაიღებს ყველაფერს, ღირსების ჩათვლით. თუ ეს მოხდა, სახელმწიფოებრიობაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იქნება!"** – ამბობს რევაზ შავიშვილი 1994 წლის 17 იანვარს "კავკასიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში. რუსულ წიაღში დაბრუნების მომხრეები "კარაქის მთებითა და რძის მდინარეებით" ცდილობდნენ უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დაშანტაჟებას, მაგრამ ყველა კარგად ხვდებოდა, რომ სამანეთო ზონაში შესვლის ფასი ქვეყნის დამოუკიდებლობა იქნებოდა. ამიტომ სამანეთო ზონის მომხრეები საზოგადოებაში არაპოპულარულნი იყვნენ. გარდა ამისა, რუსეთუმეების დამარცხებას თავად მანეთმაც შეუწყო ხელი.

1994 წლის ბოლოს რუსეთის სავალუტო ბირჟაზე მანეთის კურსი კატასტროფულად ეცემოდა. საქართველოს ეროვნული ბანკი თბილისის სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციებსაც კი ახორციელებდა, რათა მანეთისთვის მსყიდველობითი უნარი შეენარჩუნებინა. სამაგიეროდ, 1994 წლის ბოლო სამ თვეში და 1995 წლის პირველ სამ თვეში კუპონმა სერიოზული ნახტომი გააკეთა გამყარების თვალსაზრისით. ამ ექვსი თვის მანძილზე კუპონის კურსი აშშ დოლარის მიმართ ოთხჯერ, რუსული რუბლის მიმართ კი ექვსჯერ და მეტად გამყარდა. გათანაბრება დაიწყო უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორების კურსმა. ყოველივე ამის შემდეგ სამანეთო ზონაზე საუბრები ბუნებრივად შეწყდა. ქვეყანა ეროვნულ ვალუტაზე გადასასვლელად ემზადებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სინათლე გაუფასურებული ანაბრების გვირაბის ბოლოს

გიორგი ასანიშვილი

*ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბურუსით მოსილ ანაბრების გაუფასურების საკითხს მალე, ალბათ, ნათელი მოეფინება. ყოველ შემთხვევაში, ამ მიმართულებით პირველი საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგმულია: მომხსენებელთა საპარლამენტო ჯგუფმა, ვასილ მაღლაფერიძის ხელმძღვანელობით, გუშინ დეპუტატებს ის გზა უჩვენა, რომლითაც კონკრეტული დამნაშავეების დადგენა შეიძლება.*

ვასილ მაღლაფერიძის აზრით, ანაბრების გაუფასურების პროცესში ანგარიშგასაწევია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები. მომხსენებელი ობიექტური გარემოებებიდან გამოყოფს საბჭოთა ეკონომიკის ნგრევის შედეგად განვითარებულ მოვლენებს, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება მას მოუმზადებელი შეხვდა და ვერ შეძლო უმძიმესი შედეგების თუნდაც ოდნავ შერბილება.

**"მიუხედავად იმისა, რომ პროცესები ვითარდებოდა აბსოლუტურად ობიექტურად**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ზვიადაური საქართველოს საუკეთესო სპორტსმენია

B4



*სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა.*

ვახო ბესელიას ფოტო




## ეკონომიკა

### გეგმა შესრულებულია



წელს ბიუჯეტში პრივატიზებიდან 70 მილიონ ლარზე მეტია შესული.

A4

## უცხოეთი

### ვისთან საუბრობდა გეორგი კირპა სიკვდილის წინ?



უკრაინის ტრანსპორტის მინისტრის სიკვდილი სულაც არ არის უბრალო მოვლენა და შესაძლოა, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებთან ჰქონდეს კავშირი.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A6

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 29/12 | 30/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 13 |
| ქუთაისი | 17 | 17 |
| ბათუმი | 19 | 19 |
| სოხუმი | 17 | 14 |
| ფოთი | 18 | 18 |
| თელავი | 12 | 12 |
| ზუგდიდი | 18 | 17 |
| გორი | 11 | 11 |
| ახმეტა | 12 | 12 |
| ჭიათურა | 12 | 13 |
| გაგრა | 16 | 12 |
| სამტრედია | 17 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8050 |
| ევრო | 2.4600 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4968 |
| რუბლი | 0.0650 |

# ერთი თვითმფრინავი ფულის ამბავი

გურამ აბსანძე ტელედებატებში იწვევს თენგიზ სიგუას

ვერიკო თევზაძე

*1991 წლის დეკემბრის ბოლოს პერმიდან საქართველოსკენ გეზი აიღო თვითმფრინავმა, რომლითაც მილიონები გადმოჰქონდათ. ამ თვითმფრინავზე დღემდე ათასგვარ ამბავს ჰყვებიან. ერთ-ერთი ვერსიით, თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. თუმცა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროინდელი ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, რომელიც პირდაპირ კავშირშია ფულით სავსე თვითმფრინავის ისტორიასთან, ამას მტკნარ სიცრუეს უწოდებს. აბსანძე აცხადებს, რომ ფული პატიოსნად ჩაბარდა ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალს. "24 საათმა" აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გურამ აბსანძეს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.*

**- გვიამბეთ ამ ისტორიის შესახებ.**

- პერმიდან საქართველოში წამოვიდა 385 მილიონი, რომელიც შენახული იქნა ეროვნული ბანკის ქუთაისის საცავში. ეს იყო 26 თუ 27 დეკემბერს. ერთი კვირის შემდეგ, 5 იანვარს ჩვენ დაგვამხეს და ეს ფული დაიტაცა იმდროინდელმა ხელისუფლებამ. ეს იყო და ეს.

**- რას უნდა მოხმარებოდა 385 მილიონი მანეთი?**

- ეს იყო სამი თვის სახელფასო და საპენსიო თანხა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩვენ გვინდოდა, რომ საახალწლოდ მოსახლეობისთვის ხელფასები და პენსიები დაგვერიგებინა.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თვითმფრინავში თქვენც იჯექით?**

გაგრძელება A8 გვერდზე

# ჩინეთმა ნავთობი აღმოაჩინა

რუსეთი აღელვებულია

დიანა ჩაჩუა

*ყვითელი ზღვის ბოხაივანის ყურეში აღმოჩენილმა ნავთობის საბადომ ნავთობსამყაროს უდიდესი დაინტერესება გამოიწვია. საუბარია ჩინეთის მიერ აღმოჩენილ, ცხრა მილიონი ტონა ნავთობის მქონე საბადოზე, რომელსაც ნავთობის მსოფლიო ბაზარზე სერიოზული ცვლილებების მოხდენა შეუძლია.*

ჩინურმა მედიამ ბევრი ნავთობექსპორტიორი ქვეყნისათვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა. უახლოეს მომავალში ჩინეთი, შესაძლოა, ნავთობის იმპორტიორი ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნად გადაიქცეს. ჩინური მედიის ინფორმაციით, აღმოჩენილია უზარმაზარი ნავთობსაბადო, რომელიც, ბევრი ექსპერტის აზრით, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს.

წინასწარი ინფორმაციით, ყვითელ ზღვაში აღმოჩენილი ნავთობი ცხრა მილიარდ ტონას შეადგენს, თუმცა საერთო მარაგებმა, შესაძლოა, 20,5 მილიარდი ტონა შეადგინოს. როგორც სახელმწიფო კორპორაცია "Sinopec"-ის საგამომძიებლო, დაზვერვის და მოპოვების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ცზინია ჩჟიცზუნიამ განაცხადა, აღმოჩენილი საბადო ჩინეთს საშუალებას მისცემს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკუთარი ენერგორესურსები გამოიყენოს და, ამასთან, ნავთობის ექსპორტიც განახორციელოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მთავარი თემა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 პროექტი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახალქალაქში სომხურად იცეკვა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რეგიონებისთვის ახალი წლის მილოცვა გუშინ ახალქალაქიდან დაიწყო, სადაც მას მოსახლეობა საზეიმო ვითარებაში დახვდა. სააკაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას სამ ენაზე მიმართა და განუცხადა, რომ სულ მალე რეგიონში გზების რეაბილიტაცია დაიწყება. ამასთან, მისი თქმით, მომავალი წლისთვის ამავე რეგიონში კონკურსის საფუძველზე 100 ახალგაზრდა შეირჩევა, რომლებიც უმაღლეს განათლებას თბილისში მიიღებენ, დაენიშნებათ სტიპენდია და სწავლის შემდეგ ისინი კვლავ საკუთარ რეგიონს დაუბრუნდებიან.

სააკაშვილი მოსახლეობას სოციალური პრობლემების მოგვარებაზეც ესაუბრა. იგი ერთ-ერთ პენსიონერს სახლში ესტუმრა და საახალწლო საჩუქრები გადასცა. პრეზიდენტის განცხადებით, ახალქალაქის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების მხრიდან ყურადღება იგრძნოს.

ოფიციალური ღონისძიებების შემდეგ სააკაშვილი ახალქალაქიდან თბილისში დაბრუნდა. **პრაიმ-ნიუსი**

# კოკოითის ხელისუფლება მიხეილ ქარელს თვითნებობაში ადანაშაულებს

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისკენ მოძრავი ავტომანქანების დაკავებაში სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს მიხეილ ქარელს ადანაშაულებს. როგორც ჩოჩიევი აცხადებს, მანქანებით ჰუმანიტარული ტვირთი ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გავლით გადაჰქონდათ და ისინი უშუალოდ ქარელის მითითებით გააჩერეს.

“ასეთ ვითარებაში, საინტერესოა, როგორ მოახერხებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია 30 დეკემბერს ცხინვალის გავლით ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში შესვლას," - აღნიშნა ჩოჩიევმა.

მისივე თქმით, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ არ იცის, რა ხდება და ქარელი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. “იქნებ, ქართულმა მხარემ განაცხადოს, რომ ქარელი ქვეყნის პრეზიდენტია," - დასძინა ჩოჩიევმა.

თავად შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის განმარტებით კი, აღნიშნული ტვირთი კონტრაბანდულია და იგი ჰუმანიტარული რომც იყოს, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებში შესაბამისი პროცედურა უნდა გაიაროს. “კოკოითმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს, რომ საქართველო სახელმწიფოა და მის კანონებს უნდა დაემორჩილოს," - აღნიშნა მან. **მედია-ნიუსი**

# საარჩევნო "ჩანახატი" ბელაია ცერკოვიდან

*"გმადლობთ, ქართველებო, ჩვენ გვერდით რომ ხართ. გადაეცით თქვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომ იგი ძალიან მოგვწონს. ამასწინათ პუტინი იყო ჩამოსული უკრაინაში. ტელევიზიითაც გამოვიდა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, უკრაინელებს მათ მშობლიურ ენაზე მისალმებოდა და, უბრალოდ, ეთქვა - "დობრი დენ". თქვენი პრეზიდენტი კი ჩვენ უკრაინულად მოგვმართავს. იცით, ეს როგორ გვსიამოვნებს? ვიცი, რა ხდებოდა თქვენთან. ახლა როგორ ცხოვრობთ? უკეთესად? თქვენ ჩვენთვის სტიმული ხართ. ძალიან მიხარია, რომ ამ პატარა ქალაქში დამკვირვებლებად ქართველებიც ჩამოხვედით," - ამ სიტყვებით შეგვხვდა ქართველ დამკვირვებლებს კიევის ოლქში მდებარე რაიონული ცენტრის, ბელაია ცერკოვის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის თავმჯდომარე. დაძაბული დღის მიუხედავად (ჩვენი საუბარი სწორედ კენჭისყრის დღეს შედგა), იგი მაინც ცდილობდა, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე რაც შეიძლება ბევრი გაეგო.*

თამარ მჭედლიშვილი

62 წლის სერგეი ლისეცკი საუბნო საარჩევნო კომისიაში ვიქტორ იუშენკოს კვოტით მოხვდა. მას საქართველოს შესახებ ყველაფერი აინტერესებს - რა შეიცვალა ჩვენთან ბოლო ერთი წლის მანძილზე, უკეთ ვცხოვრობთ თუ არა, რამდენია ჩვენთან ხელფასი, პენსია...

თუმცა მისი ბევრი შეკითხვა უპასუხოდ დარჩა - დიდხანს საუბრის დრო არც მას ჰქონდა და არც ჩვენ - იმ დღეს ბელაია ცერკოვი საკუთარ არჩევანს აკეთებდა. ამავე დროს, პირველად ქალაქის ისტორიაში, იქ გამართულ არჩევნებს რამდენიმე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებიც ადევნებდნენ თვალს.

...რაიონული ცენტრი ბელაია ცერკოვი კიევისაგან 100 კილომეტრითაა დაშორებული. ქალაქი, სადაც (კიევისაგან განსხვავებით) ცხოვრების ტემპი დუნეა, პოლიტიკურად მაინც საკმაოდ აქტიური აღმოჩნდა - მეორე ტურის ხელახალ არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიიღო.

კენჭისყრის მსვლელობას, როგორც უკვე ვთქვით, თვალს ადევნებდნენ საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები და უცხოელი დამკვირვებლები, რაც ბელაია ცერკოვის მოსახლეობისთვის ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა. "როგორც ჩანს, ჩვენი არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკრაინაში ამდენი უცხოელი დამკვირვებელი ჩამოვიდა. ჩვენს უბანზე თქვენამდე უკვე იყვნენ ესტონელი, პოლონელი, ლიტველი დამკვირვებლები," - ეს უკვე მეორე საარჩევნო უბანზე გვითხრეს.

წინასწარ ვიტყვით, რომ ბელაია ცერკოვის ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა ვიქტორ იუშენკოს მისცა. კენჭისყრის შედეგები ვიქტორ იანუკოვიჩის მომხრეებს არ გაუპროტესტებიათ, რადგან წინასწარ ისედაც ცნობილი იყო, რომ ამომრჩეველთა, მინიმუმ, 70 პროცენტი სწორედ ვიქტორ იუშენკოს მისცემდა ხმას.

ბელაია ცერკოვში, ისევე, როგორც მთელს უკრაინაში, პოლიტიკოსების მიერ დათქმული წესი მოქმედებდა - ლუწნომრიანი საარჩევნო უბნების თავმჯდომარეები ვიქტორ იუშენკოს წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო კენტნომრიანებს ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერები თავკაცობდნენ.

თავად კომისიებში ორივე კანდიდატის წარმომადგენლები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი, ისევე, როგორც მათი დამკვირვებლები. იანუკოვიჩის მხარდამჭერებმა კარგად იცოდნენ, რომ ბელაია ცერკოვში არჩევნები დაწყებისთანავე უკვე წაგებული იყო. თუმცა, მათთვის მთავარი იყო, სცოდნოდათ - ხმათა რამდენ პროცენტს მოიპოვებდა იანუკოვიჩი.

თანაც, დამკვირვებლები ვიქტორ იანუკოვიჩის მხრიდან ადგილობრივები არ ყოფილან - მათი უმრავლესობა ქალაქში დნეპროპეტროვსკიდან და ხარკოვიდან იყო ჩასული და არჩევნების დასრულებისთანავე უკან გაემგზავრნენ.

კენჭისყრის მსვლელობისას ბელაია ცერკოველებსა და იანუკოვიჩის მომხრეებს შორის თბილი ურთიერთობები ნამდვილად არ დამყარებულა. თუმცა, მათ ერთმანეთში არც ჩხუბი არ მოსვლიათ - ორივე კანდიდატის ინტერესების დამცველები ერთმანეთს, უბრალოდ, არ ეკონტაქტებოდნენ. სამაგიეროდ, აქტიურობდნენ იანუკოვიჩის კვოტიდან დანიშნული კომისიის წევრი ქალბატონები. ერთ-ერთი ლუწნომრიანი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი, რომელიც იანუკოვიჩის მხარეს წარმოადგენდა, უცხოელ დამკვირვებლებს იმას შესჩიოდა, რომ კომისიის თავმჯდომარე საკმაოდ ახალგაზრდა იყო და საარჩევნო კანონმდებლობა არ იცოდა.

"კონკრეტულად, რა შენიშვნები გაქვთ? კანონის რომელი მუხლი დაარღვია მან? დაწერეთ თუ არა საჩივარი დარღვევებზე?" - შევეკითხეთ ამ ქალბატონს. "არა, ჯერ არაფერი დაურღვევია, მაგრამ შეხედეთ, რა ახალგაზრდაა! ამ ბიჭმა რა უნდა იცოდეს არჩევნებზე..." - იყო პასუხი...

ერთი სიტყვით, ბელაია ცერკოვში უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები საკმაოდ მშვიდობიანად დასრულდა - ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში არ შესულა არც ერთი დამკვირვებლის მეტ-ნაკლებად, არგუმენტირებული საჩივარი არჩევნების შეგნებულად გაყალბების მცდელობის თაობაზე. ამის მიუხედავად, კენჭისყრას ხარვეზების გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა დარღვევები მხოლოდ პროცედურებს შეეხებოდა. მაგალითად, რამდენიმე უბანზე მილიციელები იმყოფებოდნენ. ეს კი უკრაინის საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია. სამი საუბნო საარჩევნო კომისიის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკვებთან ერთად, სპირტიანი სასმელი იყიდებოდა. თუმცა, როგორც კი უცხოელმა დამკვირვებლებმა კომისიის წევრებს ამ დარღვევებზე მიუთითეს, ორიოდე წუთში დახლები გაქრა.

მთლიანობაში, უცხოელი დამკვირვებლების დასკვნა ერთნაირი აღმოჩნდა - ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მისიების წარმომადგენლებმა ბელაია ცერკოვში არჩევნების მიმდინარეობა პოზიტიურად შეაფასეს.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას ღილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

### გაიკიცხოს თუ არა სექსი ქორწინების გარეშე?

განსახილველი: სექსი ქორწინების გარეშე
ბრალმდებელი: ირაკლი ანდრონიკაშვილი,ქეთი
ადვოკატი: ლანა ჩაბრავა,ქეთი,კოხი



ბრალდება ■ გადაჭარბებული სექსუალობა,ცოლ-ქმრული ღალატი,თავაშვებული სექსი მანკიერი პრაქტიკაა, იწვევს საზოგადოების დაცემას და დემორალიზაციას

ბრალმდებლის მოთხოვნა ■ ვითხოვ თავისუფალი სექსის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას და შეზღუდვებს როგორც ქალებისთვის,ასევე მამაკაცებისათვის

დაცვის პოზიცია■ სექსუალური შეზღუდვა ადამიანის სულსა და სხეულს ანგრევს. სექსი ისევე აუცილებელია, როგორც წყალი და ჰაერი. თავისუფალი სექსი ოჯახის სიმტკიცის საწინდარია.

განჩინება■ საქმე განიხილის შემდგომ სასამართლომდე

ვერდიქტი■ ნაფიც მსაჯულთა ხმები თანაბრად გაიყო (6 ხმა 6-ის წინააღმდეგ)

12 ნაფიცი მსმენელი:

| | | | |
|---|---|---|---|
| დოლორეს დაფითულიანი | (უდანაშაულოა) | ლელა გონჯილაშვილი | (დამნაშავეა) |
| ლიდა მაჭარაშვილი | (დამნაშავეა) | რობერტ ურუშაძე | (დამნაშავეა) |
| ნანა ბალი | (უდანაშაულოა) | გიორგი მღვიანი | (უდანაშაულოა) |
| რევაზ გომარაძე | (დამნაშავეა) | ანდრო კობიაშვილი | (დამნაშავეა) |
| თეა (უდანაშაულოა) ნინო | (უდანაშაულოა) | ოთელო | (დამნაშავეა) |
| ანთიძე | (უდანაშაულოა) | | |

# პარლამენტმა ბიუჯეტი "გადააგორა"

გიორგი ასანიშვილი

*2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის თითქმის სამთვიანი პროცესი გუშინ ლოგიკურად დასრულდა: 141 ხმით 12-ის წინააღმდეგ, პარლამენტმა მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონი დაამტკიცა.*



*მაჟორიტარი დეპუტატები, თავიანთ რაიონებში სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად, ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი თანხების "დათრევას" ცდილობდნენ.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურა გუშინ, თავდაპირველად, საკმაოდ მონოტორულად მიმდინარეობდა. ზოგიერთი დეპუტატი ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს მხოლოდ იმ მიზნით უსვამდა შეკითხვებს, რომ მთავრობისთვის თავი დაემახსოვრებინა, სხვები, ძირითადად, მაჟორიტარი დეპუტატები კი, თავიანთ რაიონებში სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად, ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი თანხების "დათრევას" ცდილობდნენ.

სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც ზურაბ ნოღაიდელმა სიჯიუტე გამოიჩინა და მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების საკითხში უკან დახევა არ ისურვა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მეცნიერებათა აკადემიის პროგრამული დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები კი ითხოვდნენ, რომ მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე მუხლად გაწერილიყო.

**"თუ თქვენი პოზიცია პრინციპულია და უკან დახევა არ გინდათ, მაშინ უნდა შემოიტანოთ "მეცნიერებათა აკადემიის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედი კანონი დაირღვევა, რასაც პარლამენტი არ დაუშვებს,"** - "მეგობრული რჩევა" მისცა სპიკერმა ფინანსთა მინისტრს.

ამასთან, თავი იჩინა კიდევ ერთმა წინააღმდეგობამ: კანონის თანხმად, ბიუჯეტის პროექტთან ერთად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიცხოვნებაც უნდა დამტკიცდეს. არადა, სხდომის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მთავრობას პარლამენტში წარდგენილი არ ჰქონდა. ზურაბ ნოღაიდელის ეშმაკობამ არ გაჭრა: ფინანსთა მინისტრის არგუმენტი, რომ ჯარის რიცხოვნება ბიუჯეტის პროექტშია ასახული, კანონმდებლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამიტომაც იყო, რომ პირველად "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის თვალთახედვა ერთმანეთს დაემთხვა და მათ ერთობლივად შეუტიეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. თუმცა, საქმე სენსაციამდე აღარ მისულა: სასწრაფოდ მოწვეული უშიშროების საბჭოდან პარლამენტში წარდგენილი იქნა შეიარაღებული ძალების რიცხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი. კომპრომისი მოინახა მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების საკითხშიც.

სხვათა შორის, მთავრობის წევრებსა და პარლამენტარებს შორის დავა იშვიათობას რომ არ წარმოადგენს, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანიც ადასტურებს. **"წინათ იმაზე, იმუშავებდა თუ არა ესა თუ ის კანონპროექტი, მთავრობის წევრებს კონიაკზე ხშირად ვენაძლევებოდი. ზოგი სანაძლეო მოვიგე, ზოგი, - წავაგე. მოგებით ორჯერ მოვიგე და ორჯერვე, - რომან გოცირიძესთან,"** - თავისი კარიერის განვლილ ეტაპს იხსენებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე...

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად, გუშინ დეპუტატებმა სხვა საკანონმდებლო აქტებსაც უყარეს კენჭი: პირველი მოსმენით მიღებული იქნა კანონპროექტი "დასაქმების შესახებ", აგრეთვე ახალი საკანონმდებლო კოდექსიდან და მომავალი წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე ათეულობით კანონპროექტი.

გუშინვე დეპუტატებმა, 137 ხმით ერთის წინააღმდეგ, სომხეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაამტკიცეს რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც მანამდე, ექვსი წლის განმავლობაში, საქართველოს ელჩი იყო ისრაელში.

# მადლობა პუტინს აფხაზეთიდან

*“მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად, რუსეთის ხელისუფლება ასე სერიოზულად უდგება აფხაზეთის პრობლემატიკას. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებაში დღეს მიმდინარე პროცესები ჩვენ გვეხმარება, და რუსეთის პრეზიდენტის მადლიერი უნდა ვიყოთ, რომელსაც ასე კარგად ესმის ჩვენ წინაშე არსებული პრობლემები,” – აფხაზეთისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის, ამ სიტყვებით გადაუხადა მადლობა ვლადიმირ პუტინს გუშინ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერმა ნოდარ ხაშბამ.*

ნინო გომართელი

**“ეს პირველად მოხდა და ჩვენ ამ საკითხს დიდი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ვუდგებით. აფხაზეთის უამრავი პრობლემა დღეს მოხსნილია – პენსიის საკითხი, ეკონომიკური განვითარება, აფხაზეთის ეკონომიკის რუსეთის ფედერაციის ეკონომიკასთან ინტეგრაცია და ამასთან, რუსეთის პრეზიდენტს არასოდეს უთქვამს, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში უნდა იყოს. საქმე ეხება იმას, რომ აფხაზეთი ისე განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მსგავსი რამ, ასეთი სერიოზული ხელმძღვანელის მიერ პირველად გაჟღერდა,”** – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ნოდარ ხაშბამ და იქვე შეეხო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან სამომავლო ურთიერთობებს.

**“ჩვენ დიდი ხანია, საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით ჩამოვყალიბდით და საკუთარი გადაწყვეტილების გადახედვას არ ვაპირებთ. ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია, რომელშიც განსაზღვრულია, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ამას აფხაზეთის ხალხმა მისცა ხმა,”** – თქვა მან.

რაც შეეხება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების განახლებას, ამის შესახებ სოხუმში აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ისაუბრა. მისი თქმით, მოლაპარაკებები შიდა საარჩევნო პროცესების დასრულების შემდეგ, იმის მიუხედავად განახლდება, აღიარებს თუ არა საერთაშორისო საზოგადოება აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საკითხები ქართულ მხარესთან გამართულ შეხვედრებზე არასდროს ყოფილა და არც იქნება განხილვის საგანი.

**“სრულიად ნათელია, რომ იმის მიუხედავად, ახლო მომავალში საერთაშორისო საზოგადოება აფხაზეთის სუვერენიტეტს აღიარებს თუ არა, საქართველოსთან ურთიერთობების თაობაზე მოლაპარაკებები უნდა ვაწარმოოთ, რადგან ჩვენ მეზობლები ვართ და ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს. აფხაზეთის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს,”** – განაცხადა სერგეი შამბამ.

ამის პარალელურად, გუშინ აფხაზურმა პარლამენტმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება განსაზღვრა და ამით, ახალ პრეზიდენტს, რომელიც ყველა შემთხვევაში სერგეი ბაგაფში გახდება, ხელიდან გამოაცალა ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის უმნიშვნელოვანესი სფეროები.

ამასთან, პარლამენტის მიერ მიღებული, "აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ" კონსტიტუციური კანონი იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუ 2005 წლის 12 იანვრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტად - სერგეი ბაგაფშს, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - რუსეთის და ვლადიმირ პუტინის ფავორიტს რაულ ხაჯიმბას აირჩევენ.

კანონის თანახმად, ვიცე-პრეზიდენტი კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო ორგანოების მუშაობას საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, პრეზიდენტს წარუდგენს საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, უშიშროების მინისტრების და საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელის კანდიდატურებს.

კანონის თანახმად, ვიცე-პრეზიდენტი მის კომპეტენციაში შემავალ სფეროებში გამოსცემს განკარგულებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, სახელმწიფო ბიუჯეტის 40 პროცენტი განკარგოს.

თავად სერგეი ბაგაფში, განსაზღვრულ უფლებამოსილებებში, რასაკვირველია, "გასაკვირს" ვერაფერს ხედავს და იმედოვნებს, რომ 12 იანვრისათვის დანიშნულ ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში იგი და მისი ყოფილი ოპონენტი რაულ ხაჯიმბა აფხაზეთს ერთობლივად უხელმძღვანელებენ.

**“თუ სურვილი აქვთ, იმუშაონ, ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ კანონში ნათლად წერია, რომ პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა მიიღონ,"** – განაცხადა მან.

ბაგაფში თავს არიდებს იმაზე საუბარს, თუ რა პოსტს შესთავაზებს მის თანაგუნდელ ალექსანდრე ანქვაბს, რომელსაც 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ბაგაფშის გამარჯვების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის სავარძელი უნდა დაეკავებინა. **“ყველასათვის მოიძებნება რეალური საქმე, მათ შორის - ანქვაბისთვის,"** - დასძინა მან.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, სავარაუდოდ, 30 დეკემბერს გაემგზავრება.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ჩასვლას ზურაბ ჟვანია გუშინ გეგმავდა, თუმცა საქართველოს პარლამენტში "2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის" პროექტის განხილვის გამო, რომლის დროსაც პრემიერის სიტყვით გამოსვლაა დაგეგმილი, კონფლიქტის ზონაში გამგზავრება 30 დეკემბრამდე გადაიდო.

ჟვანია დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობას შეხვდება და დამდეგ ახალ წელს მიულოცავს. გამორიცხული არ არის, ვიზიტის დროს პრემიერ-მინისტრისა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის არაფორმალური შეხვედრა გაიმართოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური გაერთიანების "უნივერსიტეტელის" წარმომადგენელთა მტკიცებით, უშიშროება ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ სტუდენტებს დევნის. როგორც აღნიშნული ორგანიზაციის წევრმა რატი მაისურაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, "სტუდენტური ლიგის" ლიდერს გიორგი სიგუას საქართველოს ტერიტორია ძალის გამოყენებით დაატოვებინეს. მისივე მტკიცებით, უშიშროება უნივერსიტეტში სტუდენტების დაშინების გარდა, მათ მოსყიდვასაც ცდილობს და ადგილი აქვს ფულის შეთავაზების ფაქტებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი პარლამენტარი ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ "სახელმწიფო რეკეტის გზით მოხელეებისგან ამოღებული თანხები ე.წ. ძალოვნების განვითარების ფონდში ირიცხება", რომლის ანგარიში ბანკ "რესპუბლიკაშია" გახსნილი. როგორც ირაკლი ბათიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, "ეს არის გაურკვეველი ფონდი" და რეალურად სად მიდის ამოღებული თანხები, "არავინ იცის".

ბათიაშვილის აზრით, ხელისუფლების პირველი პირები საზოგადოებას "ატყუებენ, როცა ქართული არმიის მიღწევებზე საუბრობენ". მისივე შეფასებით, საქართველოს თავდაცვის სისტემაში "შევარდნაძის დროიდან არაფერი შეცვლილა." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მესაზღვრეებს საახალწლო ნობათით დაასაჩუქრებს. აღნიშნული უწყების წარმომადგენლები, გენერალ-მაიორ ბადრი ბიწაძის ხელმძღვანელობით, დღეს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთს მოინახულებენ.

შატილში, ომალოში და გირევში დისლოცირებულ მესაზღვრეებს პროდუქტებითა და საახალწლო ნობათით დაასაჩუქრებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 2005 წლიდან კაპიტანთა სკოლა იხსნება, რომელიც საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად კაპიტანთა გარკვეულ კონტინგენტს მოამზადებს. აკადემიის შტაბის უფროსის მაიორ გიორგი ბლიაძის ინფორმაციით, კაპიტანთა საკარიერო კურსებს პირველ ეტაპზე მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადიდან შერჩეული 20 კაპიტანი გაივლის. კაპიტანთა მომზადების პროგრამის ფარგლებში, 12 კვირის განმავლობაში, ასეულის და ბატალიონის მართვის თეორიული და ტაქტიკური სწავლებები ჩატარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ უკრაინელ ხალხს დიდი გამარჯვება მიულოცა.

როგორც "მემარჯვენეების" მიერ გავრცელებულ საჯარო მიმართვაშია ნათქვამი, "მემარჯვენეები" უკრაინელ ხალხს თავისუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვებას ულოცავენ და იმედს გამოთქვამენ, რომ პროცესები უკრაინაში დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპით განვითარდება.

გამყრელიძის განცხადებით, უკრაინაში არ მომხდარა გადატრიალება ან ძალაუფლების ხელში ძალით ჩაგდება, ამიტომაც "ვარდების რევოლუციასთან" პარალელის გავლება შეცდომაა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადლობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარიმანიშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მილიონერების ლატაკი ქვეყანა

პირველი გვერდიდან

**“საქართველომ თავი დააღწია სამანეთო ზონას. იგი, ფაქტობრივად, გუშინ გამოვიდა რუსეთის შემადგენლობიდან!”** – წერდა “კავკასიონი” 1995 წლის 26 სექტემბერის ნომერში, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა საერთო სათაური – “ლარი ჩვენი არსობისა”.

დაბადების დღესვე შეძლო ლარმა საკუთარი ჯანმრთელობის დემონსტრირება. 25 სექტემბერს, ბრუნვაში გაშვების დღეს, შავ ბაზარზე ერთი ლარი 4500-4800 რუსული მანეთი ღირდა. საქართველო გადაურჩა საკუთარი ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტების რუსეთისთვის გადაბარებას. დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი შენარჩუნებული იყო.

რასაკვირველია, პირველ ხანებში ლარის მიმართ დიდი იყო უნდობლობა, ბევრი მას კუპონის ბედს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ სკეპტიკოსთა პროგნოზები არ მართლდებოდა. უკვე პირველ სამ კვირაში ლარმა დოლარის მიმართ გამყარების ტენდენცია უჩვენა. ფასებმა ზოგიერთ საქონელზე და მომსახურებაზე აიწია, მაგრამ იმპორტირებულ საქონელზე დაწევა დაიწყო. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაიაფდა საწვავი. რაც მთავარია, ფული ჯიბეში აღარ ფუჭდებოდა და გაჩნდა მისი დაგროვების შესაძლებლობა.

ინფლაციის შეჩერებამ სრულიად უმაქნისად აქცია კრედიტებით სწრაფი გამდიდრების ტექნოლოგია, მაგრამ, სახელისუფლებო მინდორზე მობალახე თაღლითებს, კუპონზე და რუსულ მანეთზე მაქინაციებით “ბიზნესმენებად” გადაქცეულებს, მოსახლეობის გაძარცვის ახალი სქემა ისევ თავად ხელისუფლებამ ჩააბარა. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი პრივატიზება.

## პრივატიზება - ახალი შირმა მძარცველთათვის

მასობრივი პრივატიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები 1995 წლის გაზაფხულზე დასრულდა. დაიწყო მოსახლეობაზე ვაუჩერების გაცემა. თეორიულად ვაუჩერი იყო საქართველოს თითოეული მოქალაქის წილი საერთო სახალხო ქონებაში. მხოლოდ ერთიღა რჩებოდა – ვაუჩერის მფლობელს უნდა შეერჩია, რომელი საწარმოს აქციონერი გახდებოდა. პრივატიზების პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის და ვითომდა მოსახლეობის დასახმარებლად, საქართველოში, სულ რამდენიმე თვეში 700-მდე სააქციო საზოგადოება შეიქმნა. მთავრობის გადაწყვეტილებით, საჯარო აუქციონზე გაიყიდებოდა ყველა სააქციო საზოგადოების 35 პროცენტი.

1995 წლის 1 იანვრისთვის, საქართველოს 39 რაიონიდან მიღებული ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილი შეადგენდა 231 ათას კაცს, უმუშევრები – 69 ათას კაცს. ეს – ოფიციალური მონაცემებით და ისიც 39 რეგიონიდან შემოსული ცნობების მიხედვით. რეალური ვითარებით კი, ეს ციფრი მინიმუმ უნდა გაოთხმაგებულიყო. ამას ემატებოდა 200 ათასზე მეტი ლტოლვილი, თვეობით ხელფასაუღებელი ვითომდასაქმებულები და, ფაქტობრივად, მივიღებდით ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 97-99 პროცენტს. აი ამ ხალხს, რომელიც რეალურად იბრძოდა არსებობისთვის, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მისცეს ფარატინა ქაღალდი და უთხრეს, რომ ამით საწარმოს წილის შეძენა შეეძლო, შემდეგ საწარმოს მოგებას უნდა დალოდებოდა, დივიდენდი მიეღო და ბედნიერად ეცხოვრა. გაჩერებული, გაძარცულ-გაპარტახებული საწარმოების შემყურე, უშუქობითა და უგაზობით გაწამებული ადამიანი, ბიბლიურ ჯოჯოხეთს უფრო რეალურად წარმოიდგენდა, ვიდრე ამ ვაუჩერსამოთხეს. ამიტომ, მოხდა სრულიად ბუნებრივი რამ – გაჩნდა ვაუჩერების შავი ბაზარი. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი დაუწყებდა წლობით ლოდინს ძალიან საეჭვო დივიდენდს, როცა ვაგზლის მოედანზე ორი კილოგრამი ხორცის ფასად შეიძლებოდა ერთი ვაუჩერის გაყიდვა. ისე კი, ოფიციალურად, ვაუჩერის ნომინალი 30 აშშ დოლარით განისაზღვრა.

მოქალაქე ვაუჩერით ხელში – რა ალტერნატივის წინაშე დგას იგი? – “კავკასიონის” ამ შეკითხვას, ქონების მართვის მაშინდელი მინისტრი ავთანდილ სილაგაძე ასე პასუხობს: **“მინდა ყველას ვურჩიო, რომ ნუ იჩქარებენ საპრივატიზაციო ბარათის გაყიდვას. 30 აშშ დოლარი არის ვაუჩერის ნომინალური, საშუალო ღირებულება. პრაქტიკულად, ბარათით შეიძლება ორჯერ ან სამჯერ ძვირი საქონლის ყიდვაც, გააჩნია, რომელ საწარმოში დააბანდებთ.”** ვაუჩერიანი მოქალაქისათვის ეს ერთობ ბუნდოვანი განმარტება იყო, სამაგიეროდ, სრულიად რეალურად შეიძლებოდა ვაუჩერის გაყიდვა.

ამ გადასახედიდან ძალიან საფუძვლიანად გამოიყურება ეჭვი, რომ ასეთი სტიქიური პრივატიზება წინასწარ მოფიქრებული სქემა იყო ხალხის და ქვეყნის კიდევ ერთხელ გასაძარცვად. მძიმე სოციალური ფონი, წარმოების სრული სტაგნაცია, უიმედობა და საზოგადოებრივი ნიჰილიზმი შესანიშნავი ფონი იყო იმის პროგნოზირებისთვის, რომ ხალხი ვაუჩერებს გროშებად გაყიდდა. ვინ იყო ამ ვაუჩერის პოტენციური მყიდველი? რასაკვირველია - არა ის, ვინც ლუკმაპურის ფულის შოვნაში ათენაღამებდა. სახელმწიფოსგან ვითომდა ჩამორიგებული ეს საერთო ქონება ისევ იმათი საკბილო გახდა, ვინც სულ ორიოდე წლის წინ კრედიტებით გაძარცვა ხალხი. ფული მათ ხელში იყო. ეს ხალხი დღესაც ზემოდან იყურება და თავს წარმატებულ ბიზნესმენს უწოდებს. სინამდვილეში კი, ამ “ბიზნესმენთაგან”, მცირეზე მცირე გამონაკლისის გარდა, შეძენილი საწარმოების ამუშავება აზრად არავის მოსვლია. ისინი ხომ სახელისუფლებო გავლენის გამოყენებით ძარცვის ხელოვნებას იყვნენ დაუფლებული. ჰოდა, დაიწყეს შეძენილის დაშლა, ჯართად, აგურებად გაყიდვა. ისევ დიდი ფული იშოვნეს, ოფშორულ ბანკებში დაიწყეს კაპიტალის დაბანდება. ხალხი კი დარჩა ისევ გაძარცული, სამუშაოს გარეშე. გაყიდული ქვეყანა კი კიდევ დიდხანს მოუნდება კონკურენტუნარიანი წარმოების შექმნას.

ეჭვს ძარცვის წინასწარ შექმნილი სცენარის თაობაზე ისიც აძლიერებს, რომ მასობრივი პრივატიზების პერიოდში, რამდენიმე სპეციალისტი ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, გაუფასურებული ანაბრების კომპენსაცია მოქალაქეებისთვის საბანკო და მოქმედი საწარმოების აქციებით მიეცა. ეს წინადადება საფუძველშივე ჩაიკლა ისე, რომ პრესაში თითქმის არც განხილულა. მეანაბრეების ძირითადი ნაწილი კვლავ უკეთესი მთავრობის იმედად დატოვეს, თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც საქმეს ბოლომდე მიჰყვა და პრივატიზების პროცესში მოახერხა ბანკში არსებული ანბრების და ვაუჩერების ხარჯზე ასე თუ ისე ღირებული აქციების შეძენა. ასეთთა კარგი მაგალითია ერთ-ერთი ბანკის 5744 აქციონერი. მათ მიაღწიეს, რომ ანაბრების ინდექსაციის საფუძველზე, აქციების მცირე, მაგრამ მაინც რაღაც წილი შეეძინათ. ესეც ვერ აიტანეს “ბიზნესმენებმა”, რომლებიც ძირითად პაკეტს ფლობდნენ და ეს ხალხი მაინც გააცუცურაკეს და ცარიელ-ტარიელი დატოვეს. როგორ? – ეს სერიოზული კვლევის თემაა, რომელზეც “24 საათის” ჟურნალისტები მუშაობენ.

საერთოდ, კვლევა, როგორც ჩანს, გასაგრძელებელია, და არა მხოლოდ პრესაში, რადგან ანაბრების საიდუმლოს გახსნა დღევანდელი სიდუხჭირის გამომწვევ ბევრ მიზეზს წარმოაჩენს. თანაც, კაცმა რომ თქვას, 90-იანი წლების დასაწყისის ფინანსური მაქინაციები არც ისე რთულად გასახსნელი საიდუმლოა – მონაწილეთა უმრავლესობა ხომ, ჯერჯერობით, ისევ ტალღის ქიმზეა.

კვლევა აუცილებელია იმიტომაც, რომ მომავალს უპასუხოდ არ დავუტოვოთ კითხვა – რატომ არის საქართველო მილიონერების ლატაკი ქვეყანა?

*თემის გაგრძელება A8 გვერდზე*

# სინათლე გაუფასურებული ანაბრების გვირაბის ბოლოს

პირველი გვერდიდან

**და წარმოუდგენელი იყო, რომ რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკას და მათ შორის საქართველოს, რაიმე საშუალებებით ხელი შეეშალა საყოველთაო ინფლაციისთვის, მაინც აშკარად იკვეთება, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც 1991 წლის განმავლობაში და არც 1992-93 წლების პერიოდში არ მოუხდენია მოვლენების განვითარების მოსალოდნელი პროგნოზი და შესაბამისად, საქართველოს ორივე ხელისუფლება აშკარად მოუმზადებელი შეხვდა ინფლაციურ მოვლენებს და სახელმწიფოებრივად ვერ უზრუნველყვეს შემხვედრი კონტრეკონომიკური ღონისძიებების მომზადება და განხორციელება,"** - აცხადებს ვასილ მაღლაფერიძე.

ობიექტურ ფაქტორებზე საუბართან ერთად, მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი იმ სუბიექტურ გარემოებებსაც გამოყოფს, რომლებმაც საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტის ბოლო კაპიკამდე გაყვლეფა განაპირობა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მაღლაფერიძე ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ასახელებს, რომელიც საკრედიტო ემისიის გარეშე განხორციელდა.

**"აღნიშნული ვითარება იყო მიზეზი იმისა, რომ მანეთის დეფიციტის გამო, მკვეთრად გაიზარდა უნაღდო ფულის მასა და ხელისუფლება იძულებული გახდა, შემოეღო დროებითი ფულის სუროგატი, რომელმაც კატასტროფული დევალვაცია განიცადა და ინფლაციური აფეთქება გამოიწვია,"** - აღნიშნავს მაღლაფერიძე.

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე მან დეტალურად ისაუბრა იმ სქემებზე, რომელშიც ჩართული იყვნენ "წითელი დირექტორები", "დანიშნული კაპიტალისტები", "თეთრსაყელოიანი ყაჩაღები"...

**"დანაშაულებრივი პროცესი სამხედრო საბჭოდან იღებს სათავეს. ის მაშინ დაიწყო, როდესაც თბილისს ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა,"** - შენიშნავს პარლამენტარი. იგი დეპუტატებს წარუდგენს სესხის მიმღებთა საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს, რომლებმაც, ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების წყალობით, ცხოვრება თავისთვის სამოთხედ იქციეს, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის კი - ჯოჯოხეთად.

სესხის ამღები ფირმების უკან, მათი დამფუძნებლების სახით, ცხადია, კონკრეტული ადამიანები დგანან, რომელთა ვინაობის დადგენა პრობლემას არ წარმოადგენს.

**"ხუთასი მეტრის გავლა და იუსტიციის სამინისტროში მისვლაღაა საჭირო იმის გასარკვევად, თუ ვინ დააქცია ქვეყანა,"** - სთავაზობს მაღლაფერიძე იმათ, ვინც კონკრეტული გვარების დასახელებას ითხოვს.

**"გვარები იქნება. თქვენ ის თქვით, რას უპირებთ ამ ხალხს,"** - კვანძის გახსნის მოახლოებაზე საუბრობს მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

ვასილ მაღლაფერიძის ჯგუფს, ანაბრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შესწავლის გარდა, ამ პროცესში დეპუტატ ვანო ჩხარტიშვილის შესაძლო მონაწილეობის საკითხის გარკვევაც ევალებოდა.

**"ვანო ჩხარტიშვილს, იმ დროს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონია და ამდენად, ანაბრების გაუფასურების პროცესზე გავლენას ვერ მოახდენდა,"** - სხვადასხვა დაწესებულებებიდან გამოთხოვილი მასალებისა და ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე, ასეთ დასკვნამდე მივიდა მომხსენებელთა ჯგუფი.

სხვათა შორის, ამ დასკვნას, გარკვეულწილად, კობა დავითაშვილიც ეთანხმება, რომელიც ანაბრების გაუფასურების საკითხის შესწავლის ინიციატორი იყო.

**"ანაბრების გაუფასურებაში მთავარ დამნაშავედ ედუარდ შევარდნაძე მიმაჩნია და მას ვედავები, მაგრამ საპარლამენტო ჯგუფი, რატომღაც, ვანო ჩხარტიშვილის ბრალეულობის შესასწავლად შეიქმნა. რასაც მე ჩხარტიშვილს ვედავებოდი, ის საკითხი კი ამ ჯგუფს არ შეუსწავლია,"** - ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ არის კობა დავითაშვილი.

ანაბრების გაუფასურების საკითხის განხილვა პარლამენტში დღესაც გაგრძელდება. თუმცა, ნინო ბურჯანაძე აქედანვე აფრთხილებს მოსახლეობას, რომ არ უნდა შეიქმნას ილუზია, თითქოს, ხელისუფლება ხვალიდანვე დაიწყებს სახელმწიფოს მიერ შიდა ვალში აღებული დაახლოებით 5 მილიარდი დოლარის გასტუმრებას.

**"ამ პროცესის დაწყება, მინიმუმ, ათ წელზე ადრე ვერ მოხერხდება,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე ხელისუფლება გულხელდაკრეფილი უნდა იჯდეს - საჭიროა, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დავალიანების ზუსტი ოდენობის დასადგენად, აგრეთვე იმ ფორმების მოსაძებნად (თუნდაც, ობლიგაციების სახით), რომლითაც დავალიანების დაფარვა მოხდება.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, უნდა მოხდეს მეანაბრეთა დიფერენცირება და პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე გაჭირვებული ფენები დაკმაყოფილდნენ, მოგვიანებით კი - შედარებით შეძლებულები...


# ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

**პატივცემულო მომხმარებელო,**

ბუნებრივი გაზის გამოყენების დროს მომხდარი ავარიებისა და უბედური შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ძირითადად გამოწვეულია მომხმარებელთა მხრიდან გაზის უსაფრთხო გამოყენების წესების დარღვევებით.

მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ განუხრელად დაიცვათ ბუნებრივი გაზის გამოყენების წესები:

1. ბინაში შესვლის, ყოფნის ან გაზის ხელსაწყოების გამოყენების დროს თუ შეიგრძნობტ დაზის სუნს, დაუყოვნებლივ სეწყვიტეთ გაზის ხელსაწყოებით სარგებლობა, გადაკეტეთ გაზის გამშვები მილისა და ხელსაწყოების ყველა ონკანი, არ აანთოტ ასანთი, არ მოწიოთ სიგარეტი , არ ჩართოთ და გამორთოთ ელექტროხელსაწყოები, განათება, გაანიავეტ სათავსი (დააღეთ კარები, ფანჯრები) და გამოიძახეტ გაზის საავარიო სამსახური - 04;
2. არ მოახდინოთ გაზსადენებისა და გაზის ხელსაწყოების ჩახერგვა სხვადასხვა საგნებითა და ნივთებით;
3. გაზის ხელსაწყოებით სარგებლიბის დროს პერიოდულად გაანიავეთ სათავსი;
4. არ დაუშვათ გაზქურის თავზე და გაზსადენზე თოკების გაბმა თეთრეულის გასაშრობად;
5. გაზით გამთბობი ან გამდინარე წყალგამაცხელებლებით სარგებლობის დაწყებამდე შეამოწმეთ კვამლსადენისა და სავენტილაციო არხებში წნევის ხარისხი, ანთებული ასანთი მიიტანეთ წყალგამაცხელებლის ხუფთან და სავენტილაციო არხის ცხაურთან, თუ ალი არ შეიტაცება (გადაიხრება) ხუფის ქვეშ ან ცხაურის შიგნით და დარჩება ვერტიკალურ მდგომარეობაში - არ ისარგებლოთ გამთბობი წყალგამაცხებლებით;
6. გაზის მოწოდების მოულოდნელი შეწყვეტის სემთხვევასი დაუყოვნებლივ გადაკეტეთ გაზის გამშვებ მილზე და ხელსაწოებზე ყველა ონკანი;
7. ტავისდროულად წარუდგინეთ გაზის მეურნეობას საკვამლე-სავენტილაციო არხების ვარგისიანობის აქტები (აგურის არხების შემთხვევაში კვარტალში ერთხელ, ასბოცემენტის არხების დროს - წელიწადში ერთხელ);
8. დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად;
9. იქონიეტ გაზის ხელსაწყოები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. უზრუნველყავით მათი მოვლა (გაწმენდა-გასუფთავება) და შენახვა;
10. ნუ დაამონტაჟებინებთ გაზის ხელსაწყოებს შემთხვევით პირებს. სს "თბილგაზში" მოქმედებს "ცხელი ხაზი", რომელსაც შეგიძლიათ მიმართოთ გაზიფიკაციის საკითხებზე ტელეფონით **20-04-04** და მიიღოთ ამომწურავი პასუხები;

პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების უსაფრთხო ექსპლოატაციაზე ეკისრება მობინადრეებს.

**კატეგორიულად აკრძალულია**

1. გაზის მრიცხველზე ლუქის ახსნა, მრიცხველის შეჩერება, გახსნა, ანათვლის ჩამოყრის მცდელობა, თვითნებური მოხსნა, გადაადგილება, მისი გვერდის ავლით, ნებისმიერი ხელსაწყოთი ბუნებრივი გაზის გამოყენება (დატაცება);
2. ყველა სახის არასერტიფიცირებული, არასტანდარტული დათვითნაკეთი ხელსაწყოებით ბუნებრივი გაზის გამოყენება;
3. საცხოვრებელ სახლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში, გაზით მომუშავე ყველა ყველა სახეობის გამათბობელ და წყალგამაცხელებელ ხელსაწყოთა მონტაჟი და ექსპლოატაცია, რომელთა გამოყენებისას, გაზის წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსოდან და წვის პროდუქტები სათავსოშივე რჩება, აგრეთვე, რომელთაც არ გააჩნია საკვამლე სავენტილაციო არხები;
4. გაზქურით სათავსოს (სამზარეულო, ბინა) გათბობა;
5. ანთებული გაზქურის და გამდინარე და წყალგამაცხელებლის უმეთვალყურეოდ დატოვება;
6. გაზის ხელსაწყოების თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეკეთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების, მეტლახის ფილების ქვეშ მოქცევა, სავენტილაცია ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
7. გაუმართავი გაზის ხელსაწყოების, ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
8. გაზსადენიდან ან გაზის ხელსწყოებიდან გაზის გაჟონვის აღმოჩენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება;
9. დასაძინებლად ან დასასვენებლად იმ სათავსოების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა იმ ოთახებისა, რომლებშიც შეიძლება დაყენებულ იქნას სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამთბობი ღუმელები;

**პატივცემულო მომხმარებლებო!**
**გთხოვთ განუხრელად დაიცვათ გაზის უსაფრთხო გამოყენების წესები.**

# სააახალწლო საჩუქარი - 24-საათიანი ელექტრომომარაგება

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ახალი წლის დღეებში ქვეყნის მასშტაბით 24-საათიანი ელექტრომომარაგების პირობას დებს. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა საგანგებო პრესკონფერენციაზე, ხოლო მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა – პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა.*

ნიკა მარიამიძე

ენერგეტიკოსთა საახალწლო შეღავათი ძალაში ოთხშაბათის საღამოდან შევა და 3 იანვრამდე გასტანს. ელექტრომომარაგება არ შეიზღუდება, აგრეთვე, 6-7 და 13-14 იანვარსაც. დანარჩენ დღეებში კი საქართველოს მოსახლეობა დენს მათთვის დაწესებული გრაფიკების მიხედვით მიიღებს.

დღესასწაულებზე ენერგეტიკოსები ელექტროენერგიის დღიური მოხმარების ზრდას 1800 მეგავატამდე ელიან. აქედან 450 მეგავატი რუსეთიდან და სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია იქნება, დანარჩენი კი – ადგილობრივი ჰესების, აგრეთვე, "თბილსრესის" მე-3 და მე-9 ენერგობლოკების მიერ გამომუშავებული დენი. გილაურის განმარტებით, დღესასწაულებზე ქვეყნის სრული ელექტრომომარაგებისთვის ენერგოსისტემა მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა და, გასული წლებისგან განსხვავებით, ელექტრომომარაგების გაუმჯობესება იმპორტის ხარჯზე კი არა, ადგილობრივი გენერაციის გაზრდით მოხდება. მინისტრის თქმით, **"გენერაციის ობიექტები და ელექტროგადამცემი ხაზები სრული დატვირთვით მუშაობისათვის მზად არის. პიკის საათების დროს ახალი წლის დღეებში ენგურჰესის სამი აგრეგატი იმუშავებს, მაგრამ ეს წყლის მარაგის კატასტროფულ ხარჯვას არ გამოიწვევს."**

**"17 დეკემბერს "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკის ამუშავება მოხერხდა, ხოლო 27 დეკემბერს ორი წლის განმავლობაში გაჩერებული "ხრამჰესის" პირველი აგრეგატი ამუშავდა,"** – აკონკრეტებს ხეთაგური.

ხანგრძლივი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ "ხრამჰესის" პირველი აგრეგატის ამუშავებამ საქართველოს ენერგოსისტემას 40 მეგავატის ოდენობის დამატებითი სიმძლავრე შესძინა. სადგურის აღდგენითი სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სპეციალურად ენერგეტიკისთვის გათვალისწინებული სუბსიდიით დაფინანსდა. გილაურის თქმით, ამჟამად საქართველოს გენერაციაში არსებული ყველა აგრეგატი, **"რომლის გაკეთებაც შესაძლებელი იყო,"** სრული დატვირთვით მუშაობს, "ხრამი-2"-თან ერთად, აღდგენილია "ვარციხეჰესის" ორი აგრეგატი, განახლდა "ლაჯანურჰესის" მუშაობაც.

ერთი სიტყვით, ახლადგარემონტებული გენერაციის ობიექტების წყალობით, საახალწლოდ მთელი საქართველო განათებული იქნება. შესაბამისად, დენს შეუზღუდავად მიიღებს სამეგრელოს რეგიონიც, რომლის უწყვეტი ელექტრომომარაგების საკითხის გადაჭრისთვისაც გუშინ დეპუტატმა ნაზი არონიამ სამეგრელოს დეპუტაციის გილაურთან შეხვედრა მოითხოვა.

მაშინ, როცა პარლამენტარები მინისტრს ელექტრომომარაგების გრაფიკების გასაცნობად ელოდნენ, გილაური პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან მიმდინარე თათბირს ესწრებოდა. ამიტომაც, გუშინ ის პარლამენტში ვერ მიიტყუეს. შედეგად, გილაურს დეპუტატების წინაშე ელექტრომომარაგების გრაფიკების ხმამაღლა წაკითხვა პარლამენტის ოთხშაბათის სხდომაზე მოუწევს.

ამასობაში კი, ენერგეტიკისადმი ინტერესი თანდათან ფართოვდება. გუშინვე, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა დარგში არსებული ვითარების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიისთვის ფორმატის შეცვლაც მოითხოვა. იგი მიიჩნევს, რომ კომისიამ, რომელიც ენერგეტიკის სფეროში გასულ წლებში მომხდარ დარღვევებს სწავლობს, ამ სფეროში დღეს არსებული სიტუაციაც უნდა შეისწავლოს და დასკვნა პარლამენტს წარუდგინოს.

კომისიის თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილი ძიძიგურის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება და მიიჩნევს, რომ კიდევ ერთი დამატებითი ფუნქციის შეთავსება კომისიის საქმიანობას ხელს არ შეუშლის.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს საზღვაო სანაოსნოს" შესყიდვის სურვილი კიდევ ორმა უცხოურმა კომპანიამ, თურქულმა "კორიატი"-მ და ავსტრალიურმა "შიფ მენეჯმენტ გრუფ"-მა გამოთქვა. სანაოსნოს შესყიდვით დაინტერესებული არიან, აგრეთვე, ორი იტალიური კომპანია "აქვა მარინი" (60 მილიონ-დოლარიანი წინადადება, რომელიც, მოგვიანებით, გაიზარდა) და "კო არმა", გერმანული კომპანია "შოლერი" და რუსული "პრომიშლენნიე ინვესტორი". სანაოსნოთი დაინტერესების გამოხატვის ვადა 28 დეკემბერს ამოიწურა, კომპანიების წინადადებების განხილვის ვადა კი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 10 იანვრამდე გააგრძელა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიერ 2004 წლის იანვარ-ნოემბერში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 1518,6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 9,4 პროცენტით მეტია, ვიდრე 2003 წლის იანვარ-ნოემბერში. წარმოების მოცულობა 15,2 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში 13 პროცენტით შემცირდა. წარმოების მოცულობა შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის ზოგიერთი საქმიანობის სახეობაშიც. ფარული და აღურიცხავი წარმოების მაჩვენებლების გათვალისწინებით, 2004 წლის იანვარ-ნოემბერში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის რეალურმა საერთო მოცულობამ დაახლოებით 2,6 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც შარშანდელ მონაცემებს 3,9 პროცენტით აღემატება. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა მომავალი წლის 15 ოქტომბრამდე ბუნებრივ აირს უფასოდ, განუსაზღვრელი მოცულობით მიიღებს. პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე განიხილა კანონპროექტი "მაღალმთიანი რეგიონების სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფის შესახებ", რომლის თანახმად, ყოველი წლის 15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე ყაზბეგის რაიონის თითოეული ოჯახი ყოველთვიურად 750 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს უფასოდ მიიღებს. აღნიშნული კანონპროექტი 2005 წლის 15 ოქტომბრისთვის ამოქმედდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისს თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი ეწვია. ბინარიბ ინდირიმი მონაწილეობას მიიღებს საქართველო-თურქეთის შერეული სატრანსპორტო კომისიის მეშვიდე სხდომაში. მოლაპარაკებები გაიმართება, აგრეთვე, ორი ქვეყნის სატრანსპორტო ურთიერთობაზე, სატრანსპორტო გადაზიდვებსა და ერთობლივ პროექტებზე, ახალქალაქი-ყარსის მიმართულებით სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასა და თურქეთის რესპუბლიკასთან ახალი სასაზღვრო პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით. ინდირიმს თბილისში 27 დეკემბერს ელოდნენ, მაგრამ, უამინდობის გამო, ვიზიტი გადაიდო. **მედია-ნიუსი**


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**29 დეკემბერს, 10.00-დან 15.00 სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), იყალთოს მთის, ბაკურციხის, წინაუბნის, ტუსკიას, ტეხურის, ჩაილურის, ბახტრიონის, ცინცაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**30 დეკემბერს, 10.00-დან 15.00 სთ-მდე:**
ბალანჩივაძის, ახალშენის, ჩაილურის, ჭიათურის, იოსელიანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს სატრანსფორმატორო ჯიხურების შეკეთებაზე:

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 14 იანვარი.


# გეგმა შესრულებულია

დიანა ჩაჩუა

*2004 წლისთვის პრივატიზებისთვის განკუთვნილი ობიექტების გასხვისების პროცესი დასრულებულია. აღნიშნული პროცესიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 70 მილიონ ლარზე მეტი თანხაა მობილიზებული. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია თურნავას თქმით, ეს მხოლოდ დასაწყისია.*



იური ლობოდინის ფოტო

*წელს ბიუჯეტში პრივატიზებიდან 70 მილიონ ლარზე მეტია შესული.*

წელს ბიუჯეტში პრივატიზებიდან 70 მილიონ ლარზე მეტია შესული. აქედან, ნათია თურნავას თქმით, რეკორდული "თბილავიამშენის" პრივატიზაცია გახდა, რომელიც სამინისტრომ 67 მლნ. დოლარად გაყიდა, თუმცა, ჯერჯერობით, ბიუჯეტში მხოლოდ 31 მლნ. დოლარია გადახდილი. **"თბილავიამშენის" პრივატიზებიდან შემოსული თანხა რეკორდულია არა მარტო 2004 წლისთვის, არამედ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მთელი ისტორიისათვის,"** – აღნიშნა თურნავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, ქვეყანაში პრივატიზებული ობიექტებიდან ასევე მნიშვნელოვანია "ინტურისტის," "ივერიის" და კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გასხვისება. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის რეალიზებიდან შემოსული 15 მილიონი დოლარი, პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის გარდა, საქართველოს ხუთ რეგიონში ახალგაზრდობის თანამედროვე დონის ცენტრების აშენებას და ადმინისტრაციულ ორგანოთა შენობების კეთილმოწყობას მოხმარდება.

გუშინვე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში წლის უკანასკნელი აუქციონი შედგა. გასაყიდად გამოტანილი რვა ობიექტიდან შვიდი გაიყიდა.

გუშინდელ აუქციონზე გამოტანილი იყო დაბა ბაკურიანში მდებარე სანატორიუმი "კოხტა", შპს "ბაზილიკა", კიკეთის დასასვენებელი სანატორიუმი, ს/ს "არქი", ს/ს "ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ცენტრი", ასევე არასაცხოვრებელი ფართი და შპს "სამთავრობო დაწესებულებათა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა სამსახური." აუქციონზე გატანილი იყო კიდევ ერთი - შპს "ადამიანის რესურსების განვითარების ცენტრი," რომელზეც არც ერთი განცხადება არ შესულა. ცნობისათვის, ის გუშინ გამოტანილ ობიექტებს შორის ყველაზე ძვირიანი იყო – მისი საწყისი ფასი 100 ათას დოლარს შეადგენდა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა აუქციონის შედეგებით კმაყოფილია. 2005 წლიდან სამინისტრო მცირე და საშუალო ობიექტებს კვლავ აუქციონის წესით გაყიდის.

# ჩინეთმა ნავთობი აღმოაჩინა

პირველი გვერდიდან

დღეს ჩინეთი აშშ-ს შემდეგ ნავთობის უდიდესი იმპორტიორი ქვეყანაა. 2004 წელს ქვეყანაში მოხმარებული ნავთობის რაოდენობამ 308 მილიონი ტონა შეადგინა, საიდანაც საკუთარი მოპოვებული 100 მილიონი ტონა იყო. ამასთან, თუ ჩინელების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გამართლდება, იგი ნავთობის უდიდესი მარაგების მქონე ქვეყნების ათეულში შევა.

თუმცა, ჩინელების სიხარულს ბევრი ეჭვის თვალით უყურებს. პრინციპში, რუსი ანალიტიკოსების სკეპტიციზმი არ უნდა გაგვიკვირდეს. რუსეთი ხომ ერთ-ერთი უდიდესი ნავთობექსპორტიორი ქვეყანაა, კონკურენტის გაჩენა კი მას ხელს არანაირად არ აძლევს. რუს ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ **"ერთ მშვენიერ დღეს ჩინეთმა ნავთობი იპოვა."**

ამიტომაც, გასაკვირი არ იყო, რომ გუშინ საერთაშორისო მედია რუსი ექსპერტების კომენტარებით იყო სავსე. **"ჩვეულებრივ, მარაგების შესახებ პირვანდელი ინფორმაციები არ არის ზუსტი. ეჭვი მეპარება, ჩინეთმა საკუთარი რესურსების ხარჯზე არსებობა შეძლოს,"** – განაცხადა რუსმა ანალიტიკოსმა დმიტრი ლუკაშოვმა. მას კიდევ ერთმა რუსმა ექსპერტმა დმიტრი მანგილევმაც აუბა მხარი. ეს უკანასკნელი თვლის, რომ შეფასებების გაკეთება ამ ეტაპისთვის არ იქნება მართებული, რადგან გავრცელებული ინფორმაციის დადასტურებაა საჭირო. თუმცა, ის იმასაც აცხადებს, რომ თუ დიდი რაოდენობით ნავთობის არსებობა დადასტურდა, ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიო ნავთობის ბაზარზე და, განსაკუთრებით, ფასებზე. **"ეს ინფორმაცია რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, ნეგატიურია. თუმცა, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი იქნება ჩინური ნავთობის თვითღირებულება, ხოლო სანამ ჩინეთი ნავთობის მარაგებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას ააშენებს, არაერთი წელი გავა,"** – გამოტყდა რუსი ექსპერტი. მისი პროგნოზით, ჩინეთმა ნავთობის მოსაპოვებლად საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა დღესაც რომ დაიწყოს, პირველი ნავთობის მოპოვება, ყველაზე ადრე, 2-3 წელიწადში იქნება შესაძლებელი. **"ასეთ სიტუაციაში კი რუსეთს მხოლოდ ერთ გზა რჩება – გაზარდოს ნავთობის მიწოდება ევროპაში და აშშ-ში. ჩინეთის ნავთობის მომპოვებლები კი იაპონია, აზიის სხვა სახელმწიფოები და აშშ იქნებიან,"** – ვარაუდობს მანგილევი.

ჩინეთიდან მომავალი საინტერესო ინფორმაციების პარალელურად, აქტუალური ხდება ლენინგრადის რეგიონში ნავთობ-ტერმინალების შენების თემა. სწორედ ამის საშუალებით შეძლებს რუსეთი ევროპაში ნავთობის მიწოდების გაზრდას და ფასის დაგდებას. საიდუმლო კი იმაშია, რომ ხსენებული ნავთობსადენი სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე არ გაივლის.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
## აცხადებს კონკურსს

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში**
ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

**1. წამყვანი პროგრამისტი**

**2. ინტერნეტ ტექნოლოგიების სპეციალისტი**

**3. ოპტიკური მეთოდებისა და გამოსახულებების გამოცნობის ტექნოლოგიების სპეციალისტი**

**4. ოპერატორ-ტექნიკოსი**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, პროექტის "ილია ჭავჭავაძე" ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**წამყვანი პროგრამისტი**

**შესასრულებელი სამუშაოები:**
■ აბიტურიენტთა რეგისტრაციისა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის სისტემის შემუშავების მონიტორინგი;
■ აბიტურიენტთა შედეგების გამოქვეყნებისა და უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების განაწილების სისტემის შემუშავების მონიტორინგი;
■ მონაცემების ოპტიკური დამუშავების სისტემის შემუშავების მონიტორინგი;
■ მონაცემთა ბაზების სტრუქტურებისა და კლასიფიკატორების შემუშავება;
■ შემუშავებული მოდულების ერთიან სისტემაში ინტეგრირების მონიტორინგი.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
■ უმაღლესი განათლება, სასურველია საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით;
მონაცემთა ბაზებთან მუშაობის 5 ან მეტი წლის გამოცდილება;
■ Microsoft SQL Server-თან და Mirosoft Access-თან 3 ან მეტი წლის მუშაობის გამოცდილება;
■ გუნდური მუშაობის უნარი;

**ინტერნეტ ტექნოლოგიების სპეციალისტი**

**შესასრულებელი სამუშაოები**
მონაცემთა ბაზებიდან ინტერნეტში შემდეგი სახის ინფორმაციების განთავსება:
■ სკოლებიდან მიღებული აბიტურიენტთა პირველადი რეგისტრაციის შედეგები და დატვირთვები საგამოცდო ცენტრებზე;
■ უმაღლესი სასწავლებლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფაკულტეტების, სპეციალობების, ჩასაბარებელი საგნებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების შესახებ;
■ აბიტურიენტთა სარეგისტრაციო პუნქტებში რეგისტრაციის შედეგები (საგამოცდო ცენტრების, ნაკადებისა და ჩასაბარებელი საგნების მითითებით);
■ გამოცდების შედეგების გამოქვეყნება;
n აპელაციის შედეგებისა და მიღებული ქულების საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში განაწილებები.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
■ უმაღლესი განათლება, სასურველია საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით;
■ მონაცემთა ბაზებთან მუშაობის 5 ან მეტი წლის გამოცდილებით;
■ Microsoft SQL Server-თან, HTML-თან, DHTML-თან, ASP-თან, PHP-თან და Mirosoft Access-თან 3 ან მეტი წლის მუშაობის გამოცდილებით;
■ თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდებისა და კომპიტერულ და ქსელურ ტექნიკასთან მუშაობის გამოცდილება;
■ ინგლისური ენის ცოდნა;
■ გუნდური მუშაობის უნარი.

**ოპტიკური მეთოდებისა და გამოსახულებების გამოცნობის ტექნოლოგიების სპეციალისტი**

**შესასრულებელი სამუშაოები:**
■ საგნობრივი ჯგუფებისათვის ტესტებისა და გასწორების ფურცლების დიზაინი;
■ გასწორების ფურცლების ოპტიკური დამუშავების მენეჯმენტი და ტრეინინგების ჩატარება ოპერატორებისათვის;
■ ოპტიკურად წაკითხვადი მიღება-ჩაბარების აქტების შემუშავება და მათი გამოცნობის ტექნოლოგიების დამუშავება;
■ ხელის და ჩქარი ოპტიკური მოწყობილობების ტექნოლოგიური გამართვა, პერიოდული ტესტირება და პროფილაქტიკა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
■ უმაღლესი განათლება, სასურველია საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით;
■ Microsoft office, ABBY Form Reader, Adobe Photoshop და Mirosoft Access ხვადასხვა გრაფიკულ პროგრამულ პაკეტებთან 3 ან მეტი წლის მუშაობის გამოცდილება;
■ თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდებისა და კომპიტერულ და ქსელურ ტექნიკასთან მუშაობის გამოცდილება;
■ გუნდური მუშაობის უნარი.

**ოპერატორ-ტექნიკოსი**

**შესასრულებელი სამუშაოები:**
■ საგნობრივი ჯგუფებისა და მათი გადამზადების შედეგების შეყვანა მონაცემთა ბაზაში;
■ საგნობრივი ჯგუფების ტრეინინგი ტექნიკურ საკითხებზე;
■ საგამოცდო სისტემისათვის ყველა სახის შტრიხ-კოდების ბეჭდვა;
■ საგამოცდო ცენტრებისათვის უწყისებისა და ყველა საჭირო მასალების ბეჭდვა;
■ აბიტურიენტების კონტრაქტის ფორმების და სარეგისტრაციო ჟურნალების მომზადება სტამბაში გადასაცემად;
■ საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება სტამბაში გადასაცემად;
■ სარეგისტრაციო პუნქტებისათვის გამოცდების შედეგების ბეჭდვა;
■ ყველა საგამოცდო საგნისათვის გასწორების ფურცლებისა და უწყისების ბეჭდვა;
■ უმაღლესი სასწავლებლებისათვის სტუდენტების სიის დაბეჭდვა;
■ შტრის-კოდების მბეჭდავი მოწყობილობების ტექნოლოგიური გამართვა, პერიოდული ტესტირება და პროფილაქტიკა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
■ უმაღლესი განათლება;
■ საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით მუშაობის 3 ან მეტი წლის გამოცდილება;
■ თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდებისა და კომპიტერულ და ქსელურ ტექნიკასთან მუშაობის გამოცდილება;
■ შტრიხ-კოდების მბეჭდავი და საბეჭდი მოწყობილობების კარგი ცოდნა;
■ გუნდური მუშაობის უნარი.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ნიმუშების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი**
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 95-25-88; 96-80-78.
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ხათუნა მხეიძე**

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2005 წლის 11 იანვარი.**

# ვისთან საუბრობდა გეორგი კირპა სიკვდილის წინ?

*უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში იუშენკოს გამარჯვების ცნობასთან ერთად, გუშინ კიევში ქვეყნის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურის, უკრაინის უმდიდრესი ადამიანების ათეულში მყოფი გეორგი კირპას უეცარი გარდაცვალების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. უნდა ითქვას, რომ უკრაინის ტრანსპორტის მინისტრის სიკვდილი სულაც არ არის უბრალო მოვლენა (როგორც მანამდე სურკისისა და მედვედჩუკის პარტნიორის, "უკრკრედიტბანკის" ხელმძღვანელის იური ლიახას საეჭვო თვითმკვლელობა) და შესაძლოა, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებთან ჰქონდეს კავშირი.*



*წინასწარი ინფორმაციით გეორგი კირპა "თვითმკვლელობამდე მიიყვანეს".*

უკრაინის ტრანსპორტის მინისტრს, გეორგი კირპას, რომლის გვამიც 27 დეკემბერს კიევის მახლობლად მდებარე ბორტნიჩის აგარაკზე აღმოაჩინეს, სიკვდილის წინ "რთული საუბარი ჰქონდა ვილაცასთან, ვისაც იუშენკოს გამარჯვების შემთხვევაში ტრანსპორტის სამინისტროს მეთაურის პოსტის დაკავება სურდა". ამის შესახებ განაცხადა ვიქტორ იანუკოვიჩის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სახალხო დეპუტატმა ნესტორ შუფრიჩმა. მისი სიტყვებით, უახლოეს მომავალში კირპას გარდაცვალების გარემოება ყველასთვის გახდება ცნობილი. შუფრიჩმა "ინსინუაცია" უწოდა კირპას სიკვდილში იანუკოვიჩის გარემოცვის წარმომადგენლების შესაძლო მონაწილეობის შესახებ საუბრებს. "იანუკოვიჩი და კირპა ერთი გუნდია," - თქვა შუფრიჩმა და აღნიშნა, რომ ვიქტორ იუშენკოს მომხრეებს არაერთხელ უსაუბრიათ თავიანთი ოპონენტების შურისძიებაზე. იუშენკოს წარმომადგენელმა ნიკოლაი ტომენკომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მთელ რიგ ცნობილ პოლიტიკოსებს უნდა მიუჩინონ დაცვა, რათა ისინი არ მიიმალონ ან არ მოკლან. "კირპას მკვლელობა ან თვითმკვლელობა იმაზე მეტყველებს, რომ თუ იუშენკო მალე არ შეუდგება თავისი ვალდებულებების შესრულებას, ჩვენ ამ რეჟიმის კიდევ არაერთი მოწმის მკვლელობის მომსწრენი გავხდებით," - განაცხადა ტომენკომ.

ორშაბათს საღამოს კიევის მახლობლად მდებარე აგარაკზე, უკრაინის ტრანსპორტის მინისტრის გეორგი კირპას გვამი აღმოაჩინეს. უკრაინის შსს-ს ინფორმაციით, ჩინოვნიკს სხეულზე ცეცხლსასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა, იქვე აღმოაჩინეს პისტოლეტიც. იმავდროულად, უკრაინულმა "მეხუთე არხმა" განაცხადა, რომ კირპას რამდენიმე ცეცხლსასროლი ჭრილობა აქვს მიყენებული და მომხდარი არ ჰგავს თვითმკვლელობას. "სტრანა.რუ"-ს მონაცემებით, კირპა, რომელიც ორშაბათს სამსახურში არ გამოცხადებულა, გარდაცვლილი ნათესავებმა იპოვნეს. აგრეთვე საუბარია იმაზეც, რომ კირპას გვამი მისმა მცველმა იპოვნა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მის აგარაკზე. სროლის ხმა მცველს არ გაუგონია. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კირპა სახლში მარტო იმყოფებოდა. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხაილ მანინი, რომელიც ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრის გეორგი კირპას მკვლელობის ფაქტზე საგამოძიებო ჯგუფს მეთაურობს, სიკვდილის მიზეზს ვერ ასახელებს.

"ჯერჯერობით ვერ დავადგენთ გარდაცვალების მიზეზს," - ამბობს მანინი. უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ გეორგი კირპას სიკვდილის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით – "თვითმკვლელობამდე მიყვანა". უკრაინის ტრანსპორტის მინისტრის ყოფილი მოადგილის ივან სალნის განცხადებით, კირპას სიკვდილი, შესაძლოა, ფინანსურ საქმიანობასა და ვალებს უკავშირდებოდეს, რადგან კიევში ხიდის მშენებლობისთვის გამოყოფილი ფული თითქმის დახარჯულია, ხოლო ხიდის მშენებლობა არც კი დაწყებულა. "პოლიტ.რუ"-ს მონაცემებით, უკრაინის ტრანსპორტის მინისტრობასთან ერთად, კირპა სარკინიგზო კომპანია "უკრზალიზნიცას" გენერალური დირექტორიც იყო. თანაც ამ თანამდებობაზე კირპა პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით დაინიშნა. კირპა განსაკუთრებით ახლოს იყო მოქმედ პრეზიდენტ კუჩმასთან.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ვიქტორ იანუკოვიჩის წამოყენებამდე, კირპას კანდიდატურა უკრაინის უმაღლესი თანამდებობის დასაკავებლად განიხილებოდა. ახლანდელ არჩევნებზე კი, ოფიციალურად, კირპა იანუკოვიჩს უჭერდა მხარს.

# რუსეთ-ჩინეთის პირველი ერთობლივი წვრთნები

2005 წლის მეორე ნახევრისთვის ჩინეთის ტერიტორიაზე, პირველად ისტორიაში რუსეთ-ჩინეთის სამხედრო წვრთნები გაიმართება. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტს ჩინეთიდან ახლახანს დაბრუნებულმა თავცდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა "უპატაკა".

კერძოდ, მინისტრი აღნიშნავს, რომ აღნიშნული წვრთნების დროს რუსეთი "არა იმდენად ჯარისკაცთა მასით, არამედ თანამედროვე ტექნიკით, საზღვაო ძალებით, ავიაციით (მათ შორის სტრატეგიულით) და წყალქვეშა ნავებით იქნება წარმოდგენილი".

მართალია, სამხედრო მანევრების დეტალური გეგმა ჯერ არ არის შედგენილი, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ წვრთნების მთავარი მიზანი ორი ქვეყნის სამხედრო ძალების ურთიერთშეთანხმებული მოქმედების გაუმჯობესება იქნება. აღსანიშნავია, რომ წინასწარვე კეთდება განცხადება – სამხედრო წვრთნები არ გაიმართება ჩინეთის რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს საზღვრის სიახლოვეს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ შეთანხმებას ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა 12-15 დეკემბერს, სერგეი ივანოვის ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის დროს მიაღწიეს. თუმცა, წვრთნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლა გახდა ფართოდ ცნობილი.

სერგეი ივანოვმა ჩინეთთან სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების მცდელობისთვის საეჭვო ელფერის ასაცილებლად, ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთს მომავალ წელს სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად დაგეგმილი მანევრების მთელი სერიალი ელოდება. მაგალითად, აპრილში ტაჯიკეთში გაიმართება სამხედრო წვრთნები დსთ-ს კოლექტიური თავდაცვის შესახებ შეთანხმების ორგანიზაციის ფარგლებში. ამას გარდა, 2005 წელს დაგეგმილია რუსეთ-ნატო-ს სამხედრო წვრთნებისა და საფრანგეთთან ერთად საზღვაო წვრთნების ჩატარებაც. სერგეი ივანოვის თქმით, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება დაგეგმილია გერმანიასთანაც. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხმელთაშუა ზღვაში საზღვაო მანევრებში მონაწილეობის მიღებაზეც, სადაც რუსეთის გარდა აშშ-სა და ნატოს სხვა წევრქვეყნების, ასევე რეგიონის ქვეყნების სამხედრო საზღვაო ფლოტებიც იქნებიან წარმოდგენილი.




# სლოვაკეთი მოქალაქეობის გაცემას ართულებს

კოტე ელიზბარაშვილი

სლოვაკეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა უსიამოვნო ტენდენცია გამოავლინეს. გაირკვა, რომ ევროკავშირში სლოვაკეთის გაწევრიანების შემდეგ, სოკოებივით მომრავლდა "საქორწინო" ბიზნესი. სლოვაკეთის მოაქალაქეობის მსურველთა რიცხვი წელს თითქმის ორჯერ გაიზარდა. პრეტენდენტთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც კანონს არღვევს. კანონის თანახმად, სლოვაკეთის მოქალაქეობას ადამიანი სულ მცირე ხუთი წელი უნდა ელოდოს, თუმცა ამ ვადის შემცირება შეიძლება, თუ "თეთრ" ქორწინებას (როგორც ფრანგები ამბობენ) მოახერხებ, ანუ ანგარებიან ქორწინებას. ინტერნეტში ხომ "ყრია" განცხადებები სახელად "შენ დაგეძებ დილაა თუ ბინდია". ხოდა, საზრიანი სლოვაკი ქალბატონები ბლომად გვთავაზობენ საქორწინო მომსახურებას, თანაც განცხადებაში არ ივიწყებენ იმის მითითებას, რომ ფასი შეთანხმებადია. ფასი რამდენიმე ათასი დოლარია. სლოვაკეთის საზღვრისპირა და უცხოური პოლიციის განყოფილების უფროსის განცხადებით, პასუხი უნდა აგოს არა საქორწინო მომსახურების შემომთავაზებელმა, არამედ მისმა "მომხმარებელმა". უცხოელი ვალდებულია იცოდეს, რომ "თეთრი" ქორწინების ხარჯზე სლოვაკეთში ცხოვრება აიკრძალება და რესპუბლიკის ტერიტორიიდან მსგავსი პიროვნება გაიდევნება. შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2005 წლის პირველი იანვრიდან "თამაშის წესების" გამკაცრება გადაწყვიტა. ახალი წლის შემდეგ, სანამ მოქალაქეობას მიიღებდეს, უცხოელმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა შეასრულოს. კერძოდ, საჭიროა სლოვაკეთის ქალ ან მამაკაც მოქალაქესთან ქორწინებაში ყოფნის მინიმუმ სამწლიანი "სტაჟი". რასაკვირველია, წესებიდან გამონაკლისიც არის გათვალისწინებული. კანონმდებლობა მოქალაქეობას "ურიგოდ" ანიჭებს მათ, ვისაც ღირებული წვლილი აქვს შეტანილი სლოვაკეთის ეკონომიკურ, სამეცნიერო ან კულტურულ ცხოვრებაში.

## მოკლედ

### პუტინის მრჩეველი ხელისუფლებას აკრიტიკებს

რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში ანდრეი ილარიონოვმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სრულიად არაკომპეტენტურად ერევა ეკონომიკაში, ხოლო თავად ქვეყანამ მიმდინარე წელს განვითარების ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოდელი შეიცვალა.

გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ილარიონოვმა მაგალითად ნავთობის კონცერნ "იუკოსის" ირგვლივ შექმნილი სიტუაცია მოიყვანა და 100-პროცენტიანი სახელმწიფო კაპიტალის მქონე "როსნეფტის" მიერ "იუკოსის" უდიდესი შვილობილი კომპანიის - "იუგანსკნეფტეგაზის" შეძენას "წლის აფერა" უწოდა. "არსებითად განხორციელდა ეკონომიკის განვითარების მისაღები, თუმცა არალიბერალური, ინერციული მოდელიდან ინტერვენციონისტულ მიმართულებაზე გადასვლა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს უაღრესად არაკომპეტენტურ ჩარევასთანაა დაკავშირებული," - ამბობს ილარიონოვი. მისი თქმით, ხშირად ეკონომიკურ საკითხებში ერევიან ჩინოვნიკები, რომლებსაც ეკონომიკასთან არანაირი კავშირი არ აქვთ.

უკომპრომისო ლიბერალური შეხედულებებით ცნობილი ილარიონოვი ხაზს უსვამს, რომ ეს წარმოქმნილი მოდელი სწორედ არაკომპეტენტური პირების ჩარევის შედეგია.

რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა აღნიშნა, რომ "იუკოსის" საქმე უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. ახლანდელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში რუსეთი უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში მთლიან ეროვნულ პროდუქტს ვერანაირად ვერ გააორმაგებს – პუტინის დანაპირებისაგან განსხვავებით, თვლის ანდრეი ილარიონოვი. რადგანაც, მისი აზრით, ასეთი რამ თანმიმდევრული, გაწონასწორებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებშია შესაძლებელი და არა ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდასთან დაკავშირებული ეკონომიკური წინსვლით.

პუტინის მრჩეველმა მისი მხრიდან ხელისუფლების ესოდენ მკაცრი კრიტიკა შემდეგნაირად ახსნა: "იმის თქმა, თითქოს ახლა ყველაფერი შესანიშნავად მიდის და ახლანდელი პოლიტიკით კარგ შედეგს მივაღწევთ, სახელმწიფოს პოზიციებისთვის ზიანის მიყენება იქნებოდა. საკუთარ თანამდებობაზე ვაკეთებ იმას, რასაც ქვეყნისთვის სასარგებლოდ ვთვლი".

*ბი ბი სი*

### მიწისძვრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტურისტულ ინდუსტრიას უძლიერესი დარტყმა მიაყენა

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარმა მიწისძვრამ ამ რეგიონის ტურისტულ ინდუსტრიას უძლიერესი დარტყმა მიაყენა. შეგახსენებთ, კვირას დაფიქსირებულმა თითქმის ცხრაბალიანმა (რიხტერის შკალით) მიწისქვეშა ბიძგებმა და თანმდევმა ცუნამმა ათეული ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

წელს ტაილანდი 12 მლნ. ტურისტის მიღებას გეგმავდა, გაისად ეს ციფრი მას კიდევ მილიონნახევრით უნდა გაეზარდა. შედარებისთვის: 1995 წელს ქვეყანაში 7 მილიონზე ნაკლები ტურისტი ჩავიდა. საშუალოდ ყოველი უცხოელი ვიზიტორი ტაილანდში რვა დღეს ატარებს და დღეში დაახლოებით 100 დოლარს ხარჯავს. ქვეყნის ხელისუფლება ტურიზმისთვის მიყენებულ ზარალს, ჯერჯერობით, ნახევარ მილიარდ დოლარად აფასებს. ტაილანდის მთავრობა ვარაუდობს, რომ სამ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ რაიონში - ჰუქეთში, პან-ნგასა და კრაბში ცუნამით დანგრეულ ობიექტებს სამი თვის განმავლობაში აღადგენს. თუმცა დამოუკიდებელი ექსპერტები თვლიან, რომ ამას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება. ავიაკომპანია "ტაი ეარვეისმა" დაჯავშნული ბილეთების უკან დაბრუნებით დაახლოებით 7 მლნ. დოლარი დაკარგა.

უახლოეს ხანებში რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო ტაილანდიდან რუსი ტურისტების გაყვანას დაიწყებს. თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვში 200-მდე ტურისტს ჩაიყვანს, ბანგკოკში 30 დეკემბერს ღამეს გაფრინდება. ამის პარალელურად, რუსეთიდან სტიქიური უბედურების რეგიონში ტურისტული ავიარეისები გრძელდება. რადიო "თავისუფლების" ცნობით, გუშინ კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან ტაილანდში გაფრინდა თვითმფრინავი, რომლის ბორტზე 148 ტურისტი იმყოფებოდა. კამჩატკიდან კიდევ ორი ტურისტული რეისი 29 დეკემბრისთვის და 4 იანვრისთვისაა დაგეგმილი. ჯერჯერობით, არც ერთ ტურისტს ავიაბილეთი უკან არ დაუბრუნებია.

*ინტერ-პრესი*

### უსამა ბინ ლადენი კვლავ "ეთერშია"

აშშ-ს სპეცსამსახურებს არაბული ტელეკომპანია "ალ ჯაზირას" ეთერით გადაცემული აუდიომიმართვის ავტორის დასადგენად რამდენიმე დღე დასჭირდათ. აღსანიშნავია, რომ ამერიკელი სამართალდამცავები უკანასკნელ დრომდე არ ადასტურებდნენ მიმართვის ნამდვილობას.

უსამა ბინ ლადენმა თავის მორიგ აუდიომიმართვაში ერაყელებს იანვარში დანიშნული საყოველთაო არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა.

როგორც კატარის ტელეარხი "ალ-ჯაზირა" იუწყება, მთავარმა საერთაშორისო ტერორისტმა განაცხადა, რომ ის, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, "ურჯულოდ" ჩაითვლება და შესაბამისად, სასტიკი სასჯელი ელოდება.

ბინ ლადენმა ერაყში "ალ-ქაიდას" ქსელის ერთ-ერთი დაჯგუფების ხელმძღვანელი აბუ მუსაბ აზ-ზარქავი ერაყის "ამირად" დანიშნა და ამერიკის ჯარების წინააღმდეგ ოპერაციების წარმატებით განხორციელება მიულოცა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს ბინ ლადენის უკვე მეორე აუდიომიმართვაა. 16 დეკემბერს ერთ-ერთ ისლამისტურ ინტერნეტ-საიტზე განთავსებულ მიმართვაში მსოფლიოს №1 ტერორისტმა ექსტრემისტებს ერაყის და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების ნავთობსადენზე და ტერმინალზე თავდასხმისკენ მოუწოდა, რათა აშშ-ს რეგიონიდან ნედლეულის იმპორტის საშუალება არ მიეცეს.

*24 საათი*

# უდიები - კავკასიელ ალბანელთა შთამომავლები

ლელა მარგიანი

*აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, დაახლოებით, მეათე საუკუნემდე არსებობდა სახელმწიფო, რომელიც ისტორიაში შესულია "ალბანეთის სახელმწიფოს" სახელით. მას "კავკასიის ალბანეთსაც" უწოდებენ, რათა განასხვავონ ბალკანეთის ალბანეთისგან. ისტორიის ავბედობის გამო, კავკასიის ალბანთა სახელმწიფო ათასწლეულის წინათ დაიშალა და სამუდამოდ გაქრა, მაგრამ დღემდე არსებობს კავკასიაში მცხოვრები ამჟამად ძალიან მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი – უდი ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის სომხურ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც ალბანთა შთამომავალი. თანამედროვე მეცნიერი-კავკასიოლოგები მათ ისტორიული ალბანეთის (ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით – ჰერეთის) ერთ-ერთ გადარჩენილ ტომად მიიჩნევენ.*



უდი ბავშვები

კავკასიელი ალბანელების მცირერიცხოვანი შთამომავლები - დაახლოებით, 8 ათასი ადამიანი, კომპაქტურად მხოლოდ სამ სოფელში ცხოვრობს. მათგან ორი – ვართაშენი და ნიჯი აზერბაიჯანშია, ერთი - ზინობიანი (საბჭოთა პერიოდში – ოქტომბერი) საქართველოში. ვართაშენი და ნიჯი აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ნუხის მაზრაში (განჯის გუბერნია) შედიოდა. ეს სოფლები ნუხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, 50 კილომეტრში მდებარეობს, ხოლო ერთმანეთისგან 34-40 კილომეტრითაა დაშორებული. ამჟამად ვართაშენი რაიონული ცენტრია, ხოლო ნიჯი კუტკაშენის რაიონში შედის.

უდი ხალხის ენას აკუთვნებენ მთის კავკასიურ ენათა აღმოსავლურ ჯგუფს, უფრო კონკრეტულად, ლეზგიურ ენათა ჯგუფს.

რაც შეეხებათ საქართველოში მცხოვრებ უდიებს, ისინი წარმოშობით ვართაშენიდან არიან. ამავე დროს, სოფელ ვართაშენის და შესაბამისად, სოფელ ზინობიანის მკვიდრნიც მართლმადიდებელი ქრისტიანები, დიოფიზიტები არიან, ხოლო ნიჯელები - ისტორიულად სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის მრევლად ითვლებიან.

უდიები საქართველოში გადმოსახლდნენ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან და მათი გადმოსახლების ძირითადი მიზეზი გამხდარა სომეხთა ცნობილი გენოციდი. ამის შესახებ საინტერესო ფაქტები შევიტყვეთ სოფელ ზინობიანის მკვიდრის, ბატონი მამული ნეშუმაშვილისგან, რომლის ინფორმაციითაც, **"სოფელ ვართაშენში უდიებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხებიც. როდესაც მუსავატებმა დაიწყეს სომხების ხოცვა, ისინი როგორც ქრისტიანები, შეიფარეს უდიების ოჯახებმა. მაშინ მუსავატებს უდიების დახოცვაც დაუწყიათ. იმ დროს თბილისში ცხოვრობდა რამდენიმე უდიური ოჯახი და არსებობდა მცირერიცხოვანი დიასპორა".** სწორედ დიასპორის ერთ-ერთი წევრის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ზინობი სილიკაშვილის თაოსნობით, მოხდა უდიების საქართველოში, ყვარლიდან 15 კილომეტრით დაშორებულ ადგილას დასახლება. სიკვდილს გადარჩენილმა მადლიერმა ხალხმა თავისი წინამძღოლის პატივსაცემად სოფელს "ზინობიანი" დაარქვა (საბჭოთა პერიოდში სოფელს სახელი გადაარქვეს და "ოქტომბერი" უწოდეს. დამოუკიდებელ საქართველოში სოფელმა ისევ დაიბრუნა ძველი სახელწოდება - ზინობიანი). ვართაშენიდან ორ ნაკადად გადმოსახლებულ ექვსასამდე უდს, რომელთა შორის ბევრი იყო ბავშვი და ქალი, აზერბაიჯანიდან არაფერი არ გამოატანეს, პირადი ნივთების გარდა. უდიებმა იქ დატოვეს ყველაფერი: მშვენიერი სახლ-კარი, საქონელი, წინაპართა საფლავები და ქრისტიანული ტაძრები (თან მხოლოდ რამდენიმე სიწმინდის გადმოსვენება შეძლეს).

საქართველოს მთავრობამ უდიები ჩაასახლა მაშინდელ თელავის მაზრაში, ჩანთლისყურეში, ყვარელთან ახლოს. ჩამოსახლებულები პირველი ორ წელიწადს მიწურებში ცხოვრობდნენ, ხოლო 1924 წლიდან ახლანდელ ადგილზე დაიწყეს სოფლის მშენებლობა. შრომისმოყვარე და მუყაითმა უდიებმა სოფელი გეგმის მიხედვით გააშენეს და ახლანდელი ზინობიანიც ისევ ისე - პარალელური ქუჩების გარშემოა გაშენებული.

უდიები ოდითგანვე მისდევდნენ მესაქონლეობას, მებაღეობა-მევენახეობას, მემინდვრეობას (მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი); ხელოსნობაც ეხერხებოდათ; ქალებს უყვარდათ ქსოვა და ქარგვა, მამაკაცებს - დურგლობა და ხუროთსაქმე; ემარჯვებოდათ ხე-ტყის დამზადება და აგურ-კრამიტის გამოწვის საქმეც, ასევე – მჭედლობა; მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. ამისთვის სოფელს საკუთარი ბოილერი ჰქონია და აბრეშუმის პარკის ამოხვევა იქვე ხდებოდა.

უდიებს სწავლა-განათლების მიღებაც ჰყვარებიათ, რაზეც ნათლად მეტყველებს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ გადმოსახლებულთა შორის ინტელიგენციის 35 წარმომადგენელი იყო (მათ შორის, უმაღლესდამთავრებული სპეციალისტები: მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები), არამედ ისიც, რომ პირველი შენობა, რომელიც საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ უდიების სოფელში აიგო, იყო სოფლის სკოლა (თავად სოფლის მცხოვრებნი ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, მიწურებში ცხოვრობდნენ).

სოფელ ზინობიანის ერთსართულიან შენობაში განთავსებული სკოლის პირველი დირექტორი გახლდათ უდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, უაღრესად განათლებული პიროვნება თევდორე ჯეირანაშვილი, რომელმაც პირველად შეადგინა და გამოსცა უდიური ენის სახელმძღვანელო ("სამჯი დას"). თევდორე ჯეირანაშვილს ჰყავდა ქართველი, ინგილო მეუღლე - სოფიო თამაზაშვილი, რომელიც საქართველოში გადმოსახლებულ უდიების უფროს თაობას ქართულ ენას ასწავლიდა, რადგან ისინი ვართაშენში რუსულ ენაზე სწავლობდნენ (აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დიდებული ოჯახის შთამომავალები არიან ცნობილი ქართველი მსახიობი ბატონი გურამ საღარაძე და მისი დეიდაშვილი, ფილოლოგი ქალბატონი ცაცო ჩიკვაიძე).

ჩამოსახლებული უდიები კარგად შეეგუენ ქართულ გარემოს და თითქმის, ისეთივე წეს-ჩვეულებებით ცხოვრობენ, როგორც ქართველები. ამჟამად სოფელში ცხოვრობს 176 ოჯახი - ხუთასი ადამიანი, რომელთაგან 320 ამომრჩეველია. სოფლის სკოლაში სულ 63 მოსწავლეა და მათგანაც მხოლოდ ორმოცდახუთია უდი, დანარჩენები მეზობელი სოფლიდან - ჭიკაანიდან დადიან, რადგან ზინობიანის სკოლაში, სხვა სკოლებისგან განსხვავებით, უკეთესი პირობებია და არანაირი გადასახადი არ არსებობს. სოფლის საბავშვო ბაღში, რომელიც თავის დროზე სოფიო თამაზაშვილს დაუარსებია, ამჟამად მხოლოდ 17 აღსაზრდელი ჰყავთ, მაგრამ სკოლისგან განსხვავებით, ბაღის შენობას იატაკიც კი არა აქვს ნორმალური და, როგორც ბაღის მზარეულმა, ნიჯიდან გამოთხოვილმა ვალია ბროიანმა გვითხრა, აღმზრდელები კედელზე აკრულები არიან, რომ ჩანგრეულ იატაკში არ ჩავარდნენ. თავად ვალია ორი დაოჯახებული შვილის დედა, დიდი ხანია, ბაღში მუშაობს, და რადგან ოცდათხუთმეტლარიანი ხელფასით ოჯახს ვერ ინახავს, სხვა თანასოფლელების მსგავსად, ჩვენთან შეხვედრისას, კვირა დილას, ადრიანად მეზობელი სოფლის - ახალსოფლის ბაზარში მიიჩქაროდა მზესუმზირისა და ჩურჩხელების გასაყიდად (სტუმართმოყვარეობის წესისამებრ, გასაყიდად გამზადებული ჩურჩხელა მაინც გვაჩუქა).

როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები, უდიელები ერთმანეთზე არ ქორწინდებიან, ამიტომ ზინობიანში ბევრ ოჯახში ჰყავთ არა მხოლოდ აზერბაიჯანიდან მოყვანილი ნიჯელი რძლები, არამედ ქართველი რძლებიც, რომელთა უმეტესობამ ისწავლა უდიური ენა და როგორც ბატონი მამული გვეუბნება, "უდების მომავალი ქართველი ქალების ხელშია". იქვე იმასაც დასძენს, რომ თავად ქართველად ეწერება და არაფერი ქართული მისთვის უცხო არაა, მაგრამ იმავდროულად, თავდაუზოგავად სწავლობს საკუთარი უდი ხალხის ისტორიას.

სოფელ ზინობიანში ბატონმა მამულიმ და მისმა ქართველმა მეუღლემ ქალბატონმა ნანა სეფაშვილმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, სკოლის დირექტორია, სკოლის შენობაში მოაწყეს მუზეუმი, სადაც გამოფენილია ბატონი მამულის რამდენიმეწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგი: უდიების შესახებ არსებული, ხის ჩარჩოებში ჩასმული ისტორიული ცნობები, უდიების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ძველი ფოტოები და უდიელი ტიპაჟების ფოტო და ფერწერული პორტრეტები. აქვეა კაკლისა და თხილის სამტვრევი მუხისგან გაკეთებული სპეციალური მოწყობილობა, უდიელი ქალ-ვაჟის ჩაცმულობის ნიმუშები და მრავალი სხვა.

ბატონმა მამულიმ გაგვაცნო სკოლისა და მის მიერ დაარსებული მუზეუმის ისტორიაც: **"საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოოპერატივების შექმნა რომ დაუშვეს, სახელმწიფო სამსახურს თავი დავანებე და მცირე ბიზნესი წამოვიწყე. სოფლის თავში ავტო-პროფილაქტორიუმი გავხსენი. რამდენიმე წელი კარგად ვიმუშავე. მაგრამ, ამ დროს ძალიან გამიტაცა ჩემი ხალხის ისტორიის შესწავლამ. ამიტომ, ყველაფერს თავი დავანებე და მეცნიერებას ჩავუჯექი. ბევრს ვმუშაობ. განსაკუთრებით ღამე მიყვარს წერა – მაშინ, როცა ყველას სძინავს და სიწყნარეა. ამასობაში სამი პროექტიც დავწერე. ერთ-ერთი პროექტით – "უდიები საქართველოში" სკოლაში მუზეუმი მოვაწყეთ. იქ მხოლოდ მობილური, სამუზეუმო ექსპონატებია გამოფენილი - ისეთები, რომელთა გადატანა, დაინტერესების შემთხვევაში, საქართველოს ნებისმიერ მუზეუმშია შესაძლებელი. მცირე პროექტმა საშუალება მოგვცა, შეგვეკეთებინა სკოლის გალავანი, ავარიული დიდი ოთახი, რომელშიც განთავსდა მუზეუმი და გაუკეთდა რკინის სქელი გისოსები, სკოლის სახურავიც შევაკეთეთ. გაზაფხულზე გვინდა, მიმოზის ნერგები ვიყიდოთ და სკოლის ეზოში დავრგოთ".**

სკოლის დირექტორი, მეუღლის ხელშეწყობით განახლებული ბიბლიოთეკით ძალიან კმაყოფილია. **"მცირე თანხის საშუალებით ძველი წიგნები შევიძინეთ. სახელმძღვანელოების გარდა, ამჟამად 1500-ზე მეტი წიგნი გვაქვს. ასე, რომ სხვა სოფლების სკოლებისგან განსხვავებით ჩვენი სკოლის თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია ყველა სახელმძღვანელოთი. სკოლასა და მუზეუმში ხშირად გვყავს საპატიო ქართველი და უცხოელი სტუმრები, რომელთაც ვაცნობთ უდი ხალხის ისტორიას", –** გვიყვება ქალბატონი ნანა - უდიების ქართველი რძალი, რომელიც, მეუღლის ზეგავლენით, თავადაც აქტიურადაა ჩართული ამ საქმეში.

მუზეუმში სტუმრობისას შევიტყვეთ უდიების რამდენიმე დღესასწაულისა და წეს-ჩვეულების შესახებ. ისინი, როგორც ქრისტიანები, აღნიშნავენ "ბზობას, რომელსაც უდიურად ეწოდება "ზარაზართარ", აღდგომას, აღდგომის მეორე დღეს "ტაპაკ"-ს, გიორგობას, რომელსაც ჰქვია "წიმერი". ამავე დროს მათ, როგორც "გამოკვეთილ ტოლერანტებს", ახალი დღესასწაულიც დაუწესებიათ - "ხალხთა სოლიდარობის დღე", რომელსაც ყოველწლიურად მთელი სოფელი 2 მაისს აღნიშნავს.

მუზეუმიდან გამოსულებს, სოფლის შარაზე ბაზრობიდან მომავალი სოფლის განთქმული თამადა, ბატონი შოთა ქუმსიაშვილი შეგვხვდა. როგორც აღმოჩნდა მას, "თამადობის" გარდა, გაცილებით პროზაული პროფესიაც ჰქონია: იგი სოფლის ინკასატორად მუშაობს. სწორედ მისგან შევიტყვეთ ზინობიანელთა სატკივარი. მისი თქმით, სოფელში დიდი ხანია, დაზიანებულია კომუნისტების დროს გაყვანილი წყლის სისტემა და ამიტომ სასმელი წყალი მხოლოდ სამ-ოთხ დღეში ერთხელ მიეწოდებათ. ამავე დროს, წყლის მიწოდება ხდება წყალსაქაჩის საშუალებით, რომელსაც ელექტროენერგია სჭირდება. ამის გამო, ელექტორენერგიის თანხას, რომელიც ოჯახზე რამდენიმე ლარია, წყალსაქაჩის ამუშავების გამო გახარჯული დენის ფულიც ემატება. ყოველივე ეს კი, მძიმე ტვირთად აწვება სოფლის მოსახლეობას, რომელთა უმეტესობა პენსიონერია. **"იქნებ რაიონის საკრებულომ მოახერხოს და სასმელი წყლის გამო დამატებული დენის გადასახადის ნახევარი მაინც გადაგვიხადოს"-** გვითხრა ბატონმა შოთამ გამომშვიდობებისას.

დაბოლოს, ზინობიანის მცხოვრებთა მთავარი პრობლემა, რომელსაც მოხუცების ამარა დარჩენილ სოფელში, სხვათა დახმარების გარეშე ვერაფრით მოაგვარებენ, არის ის, რომ სოფელში არ დგას ტაძარი. სოფლის მკვიდრთ, განსაკუთრებით მოხუცებს, ძალიან უჭირთ მეზობელ სოფლებში ეკლესიაში სიარული. მართალია, ცოტა ხნის წინათ ერთგვარი გამოსავალი გამოინახა და სოფლის ფოსტის შენობაში, ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევით, მცირე სამლოცველო მოაწყვეს, მაგრამ აქაურებს ძალიან დიდი სურვილი აქვთ, რომ სოფელში ტაძარი აშენდეს, რომელშიც უძველესი ალბანელების შთამომავლები, წესისამებრ, ქართულად ილოცებენ.

# დასაჩუქრების დღე

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის ხელმძღვანელობამ საახალწლო საჩუქრების დარიგება სამი დღით ადრე დაიწყო. გუშინ რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიება მოეწყო. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა 100 წლის მოხუცი, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ 50 მრავალშვილიანი ოჯახი, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ კი 300 უზედამხედველო ბავშვი დაასაჩუქრეს.*



ვახო ბესელიას ფოტო

*მარიამმა ჩვენს ოჯახში, ჩემი ჩათვლით, ხუთი თაობა გამოზარდა.*

1904 წელს დაბადებული მარიამ მაისურაძეს 100 წელი გუშინ შეუსრულდა. იგი ცოტნე დადიანის ქუჩაზე, საკუთარ გაზრდილთან ცხოვრობს. მარიამ მაისურაძე ჯავახეთში დაბადებულა, მაგრამ 1998 წელს თურქებს მისი ოჯახი მშობლიური კერიდან აუყრიათ. მარიამი ბეჟიტაძეების ოჯახში ძიძად დამდგარა და, უკვე 80 წელია, მათ ოჯახში ცხოვრობს. **"საქმრო კი ჰყავდა, მაგრამ ჯარში წასულა და იქიდან აღარ დაბრუნებულა. მარიამმა ჩვენს ოჯახში, ჩემი ჩათვლით, ხუთი თაობა გამოზარდა; "ლაღიძის წყლებშიც" მუშაობდა გამყიდვლად",** – გვითხრა მარიამის გაზრდილმა, 80 წელს გადაცილებულმა მარგო ბეჟიტაძემ.

გამზრდელ-გაზრდილს საჩუქრებით ხელდამშვენებული სტუმრების მისვლა არ გაჰკვირვებიათ - გაფრთხილებულები იყვნენ. სუფრაც გაეშალათ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობამ ქალბატონ მარიამს 300 ლარი, ყვავილები და ტკბილეულობა გადასცა. კარგად იყავით, იხარეთ და იმრავლეთო, - დალოცა 100 წლის მარიამმა სტუმრები და ღვინით სავსე ჭიქა ბოლომდე გამოცალა. რა გიკვირთ, წინდას უსათვალოდ ქსოვსო, - გვითხრა მისმა გაზრდილმა.

თბილისში 100 წელს გადაცილებული 50 მოხუცი ცხოვრობს. კუთვნილი 300 ლარი ყველა მათგანმა მიიღო. ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი ზაზა გოროზია მათ ჰპირდება, რომ მომავალი წლისთვის დახმარება 400-500 ლარამდე გაეზრდებათ.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგობამ 50 მრავალშვილიანი ოჯახი 150-ლარიანი ვაუჩერებით დაასაჩუქრა. ეს ვაუჩერები მათ ქალაქის მერმა, პრემიერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გადასცეს. ამის გარდა, მრავალშვილიანი ოჯახები "პროკრედიტბანკმა", "თი-ბი-სი" ბანკმა, სადაზღვეო კომპანია "ალდაგმა", "ყაზბეგმა", "სამგორმა", "კოკა-კოლამ" და "ნუკოილმაც" დაასაჩუქრეს. "პროკრედიტბანკმა" სამ ოჯახს 200-200 ლარი და №2 საავადმყოფოში უფასო მკურნალობის ვაუჩერი გადასცა.

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ კი მიუსაფარ ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების 300-მდე აღსაზრდელს კარნავალი მოუწყო და ხილითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა. მუსიკალური თეატრი "ჭინჭრაქა", თოვლის პაპა, ფიფქია, ილუზიონისტები და ჯამბაზები პატარების გამხიარულებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. **"ჩვენი ბავშვებისთვის ასეთი ზეიმი ბევრს ნიშნავს. ვერ წარმოიდგენთ, რა დადებითი მუხტის მიმცემია მათთვის ასეთი ყურადღება",** – განაცხადა მიუსაფარ ბავშვთა სახლის "მომავლის სახლის" დირექტორმა ცირა ლანჩავამ. გამგეობის წარმომადგენლებს არც ის ბავშვები დავიწყებიათ, ვინც ავადმყოფობის გამო კარნავალზე მისვლა ვერ მოახერხა, მათ პადაგოგების ხელით საჩუქრები გაუგზავნეს.

# არშემდგარი აქცია

*გუშინ თბილგაზის შენობასთან შეკრებილმა ათამდე ადამიანმა ფართომასშტაბიანი აქციის მოწყობა ახლო მომავლისთვის გადადო. არშემდგარი აქციის მონაწილეები ბუნებრივი აირის მიწოდებას ითხოვდნენ. მათი განცხადებით, ნაძალადევის რაიონის 24 ქუჩას, უკვე ექვსი წელიწადია, გაზი საერთოდ არ აქვს, დანარჩენს კი იმდენად დაბალი წნევით მიეწოდება, რომ გაზქურების ანთებას ვერ ახერხებენ. თბილგაზის გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე მოსახლეობას ამ პრობლემის მოგვარებას 20 იანვრისთვის ჰპირდება.*

თამარ დვალი

**"დაახლოებით, ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ნაძალადევის რაიონის მთელ რიგ ქუჩებს ბუნებრივი აირი არ მიეწოდება. გათბობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ჩვენ გაზი თვალითაც არ გვინახავს. დანარჩენ ნაწილს მიეწოდება, მაგრამ იმდენად დაბალი წნევით, რომ გაზქურის ანთება მხოლოდ ღამის სამი საათიდან არის შესაძლებელი. უამრავჯერ მივმართეთ ქალაქის მაშინდელ მერს ვანო ზოდელავას. მან მოგვისმინა და განცხადების ასლი თბილგაზის მაშინდელ ხელმძღვანელს ცაავასა გადაუგზავნა. მაშინ დაიწყეს გაზგამანაწილებელი სადგურის გარემონტება, მაგრამ მისი შეერთება ვერ მოხერხდა, ისე შეწყდა სამუშაო პროცესი. სამწუხაროდ, ფიზიკურად ველარ მოვახერხეთ შეხვედროდით ახალ ხელმძღვანელს", –** აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

აქცია, რომელიც გუშინ ვერ შედგა და ახალი წლის შემდეგ დაიგეგმა, ალბათ, აღარც გაიმართება. როგორც თბილგაზის გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ აქციის მონაწილეებს განუმარტა, სამუშაოები უკვე დაწყებულია და, სავარაუდოდ, 20 იანვრისთვის დასრულდება.

**"დაბალი წნევის გაზსადენები, რომლითაც არის გაზიფიცირებული თბილისის უბნები, რეალურად, ვერ ატარებს იმ რაოდენობის გაზს, რასაც მოსახლეობა მოიხმარს. ახლო მომავალში გაიხსნება კიდევ ერთი, ახალი, 1700-მეტრიანი გაზსადენი, რომელიც მდგომარეობას გააუმჯობესებს, თუმცა პრობლემას ვერ გადაჭრის. სამუშაოები უკვე დაწყებულია, სამ ცვლაში მიმდინარეობს და 20 იანვრისთვის ნაძალადევის რაიონს გაზის მიწოდება აღუდგება",** - განმარტა მორჩილაძემ. მისივე თქმით, იმისათვის, რომ თბილისს გაზი მაღალი წნევით მიეწოდებოდეს, 150 მილიონი ლარია საჭირო.

# ველური ვაჭრობა

*ის, რომ სამომხმარებლო ბაზარი უხარისხო, ფალსიფიცირებული პროდუქციით არის გაჯერებული, ყველამ ძალიან კარგად იცის. ისიც ცნობილია, რომ იმ უვარგისი საკვების უმრავლესობა საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. როგორც ექსპერტები ამბობენ, იმ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი, რომლის 35-40 პროცენტს იმპორტირებული პროდუქცია შეადგენს, უვარგისია. ჩვენ უარეს მდგომარეობაში ვართ.*

თამარ მაისურაძე

ცნობისთვის, განვითარებულ ქვეყნებში სხვა ქვეყნებიდან შესული საკვების რაოდენობა შვიდ-რვა პროცენტს არ აღემატება. საქართველოში კი, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ მამულაშვილი აცხადებს, მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქტის 90 პროცენტს უდრის. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციას გუშინ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მასპინძლობდა.

მაგიდაზე დაწყობილი უცხოური წარმოების სხვადასხვა პროდუქტი, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, უხარისხო და ჯანმრთელობისთვის საზიანოა. **"ხედავთ რაიმე განსხვავებას"?** – სვამს კითხვას მომხმარებელთა ასოციაცია და იმ განსხვავებაზე მიუთითებს, რითაც მყიდველმა ფალსიფიცირებული და უსაფრთხო პროდუქციის გარჩევა უნდა შეძლოს. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი საკვები პროდუქტის გამოშვების თარიღია. ზურაბ მამულაშვილის აზრით, მომხმარებელს ავიწყდება, რომ ამა თუ იმ პროდუქტის შეძენამდე გამყიდველს სერტიფიკატი მოსთხოვოს, რადგან, როგორც ირკვევა, უვარგისი პროდუქტისგან თავის არიდების ერთადერთი საშუალება სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობითაა შესაძლებელი. ასოციაციის წარმომადგენლები ეროვნული პროდუქტის შეძენას გვირჩევენ და აცხადებენ, რომ ქართული პროდუქტები უცხოურზე მეტად ხარისხიანია.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის

პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ნებართვა"

გზამკვლევი უფასოა

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; e-mail : office@economists.ge

IRIS პროექტი ხორციელდება "აირის საქართველო"-ს მხარდაჭერით

კომპანიებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ!

საახალწლო საჩუქრები

Ritter SPORT Confetteria Raffaello FERRERO ROCHER

თუ გსურთ ღირსეული საახალწლო საჩუქარი გაუკეთოთ თქვენს კოლეგებს, მეგობრებსა და ახლობლებს, დაგვიკავშირდით და ჩვენ ადგილზე მოგაწვდით კომპანიების ფერერო (FERRERO) და რიტერ სპორტი (Ritter SPORT) უმაღლესი ხარისხის შოკოლადის პროდუქციას.

სადისტრიბუციო კომპანია "სიესტა"
ტელეფონი: ოფისი: 53 69 04
893 91 35 41
899 31 98 31
ფაქსი: 53 71 16
ელ-ფოსტა-nsimonova@siesta.ge

სერტიფიცირებულია

# ლიფტების ბიზნესის მიღმა დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს

*საქართველოში, ალბათ, ცოტამ თუ იცის, რას ნიშნავს ლიფტების ბიზნესი და რა ქვედა დინებებია ამ საქმიანობაში. არადა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული ბიზნესი, რომელიც, თურმე, თავისი არსებობის მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის, საკმაოდ დიდი წინააღმდეგობებით ვითარდება, რასაც ხშირად კრიმინალამდე და პირად ანგარიშსწორებამდეც მივყავართ.*

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, იმავე რაიონის პროკურატურის შუამდგომლობით, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა თეიმურაზ (ბაჩო) შარაშენიძეს, რომელიც მისი ახლობლების განცხადებით, უკანონო პატიმრობაში აღმოჩნდა და სწორედ ლიფტის ბიზნესში არსებულ დაპირისპირებას შეეწირა.

თეიმურაზ შარაშენიძე, რომელიც სპეცდანიშნულების რაზმის "ალფას" წევრი იყო, წლების განმავლობაში უშიშროების სამინისტროს სისტემაში მუშაობდა. სახელმწიფო სტრუქტურიდან წამოსვლის შედეგ კი მან საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. კერძოდ, შარაშენიძემ გამოიგონა ლიფტის ყუთი, რაზეც მას საავტორო უფლების ლიცენზიაც გააჩნია და საკუთარი ფირმა "კომპიუტერ ლენდი" შექმნა. აღნიშნული ფირმა მოსახლეობის ლიფტებით მომსახურებას უზრუნველყოფს და, აბონენტების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ წარმატებულადაც.

**"მას შემდეგ, რაც აღნიშნული საქმიანობა წამოვიწყეთ, ბევრი დარწმუნდა, რომ ლიფტების მომსახურება საკმაოდ პრესპექტიული და მომგებიანი ბიზნესი იყო, რის შემდეგაც რამდენიმე ფირმა შეიქმნა. თავისთავად ცხადია, ბევრ მათგანს მუშაობის საკუთარი სპეციფიკა აქვს, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც თეიმურაზის გამოგონება მიისაკუთრა, რაც მაშინვე დავის საგანი გახდა,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში თეიმურაზ შარაშენიძის მეუღლემ ირმა ბოგველმა.

შარაშენიძეს საკუთარი საავტორო უფლებების და, აქედან გამომდინარე, ბიზნესის დაცვა სისტემატურად უხდებოდა, რის გამოც საქმეების გარჩევა ხშირად სასამართლოშიც მიმდინარეობდა და ყოველთვის პატენტის მფლობელის გამარჯვებით სრულდებოდა.

თუმცა, ლიფტის ბიზნესში კონკურენცია მხოლოდ საავტორო უფლებების დაცვით არ შემოიფარგლება. ლიფტის ყუთების დამტვრევა და თანხის მოპარვა, მოტორების გაფუჭება და კაბელების გადაჭრა - ეს იმ დანაშაულთა ნაწილია, რა ხერხებითაც კონკურენტი ფირმები ერთმანეთს უსწორდებიან და, მიყენებული ზარალის პარალელურად, კლიენტებს ართმევენ.

**"ჩვენს ფირმაში ლიფტების დაზიანებაზე ასობით ფაქტია დაფიქსირებული. თავისთავად ცხადია, შეტყობინებებს პოლიციაშიც ვგზავნიდით, მაგრამ ერთ-ორ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, დამნაშავეები დღემდე არ გამოუვლენიათ,"** - ამბობს ირმა ბოგველი.

იმის გამო, რომ ლიფტების ბიზნესში არსებულ განუკითხაობას სამართალდამცველების მხრიდან ჯერ კიდევ არ დარქმევია საბოლოო სახელი და, აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, ოფიციალურად ვინ ებრძვის "კომპიუტერ ლენდს," ამიტომ რაიმეს მტკიცება ჩვენი მხრიდან შეუძლებელია. სამაგიეროდ, შეგვიძლია მკითხველამდე თავად შარაშენიძის ახლობლების პოზიცია მივიტანოთ.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი შარაშენიძის გულშემატკივრების ვერსიით, "კომპიუტერ ლენდის" ხელმძღვანელის დაპატიმრების საბაბი დაახლოებით ერთი თვის წინ მოკლული ლიფტიორის, ქაწოშვილის საქმე გახლავთ, თუმცა, რეალურ მიზეზს ახლობლები იმ ფირმის ხელმძღვანელთან დაპირისპირებაში ხედავენ, სადაც გარდაცვლილი ქაწოშვილი მუშაობდა.

ირმა ბოგველის მტკიცებით, ფირმა "სერვის ლიფტის" ხელმძღვანელმა დავით ერაძემ შარაშენიძის გამოგონება მიითვისა და საკუთარი ბიზნესი უკანონოდ დაიწყო. ამის გამო, შარაშენიძესა და ერაძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც თავდაპირველად ტელეფონით, სიტყვიერი დაპირისპირებით შემოიფარგლებოდა.

**"ჩემს მეუღლეს სურდა, ერაძეს შეხვედროდა, რათა ურთიერთობები გაერკვიათ, მაგრამ იგი არ მოდიოდა. ერთხელ კი თავისი შვილი და მისი ორი მეგობარი გამოგზავნა. ერაძის ვაჟი – დავით ერაძე იმ პერიოდში მთავარი სამხედრო პროკურატურის გამომძიებლის, გიგიაშვილის (აღნიშნული პიროვნება ამჟამად ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში მუშაობს) თანაშემწე იყო. იგი თეიმურაზს დაემუქრა, თუ გზიდან არ ჩამოგვეცლები, მოგკლავთო,"** - ამბობს შარაშენიძის მეუღლე.

მიუხედავად მუქარისა, შარაშენიძე საკუთარი უფლებების დაცვას კვლავ აგრძელებდა. სხვათა შორის, მიმდინარე წლის აგვისტოში, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში ერაძის და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა – "სხვისი სასარგებლო მოდელის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენების" მუხლით. მიუხედავად ოთხთვიანი გამოძიებისა, აღნიშნულ საქმეში ბრალდებული ჯერაც არ არის დადგენილი, რაც შარაშენიძის ახლობლებში საქმის გაჭიანურების ეჭვს ბადებს.

ამასობაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისში ქაწოშვილის მკვლელობა მოხდა. ამ მკვლელობასთან დაკავშირებით დაკითხულმა მოწმეებმა ჩვენებებში დააფიქსირეს, თითქოს "კომპიუტერ ლენდის" გენერალური დირექტორი შარაშენიძე ღამით მათთან ერთად დადიოდა და კონკურენტი ფირმების, უმეტეს შემთხვევაში კი, ერაძის ფირმაში შემავალ ლიფტებს აფუჭებდა. ხოლო დაკითხულმა დავით ერაძემ აღნიშნა, რომ შარაშენიძე მას ემუქრებოდა.

**"ერთ-ერთი მოწმე - ატარშიკოვი, რომელიც ადრე შარაშენიძის ფირმაში მუშაობდა, ამჟამად კი ერაძის ფირმაში მუშაობს და, გარკვეულწილად, დაინტერესებული პირია, აღიარებს, რომ იგი შარაშენიძესთან ერთად ლიფტებს აზიანებდა. დაკითხვისას არც ერაძე უარყოფს, რომ შარაშენიძეს თავადაც ემუქრებოდა, მაგრამ გამოძიებამ რატომღაც მხოლოდ შარაშენიძის დანაშაული გამოკვეთა და "ძალადობის ან ძალადობის მუქარით სხვისი ნივთის დაზიანებით ან განადგურებით მონოპოლური საქმიანობის განხორციელების" და "მონოპოლური საქმიანობის და კონკურენციის შეზღუდვის" მუხლებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სამაგიეროდ, პროკურატურას არც ატარშიკოვის და არც ერაძის თვითაღიარებისთვის მიუცია შეფასება, რაც საკმაოედ საეჭვოა,"** - განაცხადა შარაშენიძის ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ.

რამდენიმე დღის წინ თეიმურაზ შარაშენიძეს, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის მითითებით, ოპერატიული სამსახურის რამდენიმე თანამშრომელმა მიაკითხა და იგი რაიონულ პროკურატურაში წარადგინა.

**"გარდა იმისა, რომ პროკურატურას შარაშენიძის დასაკავებლად მტკიცებულებები, ფაქტობრივად, არ გააჩნია, გამომძიებლის მხრიდან აშკარად დაირღვა საპროცესო კანონმდებლობაც. საქმეში დევს შარაშენიძის ეჭვმიტანილად დაკავების ოქმი, ხოლო ამ ოქმის შედგენიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება შარაშენიძის ეჭვმიტანილად ცნობის და დაკავების შესახებ, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. საპროცესო კანონმდებლობით, დაკავების ოქმი იმ ოპერატიულ თანამშრომლებს უნდა გამოეწერათ, რომლებმაც შარაშენიძე რეალურად დააკავეს, ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ მოსამართლეს დაკავებული გაეთავისუფლებინა. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობით, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ არ დადასტურდება ეჭვი, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. შარაშენიძის წინააღმდეგ ჩვენებები მიცემული აქვთ დაინტერესებულ პირებს, რაც ეჭვს ბადებს, ყოველგვარი ეჭვი კი, თუ არ დადასტურდება, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს,"** - აღნიშნავს მირიან ნიკოლაძე.

ადვოკატმა აღნიშნული არგუმენტები ვაკე-საბურთალოს სასამართლოსაც წარუდგინა, მაგრამ მართლმსაჯულებამ ამჯერადაც ბრალდების პოზიცია გაიზიარა და თეიმურაზ შარაშენიძეს სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, რაც დაცვის მხარეემ თბილისის საოლქო სასამართლოში იმ იმედით გაასაჩივრა, რომ კანონიერებას ზემდგომ ინსტანციაში მაინც დაადგენს.

დაცვის მხარისგან განსხვავებით, თეიმურაზ შარაშენიძის დაპატიმრებას სრულიად კანონიერად მიიჩნევს გამოძიება.

**"შარაშენიძის ბრალეულობის დასამტკიცებლად გამოძიებას არა მარტო საკმარისი, არამედ დადასტურებული მტკიცებულებები გააჩნია. გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, არის სხვა სახის მტკიცებულებებიც, რასაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ვერ დავასახელებთ. შარაშენიძის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს არა მარტო ატარშიკოვი, არამედ სხვა პირებიც და ერაძისგან დამოუკიდებლად მოქმედი ფირმების წარმომადგენლები. თავისთავად ცხადია, გამოძიება მიმდინარეობს და გადაწყვეტილებას იმ პირების საქმიანობაზეც მიიღებს, რომლებიც დანაშაულთან დაკავშირებული არიან,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის მოადგილემ ია ყიფიანმა.

როგორც ჩანს, ლიფტების ბიზნესისთვის ბრძოლამ პროკურატურის არენაზე გადაინაცვლა. ქართული სინამდვილისთვის კი, ბიზნესიდან კონკურენტის ციხის გზით ჩამოშორება უცხო ნამდვილად არ არის. ვის დარჩება ამ შემთხვევაში გამარჯვება ან აღნიშნულ დაპირისპირებას საბოლოოდ რა სახელი დაერქმევა, მომავალი გვიჩვენებს.

მოკლედ

## ფოთის ყოფილ მერს მართლმსაჯულების ობიექტურობის იმედი აქვს

ქუთაისის საოლქო სასამართლო ხვალ ფოთის ყოფილი მერის ვახტანგ ალანიასთვის ზუგდიდის სასამართლოს მიერ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობის კანონიერების საკითხს განიხილავს. საქმე ისაა, რომ ალანიას ადვოკატმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

ფოთის ყოფილი მერი, რომელმაც თვეების წინ ფოთის საკრებულოს საეჭვო საქმიანობის თაობაზე შეკრებილი მასალები გენერალურ პროკურატურას გამოსაძიებლად გადასცა, 19 დეკემბერს დააკავეს და თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულეს. ვახტანგ ალანია წაყენებულ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ ცნობს და აცხადებს, რომ მას გააჩნია მასალები და საკმაოდ სერიოზული დოკუმენტაცია, რომელიც მის უდანაშაულობას ადასტურებს. ალანიას ახლობლები აცხადებენ, რომ ფოთის ყოფილი მერის წინააღმდეგ სამხარეო პროკურორს როლანდ ახალაიას პირადი ინტერესები ამოძრავებს, რასაც ალანიას მიერ კორუფციაში დადანაშაულებულ საკრებულოს წევრთა და ასევე, გუბერნატორის მოადგილის ინტერესები ემთხვევა. ალანიას ინტერესების დამცველისა და მისი ახლობლების განცხადებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რწმუნებული გიგი უგულავა სწორედ დასახელებულმა პირებმა შეიყვანეს შეცდომაში. ალანიას ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიებას ალანიას ბრალეულობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ მოეპოვება, მეტიც, მასალები, რომელიც ბრალდებულს მოეპოვება, მის სიმართლეს ადასტურებს.

"თუკი მართლმსაჯულება საქმეს ობიექტურად განიხილავს და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ არ მოექცევა, ვახტანგ ალანია პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ, რადგან ის, ფაქტობრივად, უკანონო პატიმარია," – აცხადებს ალანიას ინტერესების დამცველი.

*24 საათი*

## შეიარაღებული შეტაკება პოლიციასა და ყაჩაღებს შორის

გუშინწინ, გვიან ღამით, გორი-ცხინვალის საავტომობილო მაგისტრალზე, სოფელ კარალეთთან, პოლიციასა და ყაჩაღებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. შეტაკებას წინ დაყაჩაღების მცდელობა უძღოდა. რამდენიმე შეიარაღებულმა თავდამსხმელმა, წინაღმდეგობის გაწევის შემდეგ, სასტიკად სცემა ერთ-ერთი გამვლელი ავტომანქანის მძღოლს. ვიდრე ყაჩაღები ავტომანქანა "ოპელს" გაიტაცებდნენ, შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები გამოჩნდნენ, რომელთაც თავდამსხმელებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო სროლის დროს მძიმედ დაიჭრა თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი - ზაზა ზაალიშვილი, რომლის დაკავებაც სამართალდამცველებმა შეძლეს, დანარჩენებმა კი გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

"ზაალიშვილს თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი, ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ყაჩაღური გზით მოქალაქეთაგან გატაცებული ნივთები. ამოღებულია გატაცებული ავტომანქანა, დამნაშავეთა იარაღი და ნიღბები," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა

*24 საათი*

## მკვლელობა პენსიონერების თანხის გატაცების მოტივით

გუშინ დილით, ავლაბრის მეტროსთან საზარელი მკვლელობა მოხდა. "თბილფოსტის" თანამშრომლებს, რომლებსაც ავტომანქანით თბილისის 18 ობიექტზე პენსიონერებისთვის განკუთვნილი თანხა - 250 ათასი ლარი - უნდა დაერიგებინათ, ყაჩაღები დაესხნენ თავს. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გახსნილი ცეცხლით, თავდამსხმელებმა მძღოლი ადგილზევე დაცხრილეს, დაჭრეს "თბილფოსტის" ორი ინკასატორი, ერთი შემთხვევითი გამვლელი, ფული გაიტაცეს და გაიქცნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, "თბილფოსტის" თანამშრომლების ავტომანქანაში პენსიონერთათვის განკუთვნილი თანხის ნაწილი დარჩა.

მომხდარი თავდასხმის ფაქტზე, რომელსაც არცთუ ისე ცოტა თვითმხილველი ჰყავს, სისხლის სამართლის საქმე გუშინვე აღიძრა. გუშინვე დაიკითხნენ თვითმხილველი მოწმეები, რომელთა განცხადებებითაც, თავდამსხმელები ნიღბების გარეშე მოქმედებდნენ. დადგინდა ისიც, რომ ყაჩაღები "ოპელ-ვექტრას" მარკის ავტომანქანით მოძრაობდნენ. სისხლის სამართლის აღძრულ საქმეს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მიეცა.

*24 საათი*

# ერთი თვითმფრინავი ფულის ამბავი

პირველი გვერდიდან

- რას ბრძანებთ? სად ნახეთ, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრი თვითმფრინავში იჯდეს და ფული აქეთ-იქეთ დაჰქონდეს. მე მინისტრი ვიყავი და არა ინკასატორი. თვითმფრინავში იჯდა ეროვნული ბანკის წარმომადგენელი.

**- რატომ წამოვიდა ფული პერმიდან და არა მოსკოვიდან?**

- ფულს მაშინ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტრო აძლევდა. მაგრამ იმ პერიოდში ჩვენ საბჭოთა კავშირი ნაღდ ფულს არ გვიგზავნიდა. მათ უნდოდათ, მოსახლეობისთვის პენსიები და ხელფასები ვერ დაგვერიგებინა და შედეგად მიგვეღო სოციალური უკმაყოფილება.

**- ასეთ პირობებში როგორ მოხერხდა 385 მილიონის მოპოვება?**

- საბჭოთა კავშირის მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ჩემი მეგობარი იყო. ის დაგვეხმარა. დეკემბრის პირველ რიცხვებში მე ვიყავი მოსკოვსა და პერმში და მეგობრული კავშირებით ყველაფერი მოვაგვარე. მივაღწიეთ იმას, რომ პერმის ფაბრიკაში შაბათ-კვირას მოვაჭრევინეთ ფული. ეს 385 მილიონი ორი დღის განმავლობაში იჭრებოდა. ვინაიდან ქარხნის თანამშრომლებმა სპეციალურად ჩვენთვის, დამატებით იმუშავეს შაბათ-კვირას, ჩვენ მათ საახალწლოდ გავუგზავნეთ რამოდენიმე მანქანა ციტრუსი, არაყი და ღვინო.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გურამ აბსანძე: "უკვე ციხეში ვიჯექი, როდესაც "პუტჩისტები" აცხადებდნენ, რომ ბანკს თავს დაესხნენ და გაიტაცეს 40 მილიონი, 60 მილიონი... რასაკვირველია, თავად იტაცებდნენ".*

**- და ეს ოფიციალურად იყო შეთანხმებული ვინმესთან?**

- არა, არც პოლიტბიურომ და არც არავინ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

**- თავიდანვე იყო გადაწყვეტილი, რომ ფულით სავსე თვითმფრინავი ქუთაისში დაჯდებოდა?**

- ამგვარი გადაწყვეტილება მაშინდელი სიტუაციიდან გამომდინარე მივიღეთ. პრეზიდენტ გამსახურდიასთან შეთანხმებით მე გავეცი ბრძანება, რომ თვითმფრინავი, თბილისის ნაცვლად, დაფრენილიყო ქუთაისში, სადაც ჯერ კიდევ იყო ეროვნული ხელისუფლება. თანხა ეროვნული ბანკის ქუთაისის საცავს ჩაბარდა. მაშინ თბილისის აეროპორტს "პუტჩისტები" აკონტროლებდნენ და შეუძლებელი იყო თანხის დედაქალაქში ჩატანა. თუმცა, ბოლოს მაინც მათ დარჩათ ეს ფული.

**- კონკრეტულად, რისი თქმა შეგიძლიათ, რა ბედი ეწია ამ ფულს?**

- ხელისუფლებაში მოსულმა "პუტჩისტებმა" თავდაპირველად არ იცოდნენ, რომ ეს ფული ქუთაისში არსებობდა და კანონიერ ხელისუფლებას სახელს უტეხდნენ. შემდეგ გაიგეს ფულის ადგილსამყოფელი და დატაცებაც დაიწყო. უკვე ციხეში ვიჯექი, როდესაც "პუტჩისტები" აცხადებდნენ, რომ ბანკს თავს დაესხნენ და გაიტაცეს 40 მილიონი, 60 მილიონი... რასაკვირველია, თავად იტაცებდნენ.

**- შეგიძლიათ დაგვისახელოთ ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, რომელიც პერმიდან მომავალ თვითმფრინავში იჯდა და რომელმაც 385 მილიონი ქუთაისის ფილიალს ჩააბარა?**

- დიახ, მე დავინტერესდი ამ პიროვნების ბედით და დავადგინე, რომ იგი ცოცხალია და გახლავთ შოთა ხეთაგიშვილი.

**- ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელზე რას იტყოდით?**

- გავარკვიე, რომ ბანკის მმართველი ცოცხალი აღარ არის. მაგრამ მას ჰყავდა მოადგილეები, არსებობდნენ სხვა თანამშრომლები. შეიძლება მათთან გასაუბრება და სიმართლის გარკვევა. სხვათა შორის, აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო, რომ ტელედებატებში ვიწვევ თენგიზ სიგუას. იგი ამ დღეებში ტელევიზიით გამოვიდა და ანგელოზად გამოიყვანა თავი. საათნახევარი დრო მჭირდება დებატებისთვის. ისეთ რაღაცებს გაიგებს ჩვენი მოსახლეობა, სიზმრადაც რომ ვერ ნახავდა. სიგუამ პასუხი უნდა აგოს ბევრ რამეზე, მათ შორის, ანაბრებზეც. დიახ, მან ანაბრებზე შევარდნაძესთან ერთად უნდა აგოს პასუხი.

**"კავკასიონი", 17 იანვარი, 1994 წ.**

# რუსეთი წაიღებს ყველაფერს, ღირსების ჩათვლით

*რეზო შავიშვილი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, პროფესიით ფიზიკოსი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში.*
*არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.*
*1990 წლიდან ეწევა მხოლოდ უფილტრო სიგარეტს "ოთხმოცს".*

**- რა სფეროებს მოიცავს ძირითადად კონტროლის პალატა?**

- კონტროლის პალატა არის საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო კონტროლის უმაღლესი დამოუკიდებელი ორგანო საქართველოში და მის კონტროლს ექვემდებარება ყველა იურიდიული პირი, ვინც იყენებს სახელმწიფოს ფულად ან მატერიალურ რესურსებს. სპექტრი ძალიან მასშტაბურია.

**- როგორ ფიქრობთ, ართმევთ თავს?**

- რა თქმა უნდა, თავის მოვალეობას თავს ვერ ართმევს ვერც ერთი უწყება და დაწესებულება და ეს იმიტომ კი არა, რომ მათი ბრალია, არამედ იმიტომ, რომ არა გვაქვს სახელმწიფო ან თუ გვაქვს, მხოლოდ – ჩანასახის მდგომარეობაში. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, როგორმე შევქმნათ სახელმწიფო. რაც უფრო დროულად გავაკეთებთ ამას, მით უკეთესი იქნება. მე მიმაჩნია (შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს ჩემი აზრი), დაწყებულიც კი არა გვაქვს სახელმწიფოს მშენებლობა. ამ ფონზე კონტროლის პალატა ერთ-ერთი ის ორგანოა, რომელსაც სხვასთან შედარებით უკეთესი შედეგები აქვს.

**- ენდობით თქვენს თანამშრომლებს? გყავთ ის დასაყრდენი ძალა, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს რამე უშველოს, თუ კონტროლის პალატის კადრებიც უნდა გადაისინჯოს, ვიღაც უნდა შეიცვალოს, უნდა მოვიდეს ახალი ძალა?**

- ეს მუდმივი პროცესია. ტრადიციაც კი შესაქმნელი გვაქვს. არსებობდა სახალხო კონტროლი, ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, მათ ორივეს თავიანთი ძველი სტილი და მეთოდები აქვთ. მე არც ერთი მომწონს და არც მეორე, თუმცა მუშაობის დროს ორივეს ელემენტები გვჭირდება. კონტროლის პალატა დღესაც ჩამოყალიბების პროცესშია. ძალიან რთულია თან ყალიბდებოდე და თან ასრულებდე იმ სამუშაოს, რაც გევალება და რომლისთვისაც მოწოდებული ხარ.

შედეგები მაინც სახეზეა, რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს გაკეთებული.

**- იქნებ დააკონკრეტოთ...**

- თქვენი გაზეთის წინა ნომერში ბატონმა დვალიშვილმა საკმაოდ უდიერად მოგვიხსენია, რა კონტექსტში, ვერაფრით ვერ მივხვდი. ინტერვიუში ასეა ნათქვამი: "რეზო შავიშვილს და მის გუნდს რომ ჰკითხოთ, ისინი, რა თქმა უნდა, სხვანაირად ფიქრობენ. მაგ გუნდმა (უკვე შავიშვილს აღარ ახსენებს) საკუთარ ცოდვებს მიხედოს".

ეროვნული ბანკის საქმე ყველაზე გახმაურებული საქმეა, რაც ჩვენ შევისწავლეთ და გამოვიკვლიეთ. ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესწავლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო პურთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ პრაქტიკულად ყველაფერი ვიცით, რაც ამ სფეროში ხდებოდა. კვლევისათვის რამდენიმე თვე დაგვჭირდა.

მე ვთვლი, რომ არსებობს მაფია, რომელიც ყველა სახის დანაშაულს ჩადის პირადი და კორპორაციული ინტერესების გათვალისწინებით. რა არის აქ ძირითადი? ჩვენთან პურს ფასი არა აქვს, ფასი აქვს ნედლეულს. პური არ ცხვება, ნედლეული კი იყიდება. ამის მოკვლევა ოპერატიული სამსახურის საქმეა. მაგრამ ჩვენ ხომ ბუღალტრები ვართ, დოკუმენტურად საკმაოდ ძნელია ფაქტების დადგენა. უამრავი ხალხი მუშაობდა ამ საკითხზე.

ბევრი სხვა საქმეც გამოვიკვლიეთ. ახლა ვამთავრებთ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების, აგრეთვე ბარტერულ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხთა შესწავლას. შევამოწმეთ საქართველოს სანაოსნოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და დამატებით, სახელმწიფო ბიუჯეტში, ოცდაჩვიდმეტი მილიონი დოლარის გადახდა დავაკისრეთ. ეს თანხა მივიღეთ ცხრამეტი მილიონი დოლარის გადაუხდელობისათვის საჯარიმო სანქციების გათვალისწინებით.

ახლა მიმდინარეობს მასშტაბური შემოწმება საბაჟო სამსახურისა. წინასწარი მონაცემებით, შედეგები ძალიან სერიოზული იქნება.

ვემზადებით საგადასახადო ინსპექციის შემოწმებისათვის.

საკმაოდ სერიოზულად მიმდინარეობს ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილების შესწავლაც.

**- ამ გართულებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ კუპონმა თითქმის სრულიად დაკარგა ფუნქცია. ინფლაციას საზღვარი არა აქვს. რამ გამოიწვია კუპონის გაუფასურება და შეიძლება თუ არა ამას რაიმე ეშველოს?**

- არ მუშაობს წარმოება, არ მუშაობს სოფლის მეურნეობა, არ იქმნება პროდუქცია. ფული, რა თქმა უნდა, უფასურდება. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კუპონის ასე სწრაფად გაუფასურებისა არის ის ყბადაღებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი და მისი ყოფილი პრეზიდენტი აწარმოებდა. ამ პოლიტიკამ უბრალოდ კატასტროფულად დააჩქარა ის პროცესები, რომელთა შეკავებაც შეიძლებოდა. ასე რომ, თქვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში რომ ამბობს დვალიშვილი, არც ისეა საქმე, არც ის ციფრებია სწორი, რასაც ასახელებს. ჩვენზე კარგად არავინ იცის, რა მოხდა ეროვნულ ბანკში, ახლაც მიმდინარეობს კვლევა, მაგრამ არა მხოლოდ ეროვნულ ბანკში, არამედ მთელს საბანკო სისტემაში. სერიოზულად მოწმდება კავკასიის ბანკი, კავკასიის ბირჟა, კავკასიის კონცერნი.

**- როგორ ფიქრობთ, რუსულ სამანეთო ზონაში დაბრუნება ნიშნავს კრიზისიდან თავის დაღწევას?**

- რა თქმა უნდა, არა. მე საერთოდ არ ვიცი, რას ნიშნავს სამანეთო ზონაში დაბრუნება. ვინ გვექაჩება სამანეთო ზონაში?

**- როცა პარლამენტის სპიკერი ასეთ განცხადებას აკეთებს, ესე იგი რაღაც წინასწარი მონაცემები აქვს...**

- მე არ ვიცი, რა მონაცემები აქვს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს. ვის სურს ჩვენი სამანეთო ზონაში მიღება და თუ სურთ, რის ფასად? მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ეჭვიც არ მეპარება, რომ თუ რუსეთი მიგვიღებს სამანეთო ზონაში, ჩვენთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის სტატუსი კი არა, რუსეთის გუბერნიის სტატუსიც დიდი იქნება. სამანეთო ზონაში მიღების საფასურად რუსეთი წაიღებს ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნია, წაიღებს ყველაფერს, ღირსების ჩათვლით. თუ ეს მოხდა, სახელმწიფოებრიობაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იქნება. ჩვენ აღარასოდეს გვექნება საკუთარი ბიუჯეტი, საქართველოს ბიუჯეტს დაადგენს რუსეთი, ემიტენტი ანუ ფულის გამომშვები იქნება რუსეთის ბანკი. რა ფუნქცია დარჩება მაშინ საქართველოს ეროვნულ ბანკს? ვინმეს თუ ჰგონია, რომ ასი ათასი კუპონი ხელფასი ასი ათას მანეთად იქცევა, ესეც დიდი შეცდომაა.

ასე რომ, ხალხის მოტყუება არ არის საჭირო. СНГ-ში შესვლითაც ასე მოხდა. სამანეთო ზონა არ არის მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი.

არსებობს მილიონი ხერხი კუპონის გამაგრებისა, ეკონომიკური სტაბილიზებისა და შემდგომი აღმავლობისა.

ის აზრი, რომ საქართველოში არ არიან პროფესიონალები, შეცდომაა. უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალები გვყავნან. მათ მოძებნა და გამოყენება სჭირდებათ. დროა თანამდებობის პირებმა საკუთარ ჯიბეს თავი დაანებონ (იმ დროს მაინც, როცა სახელმწიფოს ასე უჭირს) და იფიქრონ ფუნქციების როგორმე უკეთ შესრულებაზე.

ძალიან ხშირად ამბობენ, რომ ჩვენ არ გვივარგა პარლამენტი. არც ესაა მართალი. ხშირად ხდება გადაბრალება პარლამენტზე იმისა, რასაც მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა აკეთებდეს. პარლამენტი არის სადავო და სალაპარაკო ადგილი, რის საფუძველზეც კანონები უნდა მიიღონ და კანონებში ცვლილებები შეიტანონ. მთავრობა რომ არ არის თავის ადგილზე, ესაა საქმე, თორემ პარლამენტი საკმაოდ მაღალი დონისაა.

*ესაუბრა*
*ირმა კახნიაშვილი*

**"კავკასიონი", 27 იანვარი, 1994წ.**

# სამანეთო ზონა არ არსებობს

## გვესაუბრება პროფესორი მიხეილ ჯიბუტი

**- ქართული ეროვნული კუპონი გაუფასურდა, კუპონის ალტერნატივად მანეთი გვევლინება. ლაპარაკია სამანეთო ზონაში დაბრუნებაზეც. არის თუ არა ეს გამოსავალი?**

- ეს არც ალტერნატივაა და არც გამოსავალი. კუპონის ალტერნატივა სრულფასოვანი ვალუტის – ლარის შემოღებაა, ხოლო გამოსავალი რეფორმების სისტემური გატარებით ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა. მანეთიანის წარმოდგენა საქართველოს ეკონომიკის მომავლად, ესაა საქართველოს რუსეთის ეკონომიკურ სისტემაში წარმოდგენა. საქმე ის არის, რომ სამანეთო ზონა, როგორც ასეთი, არც არსებობს. არსებობს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სავალუტო სისტემა, რომელიც ეფუძნება მანეთს და სხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტა შეუძლებელია გახდეს მეორე ქვეყნის დამოუკიდებელი სისტემის საფუძველი.

**- რა მექანიზმების ამოქმედებაა საჭირო იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა ფეხზე დადგეს და კუპონი გამყარდეს?**

- თუ რაა გასაკეთებელი. ეს ჩამოყალიბებულია სტაბილიზაციის პროგრამაში და პირველ ინდიკატურ გეგმაში. საჭიროა ამ პროგრამების ხორცშესხმა ხელისუფლებისა და ხალხის მიერ. ეს კი მოითხოვს სამოქმედო პროგრამის რეალიზაციის მკაცრ დაცვას საზოგადოების ყველა რგოლში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გაგებულ იქნეს, რომ რეფორმა ეხება არა ერთ, ორ სფეროს, არამედ ჩვენს ირგვლივ არსებულ ყველა ურთიერთობას. არ შეიძლება, მაგალითად, განხორციელდეს ფასების ლიბერალიზაცია და ის არ შეეხოს ადამიანის უნარ-ჩვევებს. არ შეიძლება ირაციონალური ხელფასით ცხოვრება. ეს საბჭოთა წყობილების გადმონაშთია, უფრო სწორად კი, ხელშეუხებელი სისტემისა. საბჭოთა სისტემის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს რეალურად. ტყუილები და მიწერები არ უნდა არსებობდეს. არ შეიძლება, კაცი მუშაობდეს და პურისთვის საქურდლად ჰქონდეს საქმე.

**- რა არის საქართველოს ეკონომიკის ჩავარდნის მიზეზი, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი. პირადად თქვენ, როგორც ეკონომიკის მინისტრი, ინაწილებთ თუ არა პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად?**

- საქართველოს ეკონომიკური კრიზისის უპირველესი მიზეზი სისტემური ხასიათისაა. ესაა საბჭოთა სოციალიზმის კრიზისი. ამას ემატება საქართველოში სამხედრო კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, პოლიტიკური აშლილობა. მიზეზთა შორისაა ეკონომიკური პოლიტიკის არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი კურსი. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით მე მქონდა როგორც უფლებები და მოვალეობები, ასევე შესაბამისი პასუხისმგებლობა. უფლებებისა და მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით მე ჩემს თავზე არაფერი შემიძლია ვთქვა. მთლიანად კი, რა თქმა უნდა, უზარმაზარ მორალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ეს პასუხისმგებლობა მარტო თანამდებობით არ უნდა იყოს გამოწვეული. თითოეული ჩვენგანი უნდა გრძნობდეს ასეთ პასუხისმგებლობას. ჩემი დღევანდელი მდგომარეობაც ჩემი საქმისადმი პასუხისმგებლობიდან მოდის.

**- არის თუ არა დღევანდელი კაბინეტი რეფორმისტული, თუ ამ კაბინეტის წევრთა დიდი უმრავლესობის სტრუქტურა კვლავ კომუნისტურია?**

- დღევანდელი მინისტრთა კაბინეტი, ისევე როგორც არც ერთი წინა, რეფორმისტული არაა. საქართველოს რეფორმისტული მინისტრთა კაბინეტი პოსტკომუნისტურ ეპოქაში არც ჰყოლია. თუმცაღა იყო რამდენიმე თვე, როცა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სისტემური ცვლილებებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება ეკონომიკური რეფორმების შტაბის მუშაობის პირველ პერიოდს რომან გოცირიძის ხელმძღვანელობით. პიროვნებათა აზროვნების სტრუქტურაზე მსჯელობა ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ხოლო რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტში გაბატონებულ მენტალიტეტს, ამის შესახებ შემიძლია, ვთქვა: დამკვიდრებულია ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული სტილი, შეწყვეტილია სწავლის პროცესი, ისეთი განწყობაა, თითქოს ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენს სიტუაციაში. აქედან მოდის გულგრილი დამოკიდებულება უცხოელი კონსულტანტებისადმი, რომლებიც შეიძლება მოვალეობის შესრულების გარეშე დაბრუნდნენ სამშობლოში.

**- გაქვთ თუ არა კაბინეტის რეფორმის ან თუნდაც ეკონომიკის ამოძრავების კონკრეტული პროგრამა?**

- არის ასეთი პროგრამა. ესაა სტაბილიზაციისა და სისტემური გარდაქმნების პროგრამა, რომელიც მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა. ამ დღეებში, ალბათ, ის დაამტკიცებს პირველ ინდიკატურ გეგმას. მხოლოდ საამისოდ საჭიროა მმართველი ეშელონების ამოძრავება. სხვანაირად ვერც ეკონომიკა ვერ ამოძრავდება.

**- ეკონომიკის სამინისტრო ახალი დროის პირმშოა. მსგავსი უწყება სსრკ-ის დროს არც არსებობდა. ფართოა თუ არა ამ სამინისტროს მოქმედების არეალი, აქვს თუ არა ამ სამინისტროს თავისი სტრუქტურა? ასრულებს თუ არა ის დაკისრებულ მოვალეობებს?**

- დღეისათვის ეკონომიკის სამინისტრომ ბევრი ახალი ფუნქცია შეიძინა, თუმცაღა ბევრია ისეთიც, რომელშიც ის ინარჩუნებს ფუნქციურ მემკვიდრეობითობას ძველი საგეგმო კომიტეტისაგან. მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების და მატერიალური რესურსების ბალანსირების განსაზღვრა და ა.შ.

ეკონომიკის სამინისტროს, უპირველეს ყოვლისა, გააჩნია თავისი ფუნქციები. ის გამოდის როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელი და მაკოორდინირებელი ორგანო, ასრულებს ანტიმონოპოლური და ფასწარმოქმნის ცენტრალური ორგანოს ფუნქციებს. არ არსებობს სხვა რომელიმე უწყება არც დარგობრივი, არც დარგთაშორისი, რომელსაც ერთდროულად შეეძლოს მაკროეკონომიკურ სექტორულ, რეგიონულ, მიკროეკონომიკურ, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დონეზე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა. ამ ფუნქციითაა განსაზღვრული მისი ფუნქციაც.

სამინისტრო იმ ნაწილში, რომელიც უზრუნველყოფილია სამართლებრივი ბაზით, თავის ფუნქციებს ასრულებს. ბოლო დრომდე ბევრი ვაკუუმია შესავსები ანტიმონოპოლური საქმიანობისა და ფასწარმოქმნის სრულყოფისათვის, მაგრამ ძირითადი კანონები უკვე მიღებულია. შემუშავებულია ინდიკატური პროგრამაც. ერთი კი არის, ეკონომიკის სამინისტროს მუშაობის ეფექტურობა ძალზე დაბალი იქნება, თუ ერთხელ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია არ მოხდება, თუ არ გაძლიერდება ეკონომიკის სამინისტროს მაკოორდინირებელი ფუნქცია. სხვანაირად მართვაში არსებული ჩავარდნები კოორდინაციის დარგში გაღრმავდება. კოორდინაციის მოშლა სადავეებს ართმევს ხელისუფლებას. ამჟამად საქართველოში ძნელია, ახსნა, ერთსა და იმავე დროს რა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს სავაჭრო პალატა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტი; სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის ნაწილში; მეცნიერებათა აკადემია და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტი; მინისტრთა კაბინეტი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატი ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში და სხვ. ასეთი ცენტრალური ორგანოს გარეშე, როგორიცაა ეკონომიკის სამინისტრო, შეუძლებელია ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. ენერგეტიკაში, ტრანსპორტში და ა.შ. სამწუხაროდ, ეს ბოლომდე გაგებული არაა. ეკონომიკის სამინისტროს დღევანდელი სამუშაო პროგრამებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რიცხვობრიობით ამ ამოცანის გადაწყვეტა სათანადო დონეზე სულ უფრო შეუძლებელი ხდება. შეიძლებოდა, შემოგველო ისეთი ინდიკატორი: როგორიცაა ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სამინისტროსადმი დამოკიდებულება, ისეთივეა მისი დამოკიდებულება ეკონომიკური პრობლემებისადმი.

**- კვლავ სამანეთო ზონაზე მინდა გკითხოთ. უფრო სწორად კი ამ თემაზე ლაპარაკის წამოწყების მიზეზებზე...**

- ჩემი ინფორმაციისა და ანალიზის საფუძველზე შემიძლია, დავასკვნა, რომ ეკონომიკური კუთხით ამის მიზეზი იყო მხოლოდ მოვლენების ემპირიული აღქმა და გამარტივებული წარმოდგენები ეკონომიკაზე.

**- რა აზრის ბრძანდებით ყოფილ ე.წ. ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე და დღევანდელ მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე.**

- ძალიან მკაცრი. აკადემიური გაგებით საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ჩამოყალიბებული იყო სტაბილიზაციის პროგრამაში, რომელიც მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა კიდეც. ეროვნული ბანკი ამ პროგრამას არ ასრულებდა, ისევე, როგორც მას არ ასრულებდა არც ერთი სხვა სახელმწიფო უწყება, სამინისტრო თუ კომიტეტი. ამდენად, ერთ ან ორ პიროვნებასა და უწყებაზე საქმის გაკეთება-არგაკეთება არაა დამოკიდებული. შეიძლება ყველა უწყებამ და ხელმძღვანელმა, ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად, რეფორმების გატარებასა და, ჩემი ღრმა რწმენით, ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას ხელი შეუშალა. ილუზიაა დღევანდელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, როგორც თვისობრივად განსხვავებულზე, საუბარი. შეიძლება ილაპარაკო მხოლოდ ბანკის ხელმძღვანელების მიერ ოპერატიული საქმიანობისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებაზე. ბანკის ახალ პრეზიდენტს, ალბათ, არ უნდა დავუკარგოთ მისი მეცადინეობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრების თვალსაზრისით, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა არ შეცვლილა.

**- საქართველოს СНГ-ში შესვლისა და მით უმეტეს სამანეთო ზონაში სავარაუდო დაბრუნების შემდგომ, არსებობის აზრს ხომ არ კარგავს ისეთი საკვანძო და მნიშვნელოვანი სტრუქტურა, როგორიცაა, მაგალითად, თქვენი უწყება?**

- კიდევ მინდა გავიმეორო, რომ სამანეთო ზონის საკითხი ისტორიას ჩაბარდა. ახლა რუსეთი იმის ცდაშია, СНГ-ს ფარგლებში რუსეთის ვალუტა სახელმწიფოთა სარეზერვო ვალუტად აქციოს. რაც შეეხება ეკონომიკის სამინისტროს, მისი ფუნქცია არ იცვლება. მან უნდა შეიმუშაოს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 1989 წლიდან ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას შევიმუშავებდით, ახლა კი საჭიროა СНГ-ში სახელმწიფოთაშორის კავშირებსა და ვალდებულებებზე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს და მასთან არსებულ სამეცნიერო ცენტრებს შეუძლიათ, შეიტანონ ეს კორექტივები ეკონომიკურ პოლიტიკაში.

**- აპირებთ თუ არა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევას და არგუმენტირებულად უმაღლესი ტრიბუნიდან იმის დასაბუთებას, რომ სამანეთო ზონა გამოსავალი არ არის?**

- სამანეთო ზონა არ არსებობს. არარსებულზე დამყარებული გამოსავალი კი, შეიძლება კეთილი, მაგრამ მაინც ზღაპრების სფეროა.

ჯობს დრო არ დავკარგოთ ოცნებებზე და საქმეს შევუდგეთ ისე, როგორც ამას გვასწავლის საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებისა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების ისტორიული გამოცდილება.

*ესაუბრა*
*ირაკლი ტაბლიაშვილი*

პირველად მკითხველი აუდიტორიის პირისპირ



B2

დარჩეული 2004



B4

პრეზიდენტის დავალება



B6

# საქართველო ისრაელის საუკეთესო მეგობარია

ხათუნა ბაბიევი



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ისრაელის ახალი ელჩის დანიშვნამდე ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევრაზიის დეპარტამენტის დირექტორი ბატონი შმუელ მეირომი საქართველოს სტუმრობს. 1982-83 წლებში იგი გახლდათ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ებრაული დიასპორის განყოფილების პირველი მდივანი, 1985-88 წლებში რუმინეთში ისრაელის საელჩოში მრჩევლის თანამდებობა ეკავა, ხოლო 1994-98 წლებში უკვე ცენტრალური აზიისა და კავკასიის განყოფილების დირექტორის პოსტი დაიკავა. 1998 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ევრაზიის დეპარტამენტს. აქვს ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებსა და უახლეს ისტორიაში, ჰაიფას უნივერსიტეტი. ამავე უნივერსიტეტში სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.*

**- რა მიზანს ისახავს საქართველოში თქვენი ვიზიტი?**

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ გახლავთ საქართველოში ჩემი პირველი ვიზიტი. საქართველოში ადრეც რამდენჯერმე ვყოფილვარ. ამჟამად კი ჩამოვედი, რათა მენახა ისრაელის საელჩოში ახალი ელჩის დახვედრასთან დაკავშირებით მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოები. იგი თქვენს ქვეყანაში მომავალ კვირას ჩამოდის.

**- თქვენი შეფასებით, როგორია საქართველო-ისრაელის ამჟამინდელი ურთიერთობები და რომელ სფეროებში შეიძლება გაღრმავდეს იგი?**

- ზოგადად, საუბარი შეიძლება იყოს თითქმის ყველა სფეროზე. თუმცა, უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ესაა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ისრაელისთვის, ისე საქართველოსთვის. სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირები ძალიან მცირე მოცულობისაა. ახლა კი ამ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისათვის ჩვენ კარგი შესაძლებლობა გვაქვს. აქ უკვე მოღვაწეობს ჩვენი რამდენიმე ბიზნესმენი და იმედი მაქვს, მომავალში ამ მიმართულებით საქმიანობა კიდევ გაფართოვდება. რაც შეეხება სხვა სფეროებს, მაგალითად, კულტურას, ამ მხრივ, ყველაფერი გაცილებით უკეთაა. ასევე შესანიშნავი ურთიერთობები გვაქვს პოლიტიკურ სფეროში. ქართველები ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან მთელ მსოფლიოში და ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. იმ ვითარებაში, როცა ორი ქვეყნის ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის, კარგი საფუძველი იქმნება მეგობრობისათვის და ინტერესებიც ბუნებრივად თანაარსებობენ.

**- საქართველოდან წასული ებრაელები რამდენად უწყობენ ხელს საქართველო-ისრაელის ურთიერთობების გაღრმავებას?**

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო საქართველო-ისრაელის 26 საუკუნოვანი მეგობრობა, რაც თავისთავად უკვე მრავლისმთქმელია. საქართველოდან ისრაელში ჩამოსული ებრაელები ხშირად ჩამოდიან ხოლმე მეორე სამშობლოში, ისინი ლაპარაკობენ ორივე ენაზე და ჩვენ ქვეყნებს შორის ხიდის ფუნქცია აკისრიათ. ზოგიერთი მათგანი ბიზნესითაა დაკავებული და საქართველოში ინვესტიციები აქვს განთავსებული, რაც, რასაკვირველია, ისევ და ისევ, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს წაადგება.

**- მოგვიყევით თქვენთან რეზერვისტთა არმიის შექმნის ისტორია და მიზნები. როგორც იცით, რეზერვისტთა ჯარს საქართველოში არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, თქვენ კი ასეთი ტიპის სტრუქტურის მაგალითს წარმოადგენთ.**

- როგორც იცით, ჩვენ ძალიან პატარა სახელმწიფო ვართ და თანაც გარშემორტყმული უამრავი მტერით, მით უფრო თვალსაჩინო იყო ეს მაშინ, როცა ჩვენი სახელმწიფო ყალიბდებოდა. ჩვენი სახელმწიფოს ზომებიდან გამომდინარე, ასევე მცირერიცხოვანი იყო მოსახლეობის რაოდენობა, სწორედ ამიტომ საჭირო იყო რაღაც გამოსავლის მოძებნა, რაც არცთუ კეთილგანწყობილ გარემოში ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ეფექტური გამოსავალი კი ისეთი სტრუქტურის ფორმირება გახდა, რომელიც არანაკლები ხარისხით მზად იქნებოდა ქვეყნის დასაცავად ყოველ დღე და ყოველ წუთს. რეზერვისტთა სისტემა ისრაელის არმიის უმთავრეს ძალას წარმოადგენს. ამჟამად ჩვენ უკვე მშვიდობიანი ურთიერთობები გვაქვს იორდანიასთან, ეგვიპტესთან, მაგრამ სიფრთხილე მაინც გვმართებს. ეს სისტემა არსებობს და კიდევ უფრო ვითარდება. იგი შედგება როგორც მამაკაცებისგან, ასევე ქალებისგანაც, რომლებიც აღრიცხულნი არიან და სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ ნებისმიერი საგანგებო ვითარების შექმნისთანავე მობილიზებულნი იქნებიან. ჩვეულებრივ, ნორმალურ ვითარებაში კი ისინი გადიან წვრთნას ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სამსახური არაა იოლი, მით უმეტეს, ქალებისათვის. სწორედ ამიტომ გათხოვილი ქალები გათავისუფლებული არიან ამგვარი სამსახურისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ბიზნესმენებზეც, რომელთა სამუშაო გრაფიკი და სპეციფიკა ხშირად შეუთავსებელია სარეზერვო სამსახურთან და მათ ამის გამო პრობლემებიც ექმნებათ. ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ, გავამარტივოთ მდგომარეობა იმ ხალხისათვის, ვისაც სარეზერვო სამსახური გარკვეულ სირთულეებს უქმნის. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, სისტემა მაინც ფუნქციონირებს. ვფიქრობ, საქართველოსთვის ანალოგიური სისტემის დამკვიდრება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. თანაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენთან სარეზერვო სისტემა მოხალისეობრივ საფუძვლებს ეყრდნობა, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ამ მხრივ, განსხვავებული ვითარებაა. ისრაელის საზოგადოებაში უკვე მიმდინარეობს საუბრები სარეზერვო ჯარის მოხალისეობრივ საწყისებზე გადაყვანის ალბათობის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ საუბრის დონეზე რჩება და ჯერჯერობით არაფერი იცვლება. რაც შეეხება რეგულარულ არმიას, ისრაელში სავალდებულო საჯარო სამსახური ვაჟებისათვის სამი წლის ვადით განისაზღვრება, ხოლო გოგონებისათვის - ორით.

**- რა შეგიძლიათ გვითხრათ ისრაელის როლზე საერთაშორისო ასპარეზზე?**

- ეს ძალიან ფართო საკითხია, ამ თემაზე წიგნის დაწერაც შემიძლია, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ისრაელის როლსა და ფუნქციაზე საუბრით შემოვიფარგლები. პალესტინის ყოფილი ლიდერის იასირ არაფატის სიკვდილის შემდეგ ახლო აღმოსავლეთმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მოგეხსენებათ, არაფატი თავად გახლდათ ტერორიზმის არქიტექტორი. მისი სიკვდილის შემდეგ კი პალესტინელებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად კარგი შესაძლებლობა გაჩნდა. ჩვენ გვაქვს გეგმა, რომელიც ყველა ებრაელი მენაშენის მიერ ღაზას სექტორის დატოვებას ითვალისწინებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი მიზნების განხორციელების გზაზე. სერიოზული მიზანდასახულობის ფონზე, ვფიქრობ, პალესტინელები მიხვდებიან, რომ აუცილებელია ახალი მოლაპარაკებების დაწყება. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სასაზღვრო პრობლემები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია. პირველ რიგში, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო "ჰეზბოლა"-ზე. როგორც იცით, ეს არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის უკანაც ირანი და სირია დგანან. უდავოა, რომ "ჰეზბოლას" მიზანი ისრაელის სახელმწიფოს განადგურებაა. ირანისათვის ეს ორგანიზაცია მხოლოდ იარაღია საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად. სირია კი "ჰეზბოლას" ეხმარება, აწვდის იარაღს. ამგვარი პოლიტიკის გატარება სირიისათვის უმთავრესი ინტერესია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სირიაში ზოგიერთი მაღალჩინოსნისაგან იყო კიდეც გამოთქმული მოლაპარაკებების დასაწყებად მზადყოფნის სურვილი. თუმცა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ძნელია, ეჭვით არ შეხედო ამ შემოთავაზებებს - რამდენად გულწრფელია სირიის მხარე მოლაპარაკებებზე წამოსასვლელად განცხადებების გაკეთებისას. ეჭვის საფუძველს ნამდვილად ტოვებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ რჩება ამ ორგანიზაციის ოფისები, რომლებსაც თავს ტერორისტთა ლიდერები აფარებენ. შესაძლოა, ჩვენს ორჭოფულ დამოკიდებულებას აძლიერებს ისიც, რომ დიდია აშშ-საგან ზეწოლა. ეს ოფისები მხარს უჭერენ ერაყში ტერორისტებს. თუმცა, უმთავრესი პრობლემა, რომელიც ჩვენგან, პირველ რიგში, მოითხოვს გადაწყვეტას, მაინც პალესტინის პრობლემაა. ამ კონფლიქტის გადასაჭრელად უკვე დიდი ხანია, რაც შემუშავებულია "საგზაო რუკა".

**- რას ელით იანვარში პალესტინის ავტონომიის ლიდერის არჩევნებისაგან, რომელი კანდიდატის გამარჯვება შეუწყობს ხელს სამშვიდობო პროცესის ჩიხიდან გამოყვანას?**

- ვფიქრობ, პრეზიდენტად აბუ მაზამ აბასი იქნება არჩეული და თუკი მას თავის გარემოცვასთან ერთად ისრაელ-პალესტინის ურთიერთობების ახალ ფაზაში გადაყვანის სურვილი ექნება, პრობლემა არ უნდა იყოს მოლაპარაკებების დაწყება საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე.

**- რამდენად შედეგიანი იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის უკანასკნელი ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში?**

- ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ლონდონში მომავალ წელს სპეციალური კონფერენციის ჩატარებისათვის მომზადდა საფუძველი. ვინაიდან ამ კონფერენციის მიზანი მხოლოდ პალესტინის საშინაო პრობლემების განხილვაა, ისრაელის მხარე მასში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. ამის შესახებ ჩვენ ვაცნობეთ ტონი ბლერსაც, რომელიც დაგვეთანხმა. ამ კონფერენციაზე განხილული იქნება პალესტინის ხელისუფლების რეფორმირების საკითხები, ამდენად, ვერ ვხედავთ ჩვენი მონაწილეობის აუცილებლობას.

**- შეუწყო თუ არა ხელი "ლიკუდისა" და "ავოდას" კოალიციის შექმნამ ისრაელში პოლიტიკურ ერთიანობას და რას ელით მომავალში ამ კავშირისაგან?**

- ერთიანობა ისრაელში მოცემული მომენტისათვის მეტისმეტად მყიფეა. ვფიქრობ, ეფექტური გამოდგა ამ კოალიციის შექმნა, მასში "ლიკუდისა" და "ავოდას" გარდა, კიდევ 5 პატარა პარტიაცაა გაერთიანებული. იგი საშუალებას მისცემს პრემიერ-მინისტრს, ისრაელის მიერ ღაზას სექტორის დატოვების გეგმა განახორციელოს. სწორედ ეს გეგმა იყო აღნიშნული კავშირის შექმნის მიზეზი. მე ამას ერთიანობას ვერ დავარქმევდი, ეს იყო უფრო პრაგმატული ხედვა ორივე მხარისა, როგორც შრომის პარტიისა, ასევე "ლიკუდისა".

**- ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტაში როგორია საერთაშორისო აქტორების როლი?**

- ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობს ოთხეული, რომელიც გაერო-ს, აშშ-ს, რუსეთისა და ევროკავშირისაგან შედგება. ისინი ცდილობენ, ჩვენსა და პალესტინას შორის შუამავლის ფუნქცია შეასრულონ. ამ მიმართულებით მათ მართლაც კოლოსალური შრომა გასწიეს, მაგრამ ვფიქრობ, უმთავრესი სამუშაო მთლიანად ჩვენზე - დაპირისპირებულ მხარეებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირდაპირი გზები მოლაპარაკებების დაწყებისათვის, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსაც, რომელთაც ასევე არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება.

**- როგორ შეაფასებდით უკრაინის პროცესებს და მასში რუსეთის როლს?**

- ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ძალიან მგრძნობიარედ ეკიდება აღნიშნულ თემას. თუმცა, ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან უკრაინა ყოველთვის რუსეთის გავლენის ქვეშ იყო და რუსეთისთვის ადვილი არაა, შეეგუოს იმ ცვლილებებს, რომლებიც დასავლეთის სასარგებლოდ ხდება. იგივე შეიძლება ითქვას ბალტიის ქვეყნების მიმართაც რუსეთის დამოკიდებულებაზე საუბრისას. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ იუშენკოს გამარჯვება ერთმნიშვნელოვნად უკრაინის დასავლეთისკენ გეზის აღებას და რუსეთზე უარის თქმას ნიშნავს. ეს ყველაფერი კარგად შეიძლება აიხსნას "რეალ პოლიტიკ"-ით (იგივე ძალისმიერი პოლიტიკა). სწორედ ამიტომ იუშენკო შეეცდება, რუსეთთან არ გაიმწვავოს ურთიერთობები. არ შეიძლება მხოლოდ თეთრსა და შავ ფერზე საუბარი, იუშენკოს კარგად ესმის, რომ უკრაინას რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები სჭირდება. რა თქმა უნდა, იუშენკოს პრეზიდენტობისას უკრაინას ექნება ტენდენცია დასავლეთისკენ სწრაფვისა, გაცილებით უფრო სერიოზულად, ვიდრე ამის თქმა იანუკოვიჩის გამარჯვების შემთხვევაში შეგვეძლებოდა. დასავლურ ოჯახში უკრაინის გაერთიანების სურვილი არ უნდა იქნეს გაგებული რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად, არავითარ შემთხვევაში. უკრაინის მოსახლეობას ძალიან დიდი ხნის ურთიერთობები აკავშირებს რუსეთთან, რაც მისთვის ღირებულია და ყოველთვის დარჩება ანგარიშგასაწევ ფასეულობად, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ვფიქრობ, უკრაინა უფრო ევროკავშირში გაწევრიანებითაა დაინტერესებული, ვიდრე ნატო-ში ინტეგრაციით. ევროკავშირში უკრაინის ინტეგრაციის მოწინააღმდეგე არც რუსეთია, აქ არ იქმნება რაიმე წინააღმდეგობრიობა. სულ სხვა საკითხია ნატო, რადგან იგი რუსეთისათვის "ცივი ომის" სიმბოლოა, მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს ამჟამად სულ სხვა როლი აკისრია, ვიდრე მას ეს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჰქონდა.

**- უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა კიდევ უფრო ხომ არ გაუმძაფრებს რუსეთს აფხაზეთზე კონტროლის მაქსიმალურად შენარჩუნების სურვილს, რადგან ნატო-ს მოახლოება მის საზღვრებთან ნიშნავს სევასტოპოლიდან სამხედრო ბაზის გაყვანას?**

- ეს მნიშვნელოვანია, რადგან სევასტოპოლი მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უმთავრესი პორტი იყო, სადაც რუსეთს სამხედრო ბაზა ჰქონდა განლაგებული. თუმცა, ვფიქრობ, იგი აღარაა რუსეთისათვის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორი დატვირთვაც მას "ცივი ომის" დროს ჰქონდა. მიმაჩნია, რომ რუსეთს ამ სივრცის დათმობა შეუძლია, თუმცა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, ამას, ალბათ, უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ. თანაც ნაკლებად მგონია, რომ ამან რუსეთი ძლიერ აზარალოს. რაც შეეხება აფხაზეთთან რუსეთის დამოკიდებულებას, ვფიქრობ, რუსეთისთვის მართლაც ძნელია, შეელიოს მას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია მისთვის და ამიტომ ყველაფერი ისევ მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული, თუმცა უდავოა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია.

**- დაბოლოს, შეიცვლება თუ არა ძალთა ბალანსი ერაყსა და პალესტინაში არჩევნების ჩატარების შემდეგ?**

- უკრაინაში არჩევნებმა თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, ცოტა რთულია საუბარი ერაყზე, რადგან ეს გაცილებით უფრო რთული საკითხია. ერაყის მოსახლეობის ჭრელი მოზაიკიდან გამომდინარე, იქ ადგილი აქვს ეთნიკურ, კონფესიურ თუ სხვა სახის დაპირისპირებებს. ბევრს მიაჩნია, რომ ერაყს ახლა არჩევნები საერთოდ არ სჭირდება. ჩვენ არ ვერევით ამ საკითხში, ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ სადამ ჰუსეინი ხელისუფლების სათავეში აღარაა. ჩვენ კმაყოფილებას იწვევს ერაყის საქმეებში საერთაშორისო ჩარევა. როგორ ჩაივლის არჩევნები ერაყში, მართლა არ ვიცი, ძალიან ძნელია ამის პროგნოზირება, მაგრამ ცვლილებებს რომ გამოიწვევს საერთაშორისო სისტემაში, უდავოა.



# აფიშა

### კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კამერული მუსიკის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
მარიუს ფონ მაინბერგი
"ცივი ბავშვები"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"დონ ჟუანი"
რეჟისორი: ალექსი ჯაყელი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"მაკნატუნა"
ხელმძღვანელი: მაკა მახარაძე
დას: 14:00; 17:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დონ ჟუანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"სოლიარისი"
რეჟისორი: ანდრეი ტარკოვსკი
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 22:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 13:15; 15:30; 17:45; 20:00 სთ.

**ამირანი**
"წყალქვეშა საძმო"
დას: 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 10:00; 12:00; 14:00; 18:00 სთ.

"ცხრა იარდი 2"
დას: 22:00 სთ.
ფასი: 4-დან 9 ლარამდე

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

"ზღვისეული"
დას: 20:00 სთ.

### გამოფენები

**ქარვასლა**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საშობაო ფესტივალი

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ჰობი**
საშობაო გამოფენა

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა-გაყიდვა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
თანამედროვე ქართული კულტურა და მხატვრობა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# პირველად მკითხველი აუდიტორიის პირისპირ

## მამუკა ხერხეულიძის დებიუტი

ვერა ნეფარიძე

*მათთვის, ვისთვისაც ლიტერატურული კაფე მხოლოდ გასტრონომიული ვნებების ჩასაცხრობად არ არსებობს, გუშინ ლიტერატურული შეხვედრები განახლდა. ლაშა ბუღაძის სტუმარი ამჯერად პუბლიცისტი მამუკა ხერხეულიძე იყო. ერთგვარი ანონსი-შეხვედრა იმის მაუწყებელიც იყო, რომ უახლოეს მომავალში ფართო საზოგადოება ამ ავტორის მოთხრობების კრებულს - "კავკასიურ ქრონიკას" მიიღებს. გუშინ კი შეხვედრის სტუმარმა ამ კრებულიდან ორი მოთხრობა წაგვიკითხა.*

მწერალი აგვიანებდა. "წარმომიდგენია, როგორ ინერვიულებს", - ჩურჩულებდნენ ახლობლები. თუმცა, მოწყენით ვერავინ მოიწყენდა. მამუკა ხერხეულიძის საახლობლო წრე შემოქმედებითად მრავალფეროვანი აღმოჩნდა. ნაცნობი და პოპულარული მუსიკალური სახეებიდან: "უცნობი" და გოგი ძოძუაშვილი; გამოცდილი კოლეგებიდან: ტარიელ ჭანტურია, ზაალ სამადაშვილი, დავით მაღრაძე; შოუ-ბიზნესიდან - ბასა ფოცხიშვილი; სამთავრობო სტრუქტურებთან ასოცირებული პერსონებიდან - ვახტანგ აბაშიძე; "საცობში მოყვა, მალე იქნება", - მაინც ანუგეშებს ლაშა სტუმრებს და მალევე კარში გამოჩენილი შეხვედრის მთავარი გმირი ყველას უბოდიშებს: "სამკუთხედის ბრალია"...



*მამუკა ხერხეულიძე*

ერთი სიტყვით, ყველაფერი სამკუთხედს ბრალდება და მამუკა ხერხეულიძისთვის მკითხველ საზოგადოებასთან საპასუხისმგებლო შეხვედრაც იწყება. აქვე უნდა დავამატო, რომ გუშინ უფრო აუდიტორიასთან პირისპირ შეხვედრის დებიუტი იყო, ვიდრე ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის; რადგანაც, მამუკა ხერხეულიძე საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი სახე და ავტორია; ჩვენი გაზეთის მკითხველი კი მისი შემოქმედების სატირულ-იუმორისტულ ნიმუშებსაც იცნობს. მაგრამ, როგორც ჩანს, მკითხველთან, თუნდაც ნაცნობ მკითხველთან პირისპირ შეხვედრა, მაინც ემოციური აღმოჩნდა ავტორისთვის.

"არ მეგონა, თუ ასე ვინერვიულებდი", - გამოგვიტყდა კიდეც მოგვიანებით და ისიც გაგვიმხილა, ის საზოგადოება, რომელიც ძირითადად მისი ახლობლებისგან შედგებოდა, ამ ემოციურობის განმუხტვის ერთადერთი მიზეზი იყო. თუმცა, ვიდრე ავტორს დაეთმობოდა მიკროფონი (რომელიც კაფეში ხალხმრავლობისა და ხმაურის გამო, მეტად აუცილებელი იყო), მამუკა ხერხეულიძის შესახებ ნაცნობმა ლიტერატორებმა ისაუბრეს. ლაშა ბუღაძემ ავტორის მხატვრული ნიმუშები დოკუმენტურ პროზად გაგვაცნო; ტარიელ ჭანტურიამ ჯერ ავტორის ოჯახი გაიხსენა და მოგვიანებით ისიც გაგვანდო, თუ როგორ ელოდა მამუკა ხერხეულიძის სახით ახალი ავტორის გამოჩენას თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში. ამგვარი "წინასწარმეტყველების" საფუძველს პოეტს ლიტერატურულ გაზეთ - "წიგნებში" დაბეჭდილი მოთხრობა აძლევდა. მამუკა ხერხეულიძის თხრობის თავისებურებაზე გაამახვილა ყურადღება ზაალ სამადაშვილმა და ამისთვის მას ერთი რუსი მწერლის მოსაზრების გამეორებაც მოუხდა. ის, რომ ლიტერატურა ვირტუალური ისტორიებია, რომელსაც ადრე თუ გვიან გამოუჩნდება საკუთარი მთქმელი-ავტორი. "დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი ისტორიაა ჰაერში, რომელთაც მამუკა მისთვის დამახასიათებელი მანერით შთამბეჭდავად გაგვაცნობს", - დაასრულა მწერალმა და აუდიტორიის პირისპირ თავად მამუკა ხერხეულიძე დარჩა. მათ კი, ვინც გუშინდელ ლიტერატურულ შეხვედრას არ დასწრებია, მამუკა ხერხეულიძის წიგნთან პირისპირ დარჩენა მალე მოუწევს. ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით მოგვიწევს საუბარი.

# ცხელ შოკოლადზე მისაყოლებელი ადამიანები

თამარ ბურჭანაძე

მინუსებში ტემპერატურას თბილისი ისე შეეჩვია, რომ გუშინ საღამოს, დაახლოებით +1 გრადუსი შვება იყო. თუმცა, არც ისეთი, რომ მანთეშოვის გალერეაში მოხვედრილს ოხშივარადენილ ცხელ შოკოლადზე გეთქვა უარი. ეს არც არავის გაუბედავს: დეკემბრის სუსხიდან დარბაზში შესულმა სტუმრება ქაფქაფა, ბლანტი სითხის ნელი სმით უმალ გაითბეს ორგანიზმი. გასტრონომიული შედარება თუ უხერხული არ იქნება, დაახლოებით ასეთივე განცდა აღმოჩნდა ჟურნალ "ცხელი შოკოლადის" გადაფურცვლაც - კარგი ჟურნალების, სამწუხაროდ, ჯერაც აუთვისებელ ბაზარზე გამოჩენილმა ახალმა გამოცემამ უმალ დაათბო მედიის "ორგანიზმი", მკითხველს კარგი საკითხავი შესთავაზა და უკვე იანვრის თვის, ანუ შემდეგი ნომრის მოლოდინითაც აღავსო.

"ცხელი შოკოლადის" პრეზენტაცია საახალწლოდ მორთულ-აბრჭყვიალებული შარდენის კონტექსტში ჰარმონიულად ჩაჯდა. უცნაური და გემრიელი სათაურით - რომელიც რაღაც ინტრიგასაც მოიცავს საკუთარ თავში - ამ ძველი წლის მიწურულს გამოჩენილმა გამოცემამ გალერეაში საკმაოდ ბევრი ცნობისმოყვარე მიიზიდა. საქართველოში ასე პოპულარული გუნდური პრინციპი არც გუშინ დაირღვა. რედაქტორმა შორენა შავერდაშვილმა პუბლიკას მთელი გუნდი წარუდგინა და ცალკეულ ავტორებსაც სიტყვით გამოსვლა მოსთხოვა.

უნდა ითქვას, რომ "ცხელი შოკოლადის" ეკიპაჟი საკმაოდ შთამბეჭდავია: გიო ახვლედიანი მკითხველს საჟურნალო სერიალს სთავაზობს, დათო ტურაშვილი - ერთი კონკრეტული ფოტოს გარშემო შექმნილ ფოტომოთხრობათა სერიას, ანა კორძაია-სამადაშვილი - ნოველას, ნესტან კვინიკაძე - მშვენიერი და საინტერესო ქალების ჩანახატებს. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. ჟურნალი გვთავაზობს პრაქტიკულ რჩევებსაც, პირველ ნომერში ეს 45(!) კოქტეილის რეცეპტია, სპეც-პროექტს, რომლის შესახებაც ახლა არ მოგიყვებით, რადგან მისი მთავარი ეფექტი სწორედ ჟურნალით გაცნობაში მდგომარეობს. მოკლედ, საღამოს, სავარძელში მოკალათებისას, თუნდაც ცხელ შოკოლადზე მისაყოლებლად სქელტანიანი გამოცემის ფურცლებზე კიდევ ბევრი საინტერესოს პოვნა შეიძლება.



*ჟურნალის ერთ-ერთი გმირი "ცხელ შოკოლადს" აგემოვნებს.*

შორენა შავერდაშვილმა გუშინვე პუბლიკას ჟურნალის საკმაოდ ეფექტური და ლაკონური (ალბათ, ამბიციურიც) დევიზიც გააცნო: "საუკეთესო ავტორების საუკეთესო ისტორიები". ისტორიები, რომელთაც თან ერთვის გემოვნებიანი დიზაინი, შესანიშნავი ფოტო-ილუსტრაციები და მაღალი ხარისხის პოლიგრაფია...

ალბათ, "ცხელ შოკოლადს" ჟურნალების მსოფლიო ბაზარზე ნოვაციას ვერ ვუწოდებთ. თუმცა, ქართულ სივრცეში ის უდავოდ ახალი სიტყვაა. ასეთივე კეთილშობილური და გულწრფელი ამბიცია ჟურნალის რედაქციასაც ამოძრავებს. იქ ყველა იზიარებს ერთ აზრს, რომ "ცხელი შოკოლადის" გამოჩენამდე არ არსებობდა კარგად შეკრული, გემოვნებით გაფორმებული, მაღალი ხარისხის ტექსტებითა და ფოტოებით სავსე გამოცემა, რომლის წაკითხვაც საღამოს, მოცალეობის დროს, რელაქსაციის მიზნით შეიძლებოდა. სწორედ ასე იქცა, თავიდან ქალებისთვის ჩაფიქრებული "ცხელი შოკოლადი" ზოგადად საინტერესო საკითხავ ჟურნალად ყველა სქესისთვის; გამოცემად, რომლის პირველი ნომერიც სავსეა საინტერესო და ლამაზი ადამიანების გულწრფელი ისტორიებით - გამოცდილი მეკალმეების ფანტაზიაში გატარებული ტექსტებით.

გუშინ საღამოს ახალ ჟურნალს ბაკურ ბურდული უმღეროდა. ამიტომ მანთეშოვის გალერეაში, რომელიც სავსე იყო პირველი ნომრის პერსონაჟებითა და სხვა საპატიო სტუმრებით, განსაკუთრებულად ლაღი და თავისუფალი აურა ტრიალებდა.

ცხადია, ეს თბილი, სადღესასწაულო საღამო ჟურნალის პირველ ნომერს მიეძღვნა. თუმცა, ალბათ, ყოველ ახალ თვეში გამოსული ნომრის ასეთივე საღამოებით გაფორმება, ზედმეტი ფუფუნება იქნება. ჯერ დეკემბერია. "ცხელმა შოკოლადმა" კი იანვარშიც, თებერვალშიც და უფრო მერეც უნდა დაუმტკიცოს მკითხველს, რომ სასიამოვნო, ბლანტი სითხე გაციებას და გემოს გაფუჭებას არ ექვემდებარება, ანუ, ხარისხი - ვარდნას.

# მსოფლიო ინტელექტი ინტელექტუალის გარეშე დარჩა

გუშინ, ნიუ იორკში, სლოუნ-ქეთერინგის სიმსივნის ცენტრში გარდაიცვალა 71 წლის სიუზენ სონტაგი, ყველაზე ცნობილი ამერიკელი ინტელექტუალი, ყველაზე მჭახე ხმით - რომელიც ბოლოს ყველაზე გამკივანად ბუშის პოლიტიკას და ერაყულ ომს გმობდა. ვისაც ახსოვს სონტაგი, ემახსოვრება ჟურნალ "ნიუ იორკერში" დაბეჭდილი მისი პუბლიკაციაც, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტები იყო არა "შეტევა ცივილიზაციის წინააღმდეგ", არამედ "რეაქცია გარკვეული ამერიკული ძალების ქმედებაზე"...

სიუზენ სონტაგი ლეიკემიით იყო ავად. "მე ვადასტურებ, რომ ის დღეს დილას გარდაიცვალა", - აცხადებდა გუშინ სლოუნ-ქეთერინგის საავადმყოფოს წარმომადგენელი, მაგრამ უარს ამბობდა, მწერლის სიკვდილის შესახებ სხვა დეტალებზე ეთქვა რამე. ცნობილია, რომ სონტაგს 1970-იან წლებში მკერდის სიმსივნის გამოც მკურნალობდნენ.

სენის მიუხედავად, ბევრის საყვარელი და სამაგალითო ქალბატონის გარდაცვალება გუშინ სრული შოკი იყო. დაბნეული ჟურნალისტებიც ქაოტურად იხსენებდნენ საინტერესო ფაქტებს მისი ბობოქარი ბიოგრაფიიდან. ასეთი ფაქტები კი გასახსენებლად ბუშის ამარა დარჩენილ მსოფლიოს კიდევ დიდ ხანს ეყოფა.

სონტაგი 1933 წელს ნიუ იორკში დაიბადა, არიზონასა და ლოს ანჯელესში იზრდებოდა, სანამ ჯერ ჩიკაგოს უნივერსიტეტს დაამთავრებდა, შემდეგ კი დიპლომებს ჰარვარდიდან და ოქსფორდიდანაც მიიღებდა. მას დედა ლოთი ჰყავდა, მამა ხუთი წლის ასაკში გარდაეცვალა და რა გასაკვირია, რომ ბავშვობის წლებს ციხეში გატარებულ ერთ "გრძელ, დაუსრულებელ სასჯელს" ადარებდა.



*სიუზენ სონტაგი - კარლოს ფუენტესის აზრით, თანამედროვე ინტელექტუალებს შორის მას ბადალი არ ჰყავდა.*

მისი ინტერესების სფერო მრავალფეროვანი იყო. სონტაგს თანაბარი ვნებით და სიღრმით შეეძლო, ეწერა ფრანგი ეგზისტენციალისტი მწერლების, ბალეტის, ფოტოგრაფიისა და პოლიტიკის შესახებ.

ადამიანების უფლებების აქტივისტი ქალბატონი 17 წიგნის ავტორი გახლავთ. მისი ნაწარმოებები 30 ენაზეა თარგმნილი, მათ შორისაა, რომანები, პუბლიცისტიკა, პიესები, კინოსცენარები, ესეები "ნიუ იორკერის", "გრანტას", "ნიუ იორკ რევიუ ოფ ბუქსის" და სხვა ლიტერატურული გამოცემებისთვის.

სონტაგს პოპულარობა 1964 წელს გამოცემულმა Notes on Camp-მა მოუტანა, რომელმაც პოპულარული გახადა აზრი, რომ "რა ცუდია, ასე კარგი რომაა პოპკულტურა". ბევრისთვის კი დღესაც სამაგიდო წიგნია ძალიან ღრმა ანალიზი ფოტოგრაფიისა, რომელიც სონტაგმა ჯერ ნაშრომში "ფოტოგრაფიის შესახებ" შემოგვთავაზა, ახლახან კი, 2001 წელს - გამოცემაში "განიცადო სხვისი ტკივილი".

სონტაგი არა მხოლოდ წერდა. 1993 წლის ზაფხულში - ბალკანეთში საოცრად დაძაბული მდგომარეობის დროს, მან სარაევოში ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" დადგა. მანამდე კი, კონფლიქტის ზონაში რამდენიმე წელი გაატარა.

მექსიკელი მწერალი კარლოს ფუენტესი მის შესახებ ამბობდა: "მე არ ვიცნობ არც ერთ სხვა ინტელექტუალს, რომელსაც ასეთი ნათელი გონებით შეეძლოს მოვლენების ერთმანეთთან გადაჯაჭვა, დაკავშირება, დანათესავება. მას უბრალოდ ბადალი არ ჰყავს".

გუშინ კი "სი ენ ენ"-ის ჟურნალისტი კიდევ ერთ საინტერესო დეტალს გამოყოფდა: "სიუზენ სონტაგის გარეგნობაც კი გრანდიოზული, ბობოქარი დრამის შესახებ მოასწავებდა: უძირო ყავისფერი თვალები, სქელი შავი თმა მკვეთრი თეთრი ზოლით, სიღრმიდან წამოსული, მჭახე, გაბედული ხმა და ინტონაცია. და გამოხედვა - ისეთი მკაცრი და დაჟინებული მზერითა და უცნაური ღიმილით, თითქოს, ამ ქალს ახსენდებოდა ანეკდოტი, რომლის მოყოლაც მხოლოდ თვითონ შეეძლო"...

მოკლედ

# ყველაზე მასშტაბური სამუზეუმო პროექტი

28 დეკემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ დაიწყო პროექტი, რომელიც სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგანძურის დაცვისა და შენახვის პირობების დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებას ითვალისწინებს.

მუზეუმში გათბობის, ტენიანობისა და ტემპერატურის მარეგულირებელი სისტემა დამონტაჟდება. ამ მასშტაბის პროექტი საქართველოს მუზეუმებში პირველად ხორციელდება. სამუშაოები თებერვლის დასაწყისში დასრულდება. პროექტის პირველი ეტაპის ბიუჯეტია 82 ათასი ლარი.

# სანამ ხელს ჩამოართმევდეთ

## ცვლილება ეტიკეტში, რომელიც ტენდენციად იქცა

ბევრ ევროპელს დღემდე ეხამუშება ის, რომ ამერიკელები შეხვედრისას ერთმანეთს ძირითადად არ კოცნიან. მისალმება მათთვის ხელის ჩამორთმევას, ან უფრო ფამილარულ დონეზე - ჩახუტებას, მხარზე ხელის მოთათუნებას ნიშნავს. თუმცა, თუ "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველს პოლ ფარის ვენდობით, ბოლო დროს შტატებში ხელის ჩამორთმევის ეტიკეტიც ეჭვქვეშ დგება.



ამის მიზეზი ვირუსის გადადების შიშია, რის გამოც ხელის ჩამორთმევაზე უარს ამბობენ რიგი პოლიტიკოსები და სასულიერო პირებიც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ე.წ. "გაციების სეზონზე" იგრძნობა ხოლმე და ბევრი უფრო გაბედული ამერიკელის გაკვირვებას იწვევს.

**ფაქტი:** რომაული კათოლიკური ეკლესიის მეტუჰენის ეპარქიის (ნიუ ჯერსი) მეთაურმა თავის მრევლს ნება დართო, რომ წირვისას, მისალმების დროს, ხელის ჩამორთმევის ნაცვლად, ერთმანეთისთვის, უბრალოდ, გაეღიმათ, ან თავი დაეკრათ, ან ხელი დაექნიათ - თუ, რა თქმა უნდა, ვირუსის გადადების ეშინოდათ.

როგორც ვარაუდობენ, ხელის ჩამორთმევა ადამიანებმა მშვიდობის ნიშნად დაიწყეს; იმის სხეულის ენაზე სათქმელად, რომ ხელში იარაღი არ ეჭირათ და მტრული მიზნებით არ იყვნენ მოსული. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს რეალობაში იარაღი ადამიანს ხელში მაინც უჭირავს და ის - ბაქტერიებია.

მიკრობები მთელი ორი საათის განმავლობაში ყველგან ცოცხლობენ - ხელის გულზეც, კომპიუტერის კლავიატურაზეც და კარის სახელურზეც. ამიტომაც გრიპი ნებისმიერ წამს შეიძლება აიკიდოთ. საკმარისია ბაქტერიებით სავსე ხელი თვალთან მიიტანოთ, პირთან ან ცხვირთან, რომ ვირუსები ვიკინგებივით შეესევიან თქვენს ორგანიზმს. საინკუბაციო პერიოდის გასვლის შემდეგ კი ინფიცირებულ ადამიანს იმდენი ვირუსი უგროვდება სხეულში, რომ მიკროსკოპის სლაიდი ცხოველებით სავსე ზოოპარკს ემსგავსება.

თანაც, ბევრისთვის გაციება იოლად გადასატანი სენია, ზოგისთვის კი სიკვდილის მიზეზიც შეიძლება გახდეს. მაგალითად: დაავადებათა კონტროლისა და აღკვეთის ცენტრის მონაცემებით, ყოველ წელს ამერიკაში გრიპით 36 ათასი ადამიანი იღუპება, 120 ათასზე მეტს კი მკურნალობის კურსის ჩატარება საავადმყოფოებში უწევს. ცხადია, ვაქცინები და ანტივირუსული მედიკამენტები საქმეს შველიან, მაგრამ ვაქცინაციას გრიპის ვირუსი მაინც მაგრად ხვდება, საქმეს ძალიან "შემოქმედებითად" უდგება და ისე იცვლის თავის ბუნებას, რომ 20 წლის შემდეგ ადამიანის იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს.

**ფაქტი:** ისტორიკოს ჯონ ბერის თქმით, აპოკალიპტური მნიშვნელობის "ესპანურმა" გრიპმა, რომელიც 1918-19 წლებში კანზასის შტატიდან გავრცელდა, მსოფლიოს მასშტაბით 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამის გამოც ის ყველაზე მომაკვდინებელი ეპიდემიის სახელით შევიდა ისტორიაში. ბერის განმარტებით, ზუსტად ვერ დგინდება, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია გრიპი, მაგრამ მისი მასობრივად გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ხელის ჩამორთმევა იყო. მაშინ, ზოგიერთ ქალაქში სპეციალური კანონიც კი შემოიღეს, რომელიც ხელის ჩამორთმევას კრძალავდა. თუმცა, ეს კიდევ არაფერი: გრიპი იმდენად შოკურ რეაქციას იწვევდა და ისე სწრაფად ვრცელდებოდა, რომ რიგ ქალაქებში ადამიანებმა ერთმანეთთან ურთიერთობა საერთოდ აღკვეთეს. ბერი იმოწმებს ერთი ფილადელფიელი სტუდენტის ჩანაწერს: ერთ საღამოს, საავადმყოფოსკენ გზაზე მას მხოლოდ ერთი მანქანა შეხვდა ქალაქში, რომლის მოსახლეობაც 1.75 მილიონი ადამიანი იყო.

**ფაქტი:** დღეს კი, მარკ კუპერი, საუთბერელი (კონექტიკუტი) პოლიტიკოსი ხელის ჩამორთმევაზე ნებისმიერ სიტუაციაში ამბობს უარს. სანამ გრიპის სეზონი არ ჩაივლის, ის ნაცნობებს თავის დაკვრით ესალმება, თავაზიანად უღიმის და აწვდის პატარა ბროშურას სათაურით - "გრიპი რომ არ შეგეყაროთ".

და ამ ხიფათებით სავსე ცხოვრებაში პრეზიდენტ ბუშს ხელის ჩამორთმევის გაგანია სეზონი უდგას. მისი ხელის გული ათასობით ადამიანის ხორცს ეხება - ახლა ხომ სადღესასწაულო სეზონი დგას და თეთრ სახლში მრავალი ღონისძიება იმართება, მათ შორის ჟურნალისტების ტრადიციული მიღებაც (მათზე კი ამბობენ, რომ გამორჩეულად სავსე აქვთ ხელები ბაქტერიებით). თეთრი სახლის წარმომადგენლები არ ამხელენ იმას, თუ რით იზღვევს ბუში გრიპისგან თავს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ზოგჯერ ხელის მრავალგზის ჩამორთმევის შემდეგ თითებს ლოსიონით იწმენდს ხოლმე.

თუმცა, ჩეინი ახლოსაც ვერ მოვა მილიარდერ გამომგონებელ, ავიატორ და რეჟისორ ჰოვარდ ჰიუზთან (ის მარტინ სკორსეზეს ბოლო ფილმის მთავარი გმირი გახლავთ), რომელსაც ხელის სისუფთავის ფობია სჭირდა. ის არათუ მისალმების დროს არ იყენებდა ამ ჟესტს, არამედ ითხოვდა, რომ მისთვის გადასაცემი ნივთები სუფთა ქაღალდში გაეხვიათ.

ჰიუზის გზას დღეს უძრავი ქონების მაგნატი, ამერიკელი დონალდ ტრამპი აგრძელებს. 1997 წელს გამოცემულ წიგნში ის წერს: "ერთადერთი კარგი რამ, რაც ჭამის წინ ხელის ჩამორთმევას ახლავს ხოლმე თან, არის ის, რომ მერე ცოტას ვჭამ ხოლმე და აღარ ვსუქდები". ცნობილია ისიც, რომ 1999 წელს, როცა ტრამპი აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და საარჩევნო კამპანიას აწარმოებდა, თავის ლიმუზინში მუდამ ინახავდა ანტისეპტიკურ ხელსახოცებს და ხელის ჩამორთმევის შემდეგ მონდომებით ისუფთავებდა კანს.

თუმცა, ფაქტია, რომ თუ ადამიანები ასე ისტერიულად და მასობრივად იტყვიან უარს ამ ჟესტზე, ის ისევე შეცვლის სოციალური ქცევის წესს, როგორც 1980-იანებში შიდსის ვირუსმა შეცვალა სექსუალური ცხოვრების წესი.

თუ ასე მოხდა, რა შეიძლება ჩაენაცვლოს ტრადიციულ ამერიკულ მისალმებას? ალტერნატივა მრავალგვარია: თავის დაკვრა, რევერანსი, ხელის აწევა, მხარზე ხელის მოთათუნება, ჩახუტება. ამ მხრივ, ზოგიერთი კულტურის წარმომადგენელს პრობლემა საერთოდ არ აქვს, მაგალითად ინდუსების მისალმება ავიღოთ: ის ელეგანტურია და შეხებას მეორე ადამიანთან საერთოდ არ მოითხოვს - ყველაფერს გამოხატავს თავის მდაბლად დაკვრა და ამ დროს გულთან ხელის გულების შეტყუპება.

თავისთავად, ალტერნატივაა ხელის დაბანის გაკონტროლებაც. თუ მაქსიმალურად ხშირად დავიბანთ ხელს, მიკრობებსაც უფრო იოლად და ეფექტურად შევებრძოლებით. ამ დროს ბევრს ის ანეკდოტად ქცეული ამბავი ახსენდება, ჯეიმს ჯოისს რომ გადახდა თავს:

ერთხელ ჯოისის ერთგული მკითხველი მივიდა საყვარელ მწერალთან და სთხოვა: "ნება მომეცით, ვეამბორო ხელს, რომელმაც "ულისე" შექმნა". ჯოისმა კი იუარა და უპასუხა: "მაგრამ ამ ხელს ბევრი სხვა რამეც გაუკეთებია".

ამის პასუხად კი, ბოლოს ერთი საინტერესო სტატისტიკაც: ახალი მონაცემების მიხედვით, სამიდან ერთი ადამიანი საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ ხელს არ იბანს. მერე კი, გარდა იმისა, რომ საზოგადო მოხმარების ნივთებს ეხება, ხელსაც მონდომებით ართმევს სხვებს.

# შეიძლება თუ არა, თანაგრძნობა და სინდისი კუნთებივით გაივარჯიშო?

## არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჰიმალაის ჩრდილში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

მოქმედების ადგილი - დხარამსალა, ინდოეთი, ჰიმალაის ჩრდილში აღმართული დალაი-ლამას რეზიდენცია. მოქმედების დრო - 2004 წლის ოქტომბერი. დიდ ოთახში ერთმანეთის პირისპირ ერთი შეხედვით აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები სხედან. ერთ მხარეს - ხუთი სახელგანთქმული ამერიკელი ნევროლოგ-ფიზიოლოგი, მეორე მხარეს კი - ტიბეტელი ბუდისტი ბერები, ტრადიციულ სტაფილოსფერ ჰიტონებში. ერთი მათგანი გარდაცვლილი მასწავლებლის დალაი-ლამას რეინკარნაციაა (ყოველ შემთხვევაში, თავად ეს ახალგაზრდა ასე მიიჩნევს), მეორე კი - მე-12 საუკუნეში მცხოვრები ბუდისტი ბერის რეინკარნაცია (მიდი და დაიჯერე). მეცნიერებსა და ბერებს შორის გადაულახავი უფსკრულია. ბერები არ ეთანხმებიან იმას, რომ გონება მხოლოდ და მხოლოდ ტვინის ფუნქციის გამოვლინებაა. მეცნიერები კი მიიჩნევენ, რომ ტვინში მიმდინარე ფიზიკური პროცესები სრულიად ახსნადს ხდის "გონების გრძნობებს". ერთნიც და მეორენიც ყურადღებით აკვირდებიან ოთახის კედლებზე პროეცირებულ ტვინის სკანირებას. მოკლედ რომ გითხრათ, სიტუაცია ძალიან წააგავს სცენას იონესკოს ან ბეკეტის პიესის მიხედვით დადგმულ აბსურდის თეატრიდან, თითქოს მეცნიერები და ბერები გოდოს მოლოდინში ჩამომსხდარან ერთად.



ასე გრძელდებოდა ხუთი დღე. ჭეშმარიტება - სწორედ ეს გახლავთ საბოლოო მიზანი, რომლისკენაც მეცნიერებაც ილვწის და რელიგიაც, და რომლისთვისაც მეცნიერებმა და ბერებმა ცოტა ხნით მათ შორის არსებული უთანხმოება დაივიწყეს - ერთნი თვალს ხუჭავდნენ ინკარნაციაზე, მეორენი - გონებისა და ტვინის ურთიერთკავშირზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზანს, რომელმაც ისინი გააერთიანა, ნევროპლასტიკა ჰქვია (უნებურად სოლოვიოვი მახსენდება: "პანმონგოლიზმი - სიტყვა, მართალია, ველურია, მაგრამ ჩემს სმენას მუსიკასავით ეფინება").

ნევროპლასტიკა ამერიკის შეერთებულ შტატების ნევროლოგიურ წრეებში დღესდღეობით ყველაზე მოდური დარგია. როგორც "უოლ-სთრით ჯორნელის" სამეცნიერო მიმომხილველი ბიგლი წერს, ეს ტერმინი ასახავს ტვინის ახლახან აღმოჩენილ უნარს, შეცვალოს თავისივე სტრუქტურა და ფუნქციები, კერძოდ, გააფართოოს და გააძლიეროს ის უბნები, რომლებიც მეტად გამოიყენება და შეავიწროოს ისინი, რომლებიც იშვიათად ფუნქციონირებს. ნევროპლასტიკამ, თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე, ძირითადად, დააფიქსირა ტვინში ისეთი ცვლილებები, რომლებიც ასახავს ფიზიკურ გამოცდილებასა და გარესამყაროდან მიღებულ იმპულსებს. მაგალითისთვის: პიანისტი, რომელიც არპეჯიოებით ავარჯიშებს თითების სისწრაფესა და მოქნილობას, თითქმის ავტომატურად, ერთდროულად ხმარობს საჩვენებელსა და შუა თითებს. ეს კი იქამდე მიდის, რომ ტვინის მონაკვეთი, რომელიც "პასუხისმგებელია" ამ თითებზე, "მოტყუებული" რჩება - მას "ეჩვენება", რომ პიანისტი ორს კი არა, მხოლოდ ერთ თითს იყენებს. შედეგად პიანისტს კლავიატურის გარეშეც კი აღარ შეუძლია ერთი თითის ისე გამოყენება, რომ მეორეც მოძრაობაში არ მოიყვანოს.

აქედან გამომდინარე, მეცნიერები დაინტერესდნენ, შეუძლია

გაგრძელება B8 გვერდზე

სამსონ ლეჟავას სვეტი

# ძველთბილისური ინტერიერი - მრავალგანზომილებიანი კულტურული სივრცე



მცირეოდენ ხნის წინ სტუმრად ვეწვიე ქალბატონ მანანა ანდრონიკაშვილს - პროფესიით ექიმს, უაღრესად დახვეწილ, ჭეშმარიტი არისტოკრატულობის მატარებელ ადამიანს (მართებულად შეუნიშნავთ, რომ სწორედ ასეთი პიროვნებები გამოირჩევიან ნამდვილი დემოკრატიულობით).

ქალბატონმა მანანამ გამაცნო მისი დედის, უნიჭიერესი მხატვრის, კლარა კვეესის ბრწყინვალე ნამუშევრები და ამასთანავე, უნიკალური ბიბლიოთეკაც. აქ გამოქვეყნებული ფოტოსურათი კი წარმოგვიჩენს მანანა ანდრონიკაშვილის ბაბუის, საპარკო ხელოვნების გამოჩენილი სპეციალისტის, ბატონი კარლ კვეესის სახლის ინტერიერს დიდუბეში, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე, როგორც თავდადებულ მოღვაწეს.

ფოტოსურათზე დაკვირვებამ კვლავაც ცხადყო, რომ ძველი ქალაქის სრულებით განუმეორებელი სული უფრო და უფრო მეტად ჰბარდება წარსულს, არსებითად გაქრობის ზღვარზეა.

ძველთბილისური ინტერიერი... ესაა ამოუძიებელი სიღრმის თემა, რომელიც უაღრესად მრავალასპექტურია. მის ჩაწვდომა-შემეცნებას საგანგებო და მეთოდურად გამართული კვლევა ესაჭიროება, რისი გადადებაც იმას ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ ეს ყოველივე შესაძლებელია დაგვიანებულიც კი აღმოჩნდეს.

ახლანდელი ყოფითი დინამიკა ხშირად უკანმოუხედავია, მეტისმეტად სულსწრაფი. საცხოვრებელთა ფასადები ერთხანს მაინც ინარჩუნებს ხოლმე ხელშეუხებლობას, ხოლო ის გარემო, სადაც ადამიანი უშუალოდ ცხოვრობს, ცხადია - მუდამ განიცდის უფრო ჩქარ ტრანსფორმაციებს, რომელნიც ზოგჯერ თვით სულმოუთქმელ ტემპსაც კი "აკრეფს" ხოლმე. ასეთ დროს რომელიმე ერთმა, ანდა რამდენიმე "მოდურმა" ნივთმა შეიძლება ძალზე მკვეთრი ცვალებადობაც მოახდინოს ინტერიერის მთელ წყობაში, მეტ-ნაკლები რადიკალურობით აღმოფხვრას მისი მთლიანობა, საგანთა სიმრავლის ურთიერთშეკავშირებულობა.

რაღა თქმა უნდა ძველთბილისური ინტერიერებიც თავის დროზე განიცდიდა ზოგან არსებით ცვლილებებს, მაგრამ მათში მაინც რჩებოდა რაღაც ხელშეუხებელი საწყისი, თავისებური "პალიმფსესტური" მრავალშრიანობისა და თაობათა შორის სიღრმისეული "ბმულობის" მატარებელი. ასეთ გარემოს აყალიბებდა ხელთქმნილი, ადამიანური ქმედების კვალის უშუალოდ შემნახველი, არამექანიკური, ევროპული რიგის ავეჯი; ფაქიზად შერჩეული და ბიოგრაფიის ნაწილად ქცეული ჭურჭელი; თითქოსდა კედელს მინდობილი, ერთი გამოჩენილი მწერლის პერიფრაზირებისას, "შორიდან მომზირალი" ფოტოსურათები (თავისი ღირსებით აღსავსე "პერსონაჟებით"); თავდაჭერილი კავკასიური ფარდაგები თუ უფრო უხვად შემკული, თუმცა აგრეთვე თითქმის უზადო, ადამიანის წარმოსახვის არსებითად გამამდიდრებელი ხალიჩები... ეს ყოველივე უთუოდ ქმნიდა ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ბავშობიდანვე აჩვევდა ადამიანს ნამდვილი კულტურის სივრცესთან ურთიერთობას - ანუ გარემო ერთგვარად თავადვე "მონაწილეობდა" მის აღზრდაში...

ამდაგვარი ინტერიერები, ალბათ XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე, თუნდაც ფრაგმენტულად, ჯერაც არსებობდა, მაგრამ ამჟამად მათი რაოდენობა ძალზე მცირეა. სამოციან წლებში კი ეს ყოველივე ჯერაც ცოცხალი რეალობა იყო - იმ ძველთბილისურ სახლში, რომელშიც ვცხოვრობდი, ცხადად მახსოვს, თუ როგორ გამოიყურებოდა ღვაწლმოსილი პედაგოგის, ნინო ბოცვაძის ოთახი - იქ ფარდაგგადაფარებულ ტახტს ამშვენებდა მისივე ხელით ფილიგრანულად, მაგრამ ამასთანავე სადად მოქარგული მუთაქები, ხოლო ერთი სართულით ქვემოთ უკეთილშობილესი პიროვნების, ფიზიკოს თენგიზ ბურჭულაძის ბინაში, არანაკლებ საინტერესო საგნებს იხილავდით - თუნდაც ქანქარიან ძველთაძველ საათს, რომელიც თითქოსდა ანდერსენის ზღაპრებიდან იყო გადმოსახლებული...

ნამდვილ ძველთბილისურ ინტერიერებში, მიუხედავად ზოგჯერ ნივთთა გარკვეული სიმრავლისაც კი, მაინც არ ჩანდა ზედმეტი სიჭარბე, ანდა "გაჭედილობა". საბოლოო ჯამში წამყვანი გახლდათ სიხალვათე და ზომიერება. ინტერიერები არაერთგან ატარებდა ფუნქციურობას, უარყოფდა მეშჩანურ გადატვირთულობას. ამასთანავე - მაღალი, ზოგან შემკული ჭერი და მრავალგან არსებული მოზრდილი ღიობები მთლიანობაში ხელს უწყობდა თავისუფალი სივრცის შექმნას. დამახასიათებელი იყო ასევე საფასადო თუ ეზოს აივნებთან საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი - სიმყუდროვესთან ერთად, ოთახებს არ აკლდა კომუნიკაცია გარემოსთანაც.

ძველთბილისურმა ინტერიერებმა თავის სამყოფელში როგორც შინაური, ისე მიიღო დაზგური ფერწერა (ევროპულიც, რუსულიცა და ადგილობრივიც).

ცხადია, ე. წ. დაზგური სურათები კედლის მხატვრობასთან მიმართებით, აშკარად "მობილურია", მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მათ ერთგვარად "ენატრება" ისეთი გარემოცვა, სადაც ისინი ყველაზე ორგანულად იყო ჩაქსოვილი. მაგ. ლადო გუდიაშვილის ოციანი წლების ჩინებული სურათები თითქოს უფრო მეტად თბილისის არტისტულ კაფეებს "ესწრაფვის", ხოლო ყველგან კარგად გამომზირალი ბაჟბეუქ-მელიქოვის ტილოები კი იმ ძველთბილისური, უკვე დანგრეული საცხოვრისის ინტერიერს (ძალზე კოლორიტულ ეზოსთან ერთობლივად), სადაც ისინი ყველაზე ბუნებრივად "სუნთქავდა"...



მარო მაჩხაანელის კუთხე

# ჩვენ - ზვიადაურები!

ნუ მიწყენთ, ძმებო და დებო. მაგრამ რა ვქნა, არ მემეტება ის კაცი თქვენთვის. ეგრეა ადამიანი მოწყობილი. თუმცა, არც ისე მინდა გამოვიდეს, ერთი ჩემი მეგობარი ქალი რომ იტყოდა ხოლმე: "ეს კაცი ჩემთვინ მინდაო". ამას არ ვგულისხმობ.

ბევრი რამ წავიკითხე იმ კაცზე და სწორედ იმ ნაწერებმა მათქმევინეს - არ მემეტება-მეთქი თქვენთვის. სრული უფლება გაქვთ, ზუსტად ასევე იფიქროთ ჩემზეც. აბა, როგორ ან რატომ დაგიშლით. ახლა კი, სანამ ჩემს პატარა სათქმელზე გადავიდოდე, ერთი შინაური ამბავი მაქვს მოსაგვარებელი.

მსოფლიო ძალიან დაპატარავდა. ძნელად ნახავ კაცს თუ ქალს, ყველაფრის საქმის კურსში არ იყოს.

მე რატომღა ჩამოვრჩებოდი. ეს ბოლო წლები რა აღარ ვისწავლე და რა აღარ გავიგონე, მაგრამ ის, რაც მე დამმართეს, გაუგონარია.

აი, ტრანსპლანტაცია გამიგონია, ლიპოსაქცია, კანის დაჭიმვა-გაახალგაზრდავებაც, სახელისა და გვარის გამოცვლაც, ცხვირებსაც უსწორებენ ხალხს და, ფუი ეშმაკს, სქესსაც.

ჩემთვის ვიყავი, რაღაც-რაღაცებს ვწერდი, ზოგს მიბეჭდავდნენ, ზოგსაც - არა. თუ ვინმე კითხულობდა, არა მგონია, ცუდი შთაბეჭდილება დარჩენოდა, განსაკუთრებით კი ის მიხაროდა, რომ ამ ჩემს კუთხეს ახალგაზრდა ლამაზი ქალის სურათი ამშვენებდა.

ეეჰ, არც იყო და არც ეგონო?

ფუფალა ხომ გახსოვთ, ცხოვრებაში რომ არავის ჰყვარებია და შიოლა გამოიგონა. დაახლოებით ეგრე ვიყავი მეც. ამ ჩემმა რედაქტორმა (არა, არ უნდა დამეწერა წინა წერილში, ვენაცვალე ჩემს რედაქტორს, ეს პატარა კუთხე რომ მომიჩინა-მეთქი) თუ ვიღაც სხვამ, ან მოადგილემ, ან მხატვარმა - მაგათსას რას გაიგებ - მოკლედ, დღევანდელი ენით რომ ვთქვა, "ჩამიშვეს". ის მშვენიერი გოგო მოაცილეს და ჩემი ნამდვილი სურათი არ "გლიჯეს?"

თუ მარო ხარ და მაჩხაანელი, აი, ეს უფრო მოგიხდებაო, თანაც, აღარავის მოვატყუებთო.

ეეჰ, რაც არი, არი. ეგრეა ცხოვრება - პირობებს ძლიერები კარნახობენ.



ამ ჩვენი სპორტული კომენტატორების შემყურეს, - აბა, სპორტის მე რა ვიცი, - საღერღელი ამეშლება ხოლმე. ფეხბურთისა და კალათბურთისა არაფერი გაეგებათ, ჩოგბურთზე, ჭიდაობასა და სხვა სახეობებზე ხომ სულ აზრზე არ არიან. ერთი-ორი წუთი ბურთი გააგორ-გამოაგორეო, რომ სთხოვო, გული საგულიდან ამოუვარდებათ, ისეთი ტლანქები და ფომფლოები არიან. თხილამურებზე მაგათ ვერ დააყენებ და ცხენზე ვერ შესვამ. თუ ფეხი ან ხელი მოიტეხეს, კიდევ ჰო, მაგრამ მგონია, რომ დიდ ცოდვას აიკიდებ.

ჰოდა, იმას ვამბობდი, საღერღელი ამეშლება-მეთქი. მოდი, სახაალწლოდ, აი, იმ ბიჭისგან, ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა, ზვიადაურზე გეუბნებით, ინტერვიუს ავიღებ-მეთქი.

ვინ მიმიშვა საინტერვიუდ. ეგრე ხელში აყვანილს დაატარებენ საქართველოში.

მოდი, წავუექსპერიმენტებ-მეთქი. ესე იგი, კაცის უნახავად დავწერ კაცზე-მეთქი. მაგის სოფელში ნამყოფი არა ვარ, არც ბინა მინახავს მაგისი, არც მშობლებსა და მეზობელ-მეგობრებს ვიცნობ. ჰა, რას იტყვი, მკითხველო, ვითომ ორიგინალური არ იქნება? მით უფრო, რომ ეს ახალგაზრდა კაცი საერთოდ თვალით არ მინახავს, თუ, რა თქმა უნდა, ტელევიზორით ნანახს არ ჩავთვლით.

ახლა, ვიცი, ახალ ჭორს ააგორებენ ჩემზე. ისე, ძალიან საინტერესო რამეა ეს ჭორი. ერთი ნაცნობი მყავს, ჭორების ოსტატი. არა, ოსტატი კი არა, ჭორებით მოთამაშე. რა? არ იცით, რას ნიშნავს? ადგებოდა და რამე ძალიან უცნაურსა და დაუჯერებელს მოიგონებდა. სულ ორ-სამ კაცს ეტყოდა. გავიდოდა კვირა, კიდევ ერთი-ორი დღე და უკან მოუბრუნდებოდა ის ჭორი, ცხადია, შეცვლილ-შელამაზებული, მაგრამ ნაღდად მისი გავრცელებული. მაგრად მხიარულობდა. ერთხელ ერთმა ჩემმა კოლეგამ ჩვენივე გაზეთიდან ვახტანგ რჩეულიშვილზე დაწერა, სახლში ჟირაფი ჰყავს, აფრიკიდან ჩამოყვანილიო. გაიხუმრა, რა. ნახევარი ქალაქი იმაზე ლაპარაკობდა, რა დაუჯდებოდა რჩეულიშვილს ჟირაფის აფრიკიდან გამოწერაო.

ცხოვრებაში აუგი არავისზე მითქვამს, გარშემო კი სულ მესმოდა - ზოგი ამბობდა, კაციაო, ზოგი კიდევ, რა ვიცი, რაღას არა. კარგად ვიცი, ვერც ახლა გადავურჩები ჭორებს. იტყვიან, დედაბრის ნიღაბი აიფარა და ახლა რაც უნდა, იმას იტყვის, მოხუც ქალს ვინ რას მოჰკითხავსო.

არ ვიცი, როგორც უნდათ და რაც უნდათ, ის იფიქრონ. მე ექსპერიმენტი ჩავიფიქრე, თან ისეთი, არც ერთ ჟურნალისტს რომ არ მოსვლია თავში და რომ მოვკვდე, მაინც მივაღწევ ჩემსას.

თუ არ ვცდები, ზვიადაურზე, ოლიმპიურ ჩემპიონზე შეგპირდით.

როგორც ტელევიზორის ეკრანიდან მახსოვს, მშვიდი სანდომიანი სახე აქვს. კაცი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და სხვებივით კუნტრუში არ დაუწყია ტატამზე. ხელი შემართა ზევით. ეს იყო და ეს.

თვალები ოდნავ შენოტივებული ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, იმ დროს, ოქროს მედალს რომ ჰკიდებდნენ გულზე, თავის პატარა ქვეყანაზე ფიქრობდა.

მე რატომღაც ლუკა რაზიკაშვილი და იმისი ზვიადაური გამახსენდა. მიწაზე დაგდებული, გაკოჭილი ხელ-ფეხით, შესაწირავად გამზადებული.

ტელევიზორი კვარცხლბექს უჩვენებდა. ყველაზე მაღალ საფეხურზე კი - ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს.

მე ხელფეხგაკოჭილი ვაჟას ზვიადაური მედგა თვალწინ. ყელზე ხანჯალმიბჯენილი.

ტელევიზორის ეკრანი ისევ კვარცხლბექს უჩვენებდა, უმაღლეს საფეხურზე შემდგარ ზვიადაურის ერთ ჩვეულებრივ ნაშიერს. გაუნძრეველს, უხმოდ მდგარს, წარბშეუტოკებელს.

მე კი ისევ ვაჟას ზვიადაური მიდგას თვალწინ, ყელზე მიბჯენილი ხანჯლითა და მტრის ერთადერთი სურვილით:

"დარლასამც შაეწირები".

ტელევიზორის ეკრანზე თითქმის ყველა ორთაბრძოლის უკანასკნელმა კადრებმა ჩაიქროლა. გამარჯვების მომტანი ყველა ილეთი ქართული იყო. მერე ისევ კვარცხლბეკი და...

"უცქირეთ, ერთი უცქირეთ, არ ახამხამებს თვალსაო"...

იდგა ტატამზე მაღლა შემართული ხელით და არც კი გაუცინია. იმთავითვე იცოდა, რომ ეგრე იქნებოდა.

მერე სულ ამერია ყველაფერი. ორივე სახე შეერთდა. ველარ გამეგო, კინო იყო თუ ლიტერატურა, რომელი რომლის პროტოტიპი იყო.

"ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა ყელში ურჭობენ ხმალსაო".

აღარც ეკრანი ჩანდა, აღარც ტატამი, დარჩა სისხლი და უკანასკნელი, მაგრამ მაინც ნათქვამი:

"ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა".

ველარ გავიგე, რომელი ამბობდა, რომელი რომელი იყო.

და მაინც, ხომ შეუძლებელია, მაგრამ რატომღაც მგონია, ამ ბიჭისგან, კაცი რომ არის თავისი საქციელით, ზურაბ ზვიადაურისგან გადახატა ვაჟამ თავისი ზვიადაური.

# დარჩეული 2004

ბიბა ბურასაშვილი

წლეულს, როდესაც ათენიდან საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ოქრო-ვერცხლით დაბრუნდა, უკვე ვიცოდით, ბევრი ტვინის ჭყლეტა არ დაგვჭირდებოდა იმაზე, თუ ვის გავამწესებდით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციულ რეფერენდუმში ზედა საფეხურებზე. აშკარა იყო ისიც, რომ პირველ ოთხ ადგილს ზურაბ ზვიადაურს, გიორგი ასანიძეს, ნესტორ ხერგიანსა და რამაზ ნოზაძეს ვერავინ შეეცილებოდა. თუმცა, გონების დაძაბვა მაინც მოგვიხდა. გასარკვევი რჩებოდა: ჩვენ, ხმის უფლების მქონენი, ვის დავასახელებდით 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენად - ზურაბ ზვიადაურს თუ გიორგი ასანიძეს. ორივე ნამდვილად იმსახურებდა პირველობას, მაგრამ პირველი ადგილი ერთია. ამასთან დაკავშირებით ყველას თავისი მოსაზრება ჰქონდა. ერთნი ამბობდნენ: საუკეთესო სპორტსმენის სტატუსი ზვიადაურს ეკუთვნის, რადგან პირველია, ვინც დამოკიდებლობის ხანაში ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ჰიმნი ააჟღერაო. მეორენი ასანიძეს ანიჭებდნენ უპირატესობას - შტანგა ცალი ხელით აწიაო.

ერთი სიტყვით, აზრი გაიყო.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, გუშინდლამდე რეფერენდუმის შედეგები ყველასთვის უცნობი იყო. გამოკითხვაში 33 ჟურნალისტი მონაწილეობდა. სპორტსმენთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ტრადიციულად "შერატონ მეტეხი პალასში" გვიხმეს.

გუშინდელი დღე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი საიუბილეო გახლდათ - რეფერენდუმი რიგით მე-40 გამოდგა. სსჟა-მ უხმო ყველა იმ სპორტსმენს, ვისთვისაც ამ ხნის განმავლობაში წლის საუკეთესო სპორტსმენის სტატუსი მიუნიჭებიათ.

ლაურეატთა ათვლა (პრინციპით - ქვევიდან ზევით) საღამოს წამყვანმა ჯამლეტ ხუხაშვილმა ითავა. ვის რამდენი ხმა ერგო და რომელ ადგილზე გავამწესეთ, ქვევით შეიტყობთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაიკავა ძიუდოისტმა ზურაბ ზვიადაურმა. ის 33-ვე ანკეტაში მოხვდა (26 პირველი ადგილი, 7 - მეორე). მაქსიმალური 330 შესაძლებელი ქულიდან 323 ქულა დააგროვა და რეფერენდუმის სამგზის გამარჯვებულს, ძალოსან გიორგი ასანიძეს (7 პირველი ადგილი, 24 - მეორე, 1 - მესამე, 1 - მეექვსე) 24 ქულით გაუსწრო.





ვახო ბესელიას ფოტოები

"ზურა ნამდვილად იმსახურებდა პირველობას. რეფერენდუმში მონაწილეობა რომ შემძლებოდა, მეც მას დავაყენებდი პირველ ადგილზე. ალალად გეუბნებით, პირველი ჩემპიონი ამას იმსახურებს", - მოგვიანებით თქვა ასანიძემ.

მას შემდეგ, როდესაც ზურაბ ზვიადაურის სახელი გაჟღერდა და მილოცვები მიიღო ორიოდე სიტყვა მასაც ვთხოვეთ, მან კი ასანიძის არ იყოს, ჩემთვის რომ ეკითხათ პირველობას გიორგის მივანიჭებდიო.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი, ბერძენ-რომაელ რამაზ ნოზაძე, რომელმაც ასევე ვერცხლის მედალოსან ძიუდოისტსა და ათენის პირველ პრიზიორს ნესტორ ხერგიანს 6 ქულით გაასწრო.

ლაურეატებს ჯილდოები და პრემიები გადასცეს მათ, ვინც წინათ დაუსახელებიათ წლის საუკეთესო სპორტსმენებად.

უყურადღებოდ არც ჟურნალისტები დარჩენილან. ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია გადაეცა მთავარი გაზეთის "სპორტის" ფეხბურთის განყოფილების ჟურნალისტს კოტე გოგიშვილს.

რაკი 2004 წლის რეფერენდუმი საიუბილეო იყო, აქვე გთავაზობთ 1964 წლიდან დღემდე წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულთა გვარებს.

### საქართველოს 2004 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი

| | |
|---|---|
| 1. ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) | 323 |
| 2. გიორგი ასანიძე (ძალოსანი) | 299 |
| 3. რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) | 250 |
| 4. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) | 244 |
| 5. მალხაზ ასათიანი (ფეხბურთი) | 136 |
| 6. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) | 91 |
| 7. ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) | 89 |
| 8. ლევან კობიაშვილი (ფეხბურთი) | 72 |
| 9. ნიკოლოზ იზორია (კრივი) | 46 |
| 10. ვლადიმერ ბოისა (კალათბურთი) | 38 |

### საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის ლაურეატები:

1964 - სლავა მეტრეველი, 1965 - ომარ ფხაკაძე, 1966 - ალექსანდრე მეტრეველი, 1967 - ზურაბ საკანდელიძე, 1968 - ვიქტორ სანეევი, 1969 - ნონა გაფრინდაშვილი, 1970 - თინათინ ლეკვეიშვილი, 1971 - ლევან თედიაშვილი, 1972 - ვიქტორ სანეევი, 1973 - ლევან თედიაშვილი, 1974 - ლევან თედიაშვილი, 1975 - ნონა გაფრინდაშვილი, 1976 - ვიქტორ სანეევი, 1977 - დავით კვაჭაძე, 1978 - მაია ჩიბურდანიძე, 1979 - თემურ ხუბულური, 1980 - ქეთევან ლოსაბერიძე, 1981 - რამაზ შენგელია, 1982 - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1983 - თეიმურაზ აფხაზავა, 1984 - მაია ჩიბურდანიძე, 1985 - დავით გობეჯიშვილი, 1986 - მაია ჩიბურდანიძე, 1987 - ლერი ხაბელოვი, 1988 - ნინო სალუქვაძე, 1989 - არ ჩატარებულა, 1990 - დავით გობეჯიშვილი, 1991 - არ ჩატარებულა, 1992 - კახი კახიაშვილი, 1993 - კახი კახიაშვილი, 1994 - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1995 - გიორგი ვაზაგაშვილი, 1996 - ელდარ კურტანიძე, 1997 - გიორგი კანდელაკი, 1998 - გიორგი ასანიძე, 1999 - ნინო სალუქვაძე, 2003 - ელდარ კურტანიძე, 2004 - ზურაბ ზვიადაური.

კალათბურთი

# ო`ნილი დაბრუნდა! დიდი ხნით?

სანდრო ნავერიანი

საკითხი ასე არ დადგებოდა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია რომ შეგუებოდა დამოუკიდებელი მოსამართლის როჯერ კაპლანის გადაწყვეტილებას, რომელმაც ჯერმაინ ო`ნილის 25-მატჩიანი დისკვალიფიკაცია 15-მდე შეამცირა.

მკითხველს, რა თქმა უნდა, ემახსოვრება, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა დევიდ სტერნმა ჯერმაინ ო`ნილს 25-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა "დეტროიტ პისტონზთან" მიმდინარე მატჩის ბოლო წამებზე მომხდარ ჩხუბში მონაწილეობა მიიღო. ყველაზე მკაცრი სასჯელი რონ არტესტს ერგო - ის სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. 30-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო სტივენ ჯექსონმა, რომელიც მხოლოდ მათ დაშოშმინებას ცდილობდა. ამის შემდეგ პროფკავშირებმა არბიტრაჟს მიმართა - გააპროტესტა ასეთი მკაცრი სასჯელი, რის შედეგადაც სასჯელი მხოლოდ ო`ნილს შეუმსუბუქდა. როჯერ კაპლანმა ო`ნილის მიმართ გამოჩენილი ლოიალობა ასე ახსნა: ჯერმაინი ჩხუბობდა მოედანზე, იქ, სადაც გულშემატკივრებს გასვლის უფლება არა აქვთ. რაც მთავარია, ის არასოდეს შეუმჩნევიათ მსგავს სიტუაციაში. "ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს იმას, რომ ო`ნილის საქციელი გამართლებულია. ის გულშემატკივარს ხელს ურტყამდა. მან დაიმსახურა 15-მატჩიანი დისკვალიფიკაცია". - განაცხადა მოსამართლემ.

ამის შემდეგ ლიგის ადვოკატებმა გაასაჩივრეს კაპლანის გადაწყვეტილება და საქმე გადაეცა მოსამართლე ჯორჯ დენიელსს, რომელმაც ორივე მხარის არგუმენტები მოისმინა და განაცხადა, რომ 30 დეკემბერს განაჩენს გამოიტანს, მანამდე კი კაპლანის გადაწყვეტილება ძალაში იქნება. იმის გამო, რომ ჯერმაინ ო`ნილს 15 მატჩი უკვე გამოტოვებული ჰქონდა, მან "დეტროიტ პისტონზის" წინააღმდეგ ითამაშა, რომელიც 26 დეკემბერს გაიმართა.



ჯერმაინ ო`ნილის საქმე 30 დეკემბერს გადაწყდება.

"ასეთ საშობაო საჩუქარზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა", -განაცხადა "ინდიანა პეისერზის" მთავარმა მწვრთნელმა რიკ კარლაილმა ჯერმაინ ო`ნილის დაბრუნებასთან დაკავშირებით. მან ასევე განაცხადა, რომ ო`ნილმა საზღაური მიიღო და მეტს აღარ იმსახურებს. იგივეს აცხადებს კლუბის პრეზიდენტი ლარი ბიორდი, მაგრამ ყველაფერი მაინც ჯორჯ დენიელსზე იქნება დამოკიდებული.

რამდენიმე წლის წინ დევიდ სტერნმა "მინესოტა თიმბერვულვზს" გამოუტანა განაჩენი, რომელიც შემდეგ შეამსუბუქა. ეს იყო და ეს - მეტი არავისთვის არასოდეს სასჯელი არ შეუმსუბუქებია. რა უშლის ხელს დევიდ სტერნს, რომ მოწყალება მოიღოს და ჯერმაინ ო`ნილს დისკვალიფიკაცია მოუხსნას? ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, სიმკაცრისკენ ლტოლვის ამბიცია.

რა როგორ დამთავრდება, ამას 30 დეკემბერს ვნახავთ, მანამდე კი, სანამ საშუალება გვაქვს, თვალი ვადევნოთ ჯერმაინ ო`ნილის თამაშს, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ და ვისიამოვნოთ მისი ბრწყინვალე კალათბურთით, რადგან, შესაძლოა, ის კიდევ დიდხანს ვერ ვიხილოთ მოედანზე.

30 დეკემბრამდე კი მოგიყვებით, თუ რა ხდებოდა ინდიანაპოლისში, როდესაც "ინდიანა პეისერზმა" "დეტროიტ პისტონზს" უმასპინძლა. ინდიანაში რომ დეტროიტელები არ უყვართ, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ვინ დაამარცხა 2003-2004 წლების აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში "ინდიანა პეისერზი"? "დეტროიტ პისტონზმა"! ვისთან ჩხუბისთვის მისცეს დისკვალიფიკაცია "ინდიანა პეისრეზის" წამყვან კალათბურთელებს? "დეტროიტ პისტონზთან"!

აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს ერთნაირი მაჩვენებლები ჰქონდა - 12 მოგება, 12 წაგება. აღსანიშნავია იმიტომ, რომ "ინდიანა პეისერზმა" უკანასკნელი 15 მატჩი თავისი ლიდერების გარეშე ჩაატარა, ხოლო "დეტროიტ პისტონზს" მხოლოდ ბენ უოლასი აკლდა, ისიც ხუთი მატჩის განმავლობაში. სპეციალისტები ამტკიცებდნენ, რომ "ინდიანა პეისერსი" განწირულია, რომ მისთვის დიდი მიღწევა იქნებოდა, თუ პლეი-ოფში გააღწევდა.

როგორც ხედავთ, "პეისერზი" არაფრით ჩამოუვარდება "პისტონზს", რომელიც ჩემპიონის ტიტულსაც კი ატარებს, მაგრამ ჩემპიონის იერისგან ძალიან შორს არის.

რაც შეეხება მატჩს, ის დეტროიტელთა გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ეს შეხვედრა იყო, რომელშიც "პისტონზმა" ჩემპიონის საკადრისი თამაში აჩვენა. მართალია, ანგარიში (98:93) დამანგრეველი არ ყოფილა, მაგრამ "პეისერზმაც" ძალიან კარგად ითამაშა. მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, "პეისერზის" მთავარმა მწვრთნელმა რიკ კარლაილმა განაცხადა, რომ მათთვის მთავარი იყო, "პისტონზთან" ისე ეთამაშათ, რომ თავჩაღუნულებს არ დაეტოვებიათ მოედანი. "ეს კი პირწმინდად შევასრულეთ," -დაამატა რიკ კარლაილმა.

მოკლედ, 30 დეკემბერს გავიგებთ ჯერმაინ ო`ნილის დისკვალიფიკაციის ამბავს და საბოლოოდ გაირკვევა, რა ბედი ეწევა მას. საბოლოოდ იმიტომ, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც ჯორჯ დენიელსი გამოიტანს, გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ფეხბურთი

# ფირცხალავას ბრაზილიაში არ ივიწყებენ

მიხეილ აბაიშვილი


ლევან ხერხეულიძის ფოტო

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: კვალიფიციური საფეხბურთო სპეციალისტების მწვავე დეფიციტის მიუხედავად, საქართველოში არაერთი მაღალი დონის პროფესიონალი უმუშევარია. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებში კი ბევრია ისეთი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, შემთხვევით მოხვდა ფეხბურთში და რომელთა კვალიფიკაციაც ეჭვს იწვევს. ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება თემურ მახარაძე, რომელიც, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოში ყველაზე ნიჭიერი მწვრთნელია. შესაძლოა, ვინმემ მიკერძოებად ჩამითვალოს, მაგრამ ასეთი შეფასების საფუძველს მხოლოდ მის მიერ ნაჩვენები შედეგები მაძლევს. ამის მიუხედავად, მახარაძე თითქმის მთელი სეზონი უმუშევარი იყო და სულ ცოტა ხნის წინ ჩაუდგა სათავეში წყალწაღებულ "ზესტაფონს", რომელიც, სწორედ მისი დამსახურებით, არა მხოლოდ საგრძნობლად გასცდა გასავარდნ ზონას, არამედ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ გუნდთა კოჰორტაშიც მოიაზრება.

ანალოგიური სიტუაციაა გია ფირცხალავასთან დაკავშირებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფირცხალავა დღესაც უმუშევრადაა. არადა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობ კრიზისში აღმოჩენილი თბილისის "დინამო" სწორედ ფირცხალავამ დაუბრუნა აცდენილ რელსებს. გიას მიერ წარმართული გონივრული მენეჯმენტის წყალობით, "დინამო" ანგარიშგასაწევი ძალა გახდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ფირცხალავას დამსახურებაა, რომ საქართველომ გაიცნო მაღალი დონის სპეციალისტი, ხორვატი ივო შუშაკი, რომლის ხელმძღვანელობითაც "დინამომ" კარგა ხნის უნახავი საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც დაიბრუნა და ეროვნული თასიც მოიგო, ხოლო შუშაკის მიერ გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა. საბოლოოდ, ფირცხალავა მისთვის დღემდე გაურკვეველ ინტრიგებს შეეწირა, რასაც ძალიან მალე მოსკოვში თანამეგობრობის ტურნირის მომგები შუშაკის გაშვებაც მოყვა.

ფირცხალავა საქართველოში არ ახსოვთ, თორემ საერთაშორისო საფეხბურთო საზოგადოებრიობაში მას დიდი ავტორიტეტი აქვს. თან, ამ საზოგადოებრიობაში მხოლოდ ევროპა არ იგულისხმება. ამ ცოტა ხნის წინათ ფირცხალავა ბრაზილიაში იყო მისი ახლო მეგობარის, ბრაზილიის კლუბ "ატლეტიკო პარანაენსეს" დირექტორის ანტონიო კარლოს გომესის მიწვევით. შესაძლოა, "ატლეტიკო პარანაენსეს" სახელი ისეთი პოპულარული არ იყოს ჩვენში, როგორც "ფლამენგო", "ბოტაფაგო", "სანტოსი" და "კრუზეირო", მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. "ატლეტიკო პარანაენსე" ახლახან დამთავრებული ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლომდე ლიდერობდა და მხოლოდ ბოლო ტურში განცდილი მოულოდნელი მარცხის გამო ვერცხლის მედლებს დასჯერდა, ჩემპიონი კი გახდა "სანტოსი", რომელმაც "პარანაენსეს" ერთი ქულით გაუსწრო. "24 საათი" გია ფირცხალავას სწორედ ამ ვიზიტის დეტალებისა და შედეგების გასაცნობად დაუკავშირდა.

"ეს ბრაზილიაში ჩემი მეორე ვიზიტი იყო, რომელმაც თითქმის ერთ თვეს გასტანა. ვიყავი ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი შტატის, პარანას დედაქალაქ კურიტიბაში, რომელსაც "ატლეტიკო პარანაენსეს" გარდა, ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში კიდევ სამი გუნდი ჰყავს, რომელთა შორის გამოირჩევიან "კურიტიბა" და "პარანა კლუბი". ვიზიტის მიზანი ბრაზილიაში ფეხბურთის კლუბების სტრუქტურისა და მენეჯმენტის უკეთ გაცნობა, მათ სამზარეულოში ჩახედვა გახლდათ. ერთი წლის წინ ასეთივე ვიზიტით ვიყავი, მაგრამ მაშინ დრო უფრო ცოტა მქონდა და შედარებით ზედაპირულად შევისწავლე ეს საკითხი. წლეულს უფრო ღრმად ჩავიხედე ამ კლუბების მენეჯმენტში, სტრუქტურულ მოწყობასა და განვითარების გეგმებში. შარშანდელთან შედარებით, საკმაოდ დიდი ცვლილებებია. ყველაზე თვალსაჩინო ის გახლავთ, რომ ჩემს მიერ ხსენებული კლუბები პროგრესულად ვითარდებიან. შეიძლება ითქვას, რომ ეს კლუბები ევროპული საზომებითაც კი მაღალ დონეს აკმაყოფილებენ", - განუცხადა "24 საათს" გია ფირცხალავამ.

განვითარების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, შესაძლოა, ამ ქვეყნიდან ევროპაში ფეხბურთელების მიგრაცია საგრძნობლად შემცირდეს.

"ასეთი პროგრესის მიუხედავად, ბრაზილიური კლუბების ფინანსური მდგომარეობა წამყვანი ევროპული კლუბებისას დღეს მაინც ვერ შეედრება. შესაბამისად, ანაზღაურებაც ევროპაში უფრო მაღალია, რის გამოც ბრაზილიელი ფეხბურთელები დაუფიქრებლად მოდიან "ძველ სამყაროში". ამ პროცესს არ ეწინააღმდეგებიან არც მათი კლუბები, რომლებიც სოლიდურ სატრანსფერო კომპენსაციას იღებენ. თუმცა, ვფიქრობ, ეს კომპენსაცია ძალიან მალე არასაკმარისი აღმოჩნდება, რადგან თავად ბრაზილიაშიც ფეხბურთში სულ უფრო დიდ ინვესტიციებს დებენ. მთელი მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ჯგუფები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრაზილიურ საკლუბო ფეხბურთზე გავლენის მოსაპოვებლად. ერთ მაგალითს მოვიტან: სწორედ ბრაზილიაში ყოფნისას ადგილობრივ პრესაში ხმაური ატყდა იმის გამო, რომ ერთ ცნობილ რუს ოლიგარქს წამყვანი ბრაზილიური კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენა სურს. ეს კი ერთეული შემთხვევა არ არის. ამიტომ სულ უფრო გაჭირდება ამ ქვეყნიდან ფეხბურთელების ევროპაში გადმობირება. ამ ეტაპზეც ბრაზილიურ კლუბებში არაერთი უმაღლესი კლასის ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომელსაც სამშობლოს დატოვებაზე ფიქრიც კი არ უნდა", - აღნიშნა ფირცხალავამ.

თუ ადრე ევროპის წამყვანი კლუბები თავად ეშურებოდნენ ბრაზილიასთან მჭიდრო კონტაქტებს და ამ ქვეყნის ქალაქებში ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს ხსნიდნენ, დღეს თავად ბრაზილიელები ცდილობენ არეალის გაფართოებას და ამისთვის მთელ მსოფლიოში ეძებენ ნიჭიერ მოზარდებს.

"რამდენად საოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, "ატლეტიკო პარანაენსემ" ჩინეთშიც კი გახსნა საფეხბურთო სკოლა და ამ სკოლას სერიოზულ მიზნებს უკავშირებენ. როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, მათ შევთავაზე, ასეთი რამ თბილისშიც გაეკეთებინათ. სერიოზულად დაინტერესდნენ. დღეს მიჭირს ვთქვა, ეს ინტერესი რამდენად სწრაფად გადაიზრდება საქმის კეთების სურვილში და მართლა შეეცდებიან თუ არა ბრაზილიელები ჩვენთან საფეხბურთო სკოლის დაარსებას. თუმცა, ის კი მითხრეს, რომ შეეცდებიან საქართველოში ჩამოსვლას და სიტუაციის ადგილზე შესწავლას", - გვითხრა ფირცხალავამ.

დაბოლოს: გია ფირცხალავამ ერთი ბრაზილიური კლუბიდან მიიღო მიწვევა. მას გენერალურ მენეჯერობას სთავაზობენ. წინადადება მომხიბვლელია და, როგორც თვითონ გვითხრა, სერიოზულად ფიქრობს ამ წინადადებაზე.

TV-სპორტი

**ოთხშაბათი**
**29 დეკემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "პორტსმუტი" - "ჩელსი"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "პორტუ" - ცსკა
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 1998-1999. ფინალი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
18:50 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. ესპანეთის ჩემპიონატი. "რასინგი" - "ბარსელონა". შესვენებისას (19:40) - თავისუფალი დარტყმა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2002 - 2003. "ლოკომოტივი" - "ბრიუგე"
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:15, 16:15, 19:00, 21:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25, 13:30 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. გერმანია - კანადა
12:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
13:50 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:50 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი შვეიცარიაში. ქალები. ნახევარფინალი
16:30 "ბილიარდის მეუფენი"
17:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. გერმანია - კანადა
19:15 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. რუსეთი - ბელორუსი. მატჩის მიმოხილვა
20:30 "სპორტისიმო"
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. ჩქაროსნული დაშვება
22:40 რუსული საჩოგბურთო სეზონი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი - 2004. ქალები. მეოთხედფინალი. ელენა დემენტიევა - ამელი მორესმო
00:15 ახალი ამბები
00:30 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
01:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. რუსეთი - ბელორუსი. მატჩის მიმოხილვა

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
11:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
12:30 მულტისპორტი
12:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
14:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 მულტისპორტი
15:45 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. ჰოლანდია - ჩეხეთი
16:45 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. უელსი - პოლონეთი
17:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
18:45 მულტისპორტი
19:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და ესპანეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
20:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ჰოლანდიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
22:30 ფეხბურთი - უეფას თასი
23:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი ესპანეთში. კატალონია - არგენტინა. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა

# იოჰან კრუიფი: "რეალის" ზოგიერთ მოთამაშეს ფეხბურთი ყელში ამოუვიდა"



სახელოვანმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა იოჰან კრუიფმა ერთ-ერთ ესპანურ გაზეთს მისცა ინტერვიუ, რომელშიც წლევანდელ სეზონში "ბარსელონას" თამაშს განიხილავს. თუმცა, მადრიდის "რეალის" ჩავარდნის თემასაც არ ჩაუვლია ამ ინტერვიუს მიღმა. გთავაზობთ ნაწყვეტს ინტერვიუდან, სადაც "მფრინავი ჰოლანდიელი" მადრიდის "რეალის" თამაშზე საუბრობს.

**- რა ხდება მადრიდის "რეალის" თავს?**

- მათ დაბალანსება არ ჰყოფნით. ხოლო თუ ეს არა აქვთ, გუნდი ორად იყოფა. "რეალის" ზოგიერთი მოთამაშე თავის საქმეს არ ასრულებს.

**- სად არ ჰყოფნის გუნდს დაბალანსება?**

- მოედნის ცენტრში.

**- მაგრამ მოედნის ცენტრში მათ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავთ...**

- ფეხბურთს მარტო დიდი ფეხბურთელები არ თამაშობენ. საუკეთესო გუნდებს ყოველთვის ჰყავს დაბალანსებული შემადგენლობა, რომელშიც თამაშობენ ფეხბურთელები, ვინც მაინცდამაინც სანახაობრივ ფეხბურთს არ ქადაგებს. ყოველ მათგანს კონკრეტული ფუნქცია აკისრია და თუ რაიმე არ გამოდის, ეს თამაშზე ძალიან ცუდად აისახება.

**- მოკლედ რომ ვთქვათ, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველებიდან დაცვაში არავინ ჩადის, ხომ?**

- თუ მეტოქეს მისსავე ნახევარზე ან მოედნის ცენტრში ართმევ ბურთს, ეს ძალიან კარგია. მაგრამ თუ ამას მეკარის მოედნიდან რამდენიმე მეტრში აკეთებ, მაშინ ბევრს დარბიხარ და, შესაბამისად, ძალებს კარგავ. ხოლო თუ ამას თვეების განმავლობაში აკეთებ, ბოლოს და ბოლოს, ეს თამაშზეც აისახება. ფეხბურთის თამაში ამ ადამიანებისთვის სიამოვნებაა, მაგრამ თუ 70 წუთის განმავლობაში მინდორზე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიხარ, მაშინ დარჩენილი 20 წუთის განმავლობაში შრომა მაინც გმართებს, მაგრამ ეს უკვე ძნელია. ამასთან, თუ 70 წუთი იმაზე მეტს დარბიხარ, ვიდრე საჭიროა, ბოლოს მაინც ილლები და ჩერდები.

**- მადრიდის "რეალი" მინდორზე დადის?**

- ბუნებრივია, ზოგიერთი მოთამაშე მინდორზე ჩერდება იმისთვის, რომ ცოტა ამოისუნთქოს. მათ სხვა საშუალება არა აქვთ. ერთადერთი შანსი ძალების აღდგენისთვის ბურთის დაჭერა და დაბალ ტემპში თამაშია. ხოლო როცა ყველა დაისვენებს, - შეტევაზე გადასვლა. ისინი ფეხბურთელები არიან და არა ძრავები.

**- ეთანხმებით თუ არა ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთს, რომელმაც დაწერა, რომ რაული "ფერარი" კი არა, "სიტროენ 2CV"-ა?**

- ეს ნამდვილი სისულელეა. საერთო ჯამში, ყოველდღიური სპორტული გაზეთები კარგია ბარებში განსასჯელად, მაგრამ მათში საქმის ცოდნა ნაკლებია. როგორ შეიძლება რაულზე ამის თქმა? შეიძლება თქვა, რომ ის არ ფუნქციონირებს, მაგრამ ამის თქმა ფეხბურთის არცოდნას ნიშნავს.

**- მადრიდის "რეალი" დაბერდა?**

- საქმე ეს არ არის. საკითხავი ის არის, შეძლებს თუ არა გუნდი, გადაიტანოს მთელი ეს სისულელე, რაც ამჟამად ფეხბურთის ირგვლივ ტრიალებს. მე ფეხბურთიდან იმიტომ წავედი, რომ 32 წლის ასაკში ეს სამყარო ყელში ამომივიდა. ასევე დაემართა მადრიდის "რეალის" ზოგიერთ ფეხბურთელს. მათ უკვე აღარ აინტერესებთ ერთი და იგივე საგნებზე მსჯელობა, ერთი და იგივე კითხვებზე პასუხი. მათთვის უკვე ძალიან ძნელია ამ წესებით ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში აღარაფერი გრჩება იმის გარდა, რომ ამ ყველაფერს შეეგუო და ჩავარდნა დაგეწყოს.


საჩუქრის ახალი ფორმა!

გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?

ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991





# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ერთობით გადავრჩით

**უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და წმიდა სინოდის მიმართვა**

**საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს!**

**სრულიად საქართველოს მოსახლეობას!**

ქართველები, აფხაზები და ოსები მრავალი საუკუნის მანძილზე ერთად ვეწეოდით ცხოვრების მძიმე უღელს, რაც მაღალმა ღმერთმა დაგვაკისრა. ამ ერთობით გადავრჩით, შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული და სულიერი ფასეულობანი.

არაერთხელ უცდია შინაურ თუ გარეშე მტერს ჩვენი გათიშვა და განადგურება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიჩენდით სიბრძნეს და ვგრძნობდით, თუ რა მოჰყვებოდა დაყოფას. სამწუხაროდ, ბოლო დროს ერთმანეთის წინაშე უმძიმესი ცოდვა ჩავიდინეთ და მომსწრენი გავხდით ძმათა შორის დაპირისპირებისა. მტერმა ჩვენ შორის უნდობლობა ჩამოაგდო და ერთმანეთზე ხელი აღვმართეთ, რითაც უმძიმესი ცოდვა ჩავიდინეთ.

მონანიება და შერიგება არის ერთადერთი გზა ჩვენი გადარჩენისა. ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ერთად, და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება მთელი ჩვენი მოსახლეობისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და საქართველოს სინოდის მღვდელმთავარნი მოგიწოდებთ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს მონანიებისა და ურთიერთშერიგებისაკენ. "არა არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდოს".

ბედნიერია ის ერი და ის ადამიანი, რომელიც დაინახავს თავის შეცდომას და მოინანიებს მას.

2004 წლის 25 დეკემბერს, თბილისში, წმიდა სამების ახლად აშენებულ საკათედრო ტაძარში შესრულდა საგანგებო წირვა-ლოცვა საყოველთაო სინანულისა და შერიგებისთვის.

ვიმედოვნებთ, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლების თანადგომა ამ ისტორიულ და მადლმოსილ საქმეში ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისა და ერთობის დამკვიდრებას.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!**

# პრეზიდენტის დავალება

ზაზა ფაჩუაშვილი

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს დაავალა, რომ უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს ქვეყნის შიდა კონფლიქტების დარეგულირების კონცეფცია და ჩამოაყალიბოს კონკრეტული წინადადებები აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, რომელსაც შემდეგ ოფიციალურად შევთავაზებთ აფხაზურ მხარეს. ამავე საკითხში თანამშრომლობის მიზნით, მიხეილ სააკაშვილი კონფლიქტების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც უკვე კარგა ხანია, შემუშავებული და საჯაროდ გამოქვეყნებული აქვთ კონცეფცია აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ. მაგალითად, ასეთი კონცეფცია უშიშროების საბჭოში წარადგინა პაატა ზაქარეიშვილმა, რომელმაც ამ შეხვედრის თაობაზე განაცხადა: "პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელისუფლებასთან, უშიშროების საბჭოსთან ერთად შევიმუშაოთ ჩამოყალიბებული კონცეფცია, როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის მიმართ. პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს იანვრის შუა რიცხვებამდე მოესწროს, რათა ვენეციის კომისიის წევრებს, რომლებიც იანვარში უნდა ჩამოვიდნენ, მომზადებული დავხვდეთ." ამგვარად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საყვედურები, რომ მთავრობას კონფლიქტების დარეგულირების არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ შეუქმნია, მალე წარსულს ჩაბარდება და ჩვენ გვექნება ის, რისი დაპირისპირებული მხარისათვის შეთავაზებაც თამამად შეგვეძლება. იგივე არასამთავრობოების პროგნოზით, ავტონომიის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ შემუშავებული ოფიციალური დოკუმენტი დღევანდელი მსოფლიოსათვის უპრეცედენტო იქნება. სამთავრობო დოკუმენტში აფხაზების დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების გარანტიები იმდენად მაღალი ხარისხით ჩაიდება, რომ ხმას რუსეთიც კი ვერ ამოიღებს. ეს უნდა გახდეს გარანტია იმისათვის, რომ აფხაზები მოლაპარაკებებზე წამოვიდნენ და ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი მიიღონ. ამასთან დაკავშირებით, თითქოს, ყველა კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ ასე არ არის. ხელისუფლებასთან პრეტენზიები აქვს საქართველოს სახალხო ფრონტის ლიდერს ნოდარ ნათაძეს. საქმე ის არის, რომ მანაც გააკეთა და გამოაქვეყნა კონცეფცია აფხაზეთთან დაკავშირებით, მაგრამ მისთვის პრეზიდენტთან შეხვედრაზე არავის დაუძახია. ამის მიუხედავად, ბატონი ნოდარი მაინც აპირებს, რომ სახალხო ფრონტის კონცეფცია ეროვნული უშიშროების საბჭოში დაუყოვნებლივ წარადგინოს. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ მთავრობამ მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი კონფლიქტების დარეგულირების ოფიციალური დოკუმენტის შექმნას. იმის შესახებ, თუ რასთან გვაქვს საქმე და რას უნდა ველოდოთ ახლო მომავალში, ვესაუბრებით სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების დარგში ბატონ გოგა ხაინდრავას და იუსტიციის მინისტრს ბატონ გიორგი პაპუაშვილს.*

## გოგა ხაინდრავა: "სოხუმისკენ მომავალ წელს გადავინაცვლებთ"

**- ბატონო გოგა, რა მოძრაობა დაიწყო მთავრობაში აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით?**

- ასეთი მოძრაობა მაშინვე დაიწყო, როგორც კი შეიქმნა სახელმწიფო მინისტრის ოფისი კონფლიქტების მოგვარების დარგში. პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო ცენტრი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. ამ წლების მანძილზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეიქმნა რამდენიმე საინტერესო კონცეფცია, აფხაზეთთან მიმართებაში და დღეს დაიწყო განხილვები ამასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დაიწყო, აგრეთვე, სერიოზული მუშაობა აფხაზეთის სტატუსთან მიმართებაში, რაშიც მონაწილეობას არასამთავრობოებიც მიიღებენ. მათთან ერთად შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ისეთი მოდელი, რომელიც როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის მისაღები იქნება.

**- ხომ არ არის გამოკვეთილი რაიმე კონტურები, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს სტატუსი?**

- აქ არის საუბარი ფართო ავტონომიაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით, დღეს მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა სახის კომისიები. ერთ-ერთია ვენეციის კომისია, რომელსაც ჩვენ მივმართეთ იმისთვის, რომ დაგვეხმაროს ფართო ავტონომიის სტატუსის შესახებ საკითხების მოგვარებაში. მალე, დაახლოებით, 10-15 იანვარს ჩვენ ამ კომისიის წევრებს თბილისში ველოდებით, რათა მათთან ერთად გავაგრძელოთ მუშაობა ამ მოდელის ჩამოყალიბებაზე.



ვახო ხალილია ფოტო

**- თქვენი აზრით, წამოვლენ თუ არა აფხაზები პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე სტატუსთან დაკავშირებით?**

- მე ვფიქრობ, სხვა გზა არ არსებობს და აფხაზებიც საარჩევნო ბატალიების დროს ყველაფერს მიხვდნენ. ისინი დარწმუნდნენ, რომ მომავალი მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ერთიან სივრცეში გააჩნიათ. ყველა სხვა შემთხვევაში მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, როდესაც მოხდა ფაქტობრივი ძალადობა აფხაზ საზოგადოებაზე და რუსებმა აფხაზების თავისუფალი აზრი სრულიად აშკარად ჩაკლეს. ერის განადგურება სწორედ ასე იწყება.

**- თუ მაინც ისე მოხდა, რომ აფხაზური მხარე მოლაპარაკებებზე არ წამოვიდა, როგორ პოზიციაში აღმოჩნდება ცენტრალური ხელისუფლება?**

- ეს შეუძლებელია, ისინი აუცილებლად წამოვლენ მოლაპარაკებებზე. აფხაზებს ძალიან კარგად ესმით, რომ რუსულ არეში პერსპექტივა არ გააჩნიათ და რომ მათ დამოუკიდებლობას მსოფლიოში არავინ ცნობს. მით უმეტეს, რომ 250 ათასი მოსახლე აფხაზეთიდან ძალით არის გამოგდებული. ამიტომ, პოლიტიკური პერსპექტივა, გარდა საქართველოს კონსტიტუციურ არეში ყოფნისა, აფხაზეთს არ გააჩნია და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ესმით ეს.

**- როდის შედგება სოხუმშიც ისეთივე შეხვედრა, როგორიც ახლახან ცხინვალში, კოკოითთან შედგა?**

- მომავალ წელს, მომავალ წელს.

# „სოხუმში შეხვედრის სურვილით"

თამარ ჯაჯანიძე

*"Время жить" - ასე ჰქვია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მწერლების მოთხრობების და ნოველების კრებულს, რომლებიც ერთ თემაზე, ომზეა შექმნილი. ომები, დროში გაჭიმული, მოუგვარებელი კონფლიქტები, ყოველივე ამასთან დაკავშირებული მწარე გამოცდილება და უზომო ტკივილი აერთიანებს იმ თვრამეტ ავტორს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კრებულის შედგენაში. ისინი ხუთი ლიტერატურის წარმომადგენლები არიან: აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური, ქართული და ოსური.*

**"ეს წიგნი თავისებურად მწერლების დიალოგია. აქ ისინი ერთმანეთს საკუთარ და თავისი ხალხის ტკივილს უზიარებენ, პროპაგანდას უწევენ მშვიდობას ომისა და ძალმომრეობის გარეშე. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი მკითხველებსაც გააერთიანებს, დაპირისპირებულ საზოგადოებებს დაეხმარება, უფრო კარგად გაეცნონ ერთმანეთის პრობლემებს,"** - წერენ ამ წიგნის შექმნის იდეის ავტორები, სოხუმელი მწერლები გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია წიგნის შესავალში. ეს ადამიანები მწერლებს თავიანთ ქვეყნებში სტუმრობდნენ და რუდუნებით არჩევდნენ მოთხრობებს წიგნში განსათავსებლად.

**"ამ პატარა კავკასიაში სამი დიდი კონფლიქტია გაჩაღებული: მთიანი ყარაბაღის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის. მიუხედავად ამისა, მწერლობა მაინც ცოცხლობს და თავისი რეიტინგი აქვს მთელ კავკასიაში. ამ კონფლიქტების დარეგულირების საქმეში მწერლობისა და კულტურის ჩართვა მნიშვნელოვანია. მოხდა ისე, რომ ჩვენ ომზე ბევრი დავწერეთ, მაგრამ ის მოთხრობები მტრის ხატებით და ათასგვარი სტერეოტიპებით იყო სავსე. ჩვენ ამ წიგნისთვის ისეთი მოთხრობები შევარჩიეთ, რომლებიც, მართალია, მოვლენებს არ ალამაზებს და სათქმელს ამბობს, მაგრამ ადამიანის სიყვარულს და მოწინააღმდეგის პატივისცემასაც ავლენს. ამ სულისკვეთებით გამორჩეულ ნაწარმოებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა დიდი დიალოგი იწყება. მე და ბათალმა კავკასიის მთელი სამხრეთი მოვიარეთ. შესაბამისად, ამ ტერიტორიებისთვის მოდავე მხარეებსაც ვესტუმრეთ. სადაც ვიყავი, მწერალს ყველგან აფასებენ. მაგალითად, ფაზილ ისკანდერს უამრავი მკითხველი ჰყავს აფხაზეთში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ფაქტი მკითხველებსაც აერთიანებს. თავის მწერალს რომ ნახავენ, მერე სხვებსაც ენდობიან და მათ ნაწარმოებებსაც კითხულობენ,"** - ამბობს გურამ ოდიშარია და წიგნის ერთ ეგზემპლარს ასეთ წარწერას უკეთებს: "სოხუმში შეხვედრის სურვილით." სოხუმი და მთელი აფხაზეთი ხომ თითოეული ქართველის ოცნებაა. ბატონი გურამის თქმით, დაპირისპირებულ მხარეებში ერთმანეთის შესახებ მეტის გაგების სურვილი უდავოდ იგრძნობა. წიგნის გადაშლისთანავე ისინი პირველად მოწინააღმდეგის ნაწარმოებს კითხულობენ. ფაქიზად შერჩეული ნაწარმოების დასრულების შემდეგ სულ ცოტათი მაინც უჩნდებათ ერთმანეთთან სიახლოვის განცდა. "მრისხანება - სულის სიბრმავეა," - ვკითხულობთ წიგნის პირველივე მოთხრობის პირველივე წინადადებას და მართლაც მრისხანების დაცხრომა და ერთმანეთის მიმართ ლმობიერების გაჩენაა ამ წიგნის უპირველესი მიზანი. ერთმანეთის სიძულვილში ხომ მთელი ცხოვრება გავიდა. წიგნის სახელწოდება "Время жить" ანუ "ცხოვრების დრო," ალბათ, სწორედ ამას გულისხმობს.

კავკასიური ფორუმის არასამთავრობო ორგანიზაციების, "ჰეინრიხ ბიოლის ფონდის" დაფინანსებით და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "საერთაშორისო განგაშის" დახმარებით განხორციელებული ეს პროექტი მართლაც შედეგიანი გამოდგა. კავკასიის ხალხებს ეს წიგნები უფასოდ დაურიგდებათ. წიგნის პრეზენტაციები კი გრძელდება. მოთხრობების ახალი ალმანახის გამოცემასთან ერთად, იანვარში, მწერლების მონაწილეობით ამ კრებულის კიდევ ერთი პრეზენტაცია გაიმართება, რომელსაც კვლავ "კავკასიური სახლი" უმასპინძლებს.

## გიორგი პაპუაშვილი: "ხელისუფლების ნებაა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება"

**- ბატონო გიორგი, რა მზადდება მთავრობაში აფხაზეთთან დაკავშირებით?**

- საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოზე გააჟღერა, რომ ჩვენი ამოცანაა, მისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ხელისუფლების ნებაა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანად დარეგულირდეს და ამისათვის ზეპირად კი არ ვილაპარაკოთ, არამედ კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ და გარკვეული წინადადებები შევიმუშაოთ, რომელსაც აფხაზურ მხარეს შევთავაზებთ. ამიტომ პრეზიდენტმა ამ საკითხებზე მუშაობა ყველას დაგვავალა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დავიწყეთ შეხვედრები კომპეტენტურ არასამთავრობო სექტორთან, რათა მათი და ცალკეული ექსპერტების რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. მათ მიერ მომზადებულია სხვადასხვა კონცეფცია, მაგრამ დღემდე ეს ყველაფერი ქაღალდს და თეორიულ მსჯელობას არ გასცდენია. წინა ხელისუფლებას საამისო ინტერესი არ გასჩენია და, ბუნებრივია, არასამთავრობო სექტორი მარტო ვერაფერს გახდებოდა.

დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ჩვენი ხელისუფლება სრულ შესაძლებლობას აძლევს აფხაზეთის საკითხში კომპეტენტურ ორგანიზაციებსა და პირებს, წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები და წინადადებები, რომელზეც ჩვენ ერთობლივად ვიმსჯელებთ და შეჯერებულ ოპტიმალურ ვარიანტს ჩამოვაყალიბებთ, რომელსაც აფხაზურ მხარეს შევთავაზებთ.

**- თქვენი აზრით, როგორი ხასიათის იქნება დოკუმენტი?**

- ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ აფხაზებს თავიანთი ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ. წარსულში ქექვა და ერთმანეთის დადანაშაულება არაფერს მოგვცემს. ამიტომ კონფლიქტის მოგვარებისაკენ პირველ ნაბიჯებს ქართული მხარე დგამს. ჩვენ შევიმუშავებთ და აფხაზურ მხარეს შევთავაზებთ კონკრეტულ საკანონმდებლო პაკეტს იმისათვის, რომ მათ უსაფრთხოების ასპროცენტიანი გარანტიები მიიღონ. ისინი უნდა დავარწმუნოთ, რომ ექნებათ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ყველა უფლება იმისათვის, რომ საკუთარი იდენტიფიკაცია დაიცვან.



ვახო ხალილია ფოტო

**- თუ შეიძლება ვადებზე საუბარი, საბოლოოდ რამდენ ხანში უნდა ჩამოვყალიბდეთ?**

- ზუსტი ვადების დასახელება ძნელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მუშაობა უკვე დავიწყეთ და ვეცდებით, უმოკლეს ვადაში დავამთავროთ. გასათვალისწინებელია, რომ, ჯერ ერთი, მოსალოდნელია გარკვეული დისკუსიები ქართულ საზოგადოებაში და მეორეც, უნდა დაველოდოთ არჩევნებს აფხაზეთში. მართალია, ჩვენ არ ვცნობთ ამ არჩევნებს, მაგრამ უნდა გამოჩნდეს ის პიროვნება, რომელსაც აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნდობის მანდატი ექნება და რომელთანაც მოლაპარაკებების გამართვას ვეცდებით.

ცხადია, ხელისუფლების მხარდაჭერის პირობებში, არასამთავრობო სექტორის გააქტიურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ენგურსგამოღმა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე აფხაზეთში წარმოდგენა არა აქვთ. სწორედ ინფორმაციის მწვავე დეფიციტი განაპირობებს ჩვენდამი შიშსა და უნდობლობას, რაც საბოლოო ჯამში, ძალიან გვიშლის ხელს სამშვიდობო პროცესის წარმართვაში. ამიტომ, სამოქალაქო დიალოგის დონეზე ინფორმაციის გაცვლას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

**- ჩვენ ავტონომიის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ ვსაუბრობთ, რას ნიშნავს ეს?**

- საერთოდ, სტატუსზე საუბარი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გადასაწყვეტი გვაქვს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი, მათ შორის, თვითმმართველობაც. მაგრამ, როცა ვსაუბრობთ განსაკუთრებულ სტატუსზე აფხაზეთთან მიმართებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთს ყველასგან განსხვავებული სტატუსი ექნება. ცხადია, ყველა რეგიონს ის უფლებამოსილებები უნდა მივცეთ, რაც აუცილებელია განვითარებისთვის, მით უმეტეს, აფხაზებთან დამოკიდებულებაში უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი - აფხაზთა აბორიგენობიდან დაწყებული, დღევანდელი მდგომარეობით დამთავრებული.

**- რამდენადაც ითქვა, განსაკუთრებული სტატუსი გულისხმობს საკუთარ ძალოვან სტრუქტურებს, საბაჟოს, მოქალაქეობას, ფულის ერთეულს განმასხვავებელი ნიშნით და სხვა. რამდენად გამართლებული იქნება ასეთი სტატუსი საქართველოს კონსტიტუციით?**

- არსებული კონსტიტუციით შეუსაბამობა იქნება, მაგრამ პრინციპებზე შეთანხმების შემდეგ, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა განხორციელდეს. მთავარია, ჩვენ შიგნით შევთანხმდეთ, მივიღოთ გადაწყვეტილება და მივაღწიოთ კონსენსუსს აფხაზურ მხარესთან; ამას მოჰყვება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, სადაც ჩადებული იქნება აფხაზების ინტერესების დაცვის მექანიზმები. ცხადია, შესაბამისად იქნება გათვალისწინებული დევნილი მოსახლეობის ინტერესებიც.

**- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საკითხავია, შეურიგდებიან თუ არა აფხაზეთის ასეთ სტატუსს დევნილი მოსახლეობა და შემდეგ თავად აფხაზები?**

- ასეთი კონცეფციით ყველა კმაყოფილი ვერ იქნება, ამიტომ ინიციატივა უნდა აიღოს ხელისუფლებამ, რომელსაც მოსახლეობის ნდობის მანდატი მოპოვებული აქვს. მას არ გაუჭირდება, დაანახოს დევნილ მოსახლეობას, რომ მათი ინტერესებიც გათვალისწინებულია. ასევე უნდა დავარწმუნოთ აფხაზებიც.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ მოსახლეობის ნდობის მანდატის გამოყენებით ხელისუფლებამ უნდა შეძლოს ამ წინააღმდეგობების დაძლევა.

**- ხომ არ არის მოსალოდნელი რეფერენდუმის ჩატარება?**

- სამართლებრივად რეფერენდუმი აუცილებელი არ არის, თუმცა გამორიცხული არაფერია.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# მისალოცი რუსეთიდან

*მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთის და საქართველოს პოლიტიკოსები ერთმანეთის მიმართ არცთუ თავშეკავებულ განცხადებებს აკეთებენ, არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობების ისეთი სფეროები, სადაც მეზობელი ქვეყნები ტრადიციულ ურთიერთკეთილგანწყობას იჩენენ.*
*23 ოქტომბერს ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს და ფილოლოგს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს 75 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მისალოც ბარათს, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი იური ოსიპოვი და პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ვალერი კოსტიუკი.*

"ღრმად პატივცემულო თამაზ ვალერიანის ძევ!

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულითადად გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ სწავლულს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ერთ-ერთ უდიდეს თანამედროვე ფილოლოგს, შესანიშნავ იუბილეს - დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი გზა მეცნიერებაში, თამაზ ვალერიანის ძევ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაიწყო. დაუღალავი შემოქმედებითი შრომის ხუთ ათწლეულში თქვენ განსაცვიფრებლად ბევრი რამ გააკეთეთ. ზოგადი, ინდოევროპული და ქართველური ენათმეცნიერება, ხეთოლოგია და კავკასიათმცოდნეობა - ჰუმანიტარული ცოდნის ყველა ეს დარგი თქვენ ღრმად და მრავალმხრივ აითვისეთ, ყოველ მათგანში მიაღწიეთ შესანიშნავ მეცნიერულ შედეგებს.

თქვენი ნაშრომებისთვის დამახასიათებელია უზარმაზარი ერუდიციის, მეცნიერული ამოცანების დასმაში სიღრმისა და ორიგინალურობის, მათი გაბედული და არაორთოდოქსალური გადაწყვეტის შერწყმა. ერთობ ფართო ფილოლოგიურმა ერუდიციამ შეგაძლებინათ თანამედროვე ენათმეცნიერების არაერთი საკვანძო პრობლემის, მათ რიცხვში ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის წამოწევა და ახლებურად განხილვა. ლარინგალურმა თეორიამ, რომელსაც თქვენ ხეთურ ენასთან მისადაგებით ამუშავებთ, მნიშვნელოვნად შეცვალა მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებები ინდოევროპული ფუძეენის ფონოლოგიურ სისტემაზე.

თქვენ მიერ ვიაჩესლავ ივანოვთან ერთად შექმნილმა ორტომიანმა ფუნდამენტურმა შრომამ "ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები: ფუძეენისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი" მთელი ეპოქა შეადგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, კლასიკურად იქცა ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მან მოგვცა ინდოევროპული ფუძეენის არეალური მახასიათებლების დაზუსტების საშუალება სხვა ჯგუფების ენებთან სიღრმისეულ გენეტიკურ შეჯერებათა ფონზე, დასაბამი მისცა ლინგვისტების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების, კულტურის ისტორიკოსების ფართო და ნაყოფიერ დისკუსიას ინდოევროპელთა ფუძესამშობლოს ლოკალიზაციის საკითხში.



მსოფლიოს სამეცნიერო თანამეგობრობამ მაღალი შეფასება მისცა თქვენს წვლილს თანამედროვე მეცნიერებაში. თქვენ არჩეული ხართ რამდენიმე მაღალავტორიტეტული სამამულო და საზღვარგარეთული აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრად, რომელთა შორისაა რუსეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიები, ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა აკადემიები. თქვენ ბრძანდებით ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, დაჯილდოებული ხართ ლენინური და ჰუმბოლტის პრემიებით, ივანე ჯავახიშვილის პრემიით.

ღრმად პატივცემულო თამაზ ვალერიანის ძევ, რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრიობა დიდად აფასებს თქვენს ვაჟკაცურ მოქალაქეობრივ პოზიციას, წესიერებასა და დემოკრატიული იდეალების ერთგულებას.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გისურვებთ თქვენ, ძვირფასო თამაზ ვალერიანის ძევ, ჯანმრთელ სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით აღმასვლასა და უშრეტ ენერგიას მშობლიური მეცნიერების სასიკეთოდ, რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განსამტკიცებლად".

# გამოხმაურება

გვინდა "24 საათის" 27 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ ბატონ ირაკლი ბერიაშვილის წერილს "ჯეოფარსს" გამოვეხმაუროთ, რომელსაც ადვილად შეუძლია საკითხში გაურკვეველი მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს.

ხსენებული წერილი კომპანია "ჯეოსელის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას "ჯეოსტარს" ეხებოდა, სადაც ავტორი ორგანიზატორებს ბრალდებებს უყენებს. ვსარგებლობთ შემთხვევით და მკითხველებს და განსაკუთრებით ბატონ ირაკლის, რომელიც არ არის გამორიცხული რომ ამ ღონისძიების შესახებ არასწორად არის ინფორმირებული, ერთხელ კიდევ განვუმარტავთ "ჯეოსტარის" არსს და მიზანს.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ "ჯეოსტარს" პირობითად შეიძლება ვუწოდოთ კონკურსი, რადგან აქ არ არსებობს დამარცხებული. "ჯეოსტარის" რვავე მონაწილე უკვე გამარჯვებულია და ნებისმიერ მათგანთან ისეთი სიტყვების ხმარება, როგორიც არის დაჩაგრული, წაგებული ან კონკურსიდან გამოთიშული, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ეს სიტყვები "ჯეოსტარის" მონაწილეებს ძალიან ეხამუშებათ, რადგან თითოეულ მათგანს თავიდანვე სწორად ჰქონდა აღქმული კონკურსის მთავარი არსი - ყველანი "ჯეოსტარელები" და გამარჯვებულები არიან.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი კონკურსში მონაწილე 4 ათას მსურველს შორის პროფესიული ჟიურისა და მკაცრი ტურების შემდეგ შეირჩნენ და რვავე მათგანს მთელი ამ ხნის მანძილზე პროფესიონალებთან ურთიერთობის, ფილარმონიის დიდ სცენაზე დგომის უნიკალური შანსი მიეცათ, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ რვავე მათგანი უკვე გამარჯვებულია.

ავტორი, ასევე, გვადანაშაულებს იმაში, რომ თითქოსდა ჩვენი კომპანიის მხრიდან კონკურსის რამდენიმე პირობა არასწორად იყო მოფიქრებული. ბატონი ირაკლი ღონისძიების იმ წესს გულისხმობდა, როცა "ჯეოსტარის" უკანასკნელ ტურებში, მისივე სიტყვებით, "ჟიურის პროფესიული არჩევანის უფლება წაერთვა" და ის მთლიანად მსმენელს, მაყურებელს გადაეცა. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს ჩვენი მოგონილი, მით უმეტეს, დაწესებული პირობა არ არის. "ჯეოსტარი" არის ლიცენზირებული პროექტი, რომლის წესების შეცვლის ან გადახვევის უფლება ჩვენს კომპანიას არ ჰქონდა. მეტიც, როგორც წესი, ასეთი თვითნებობები ლიცენზიის გამცემი ორგანიზაციის მხრიდან მკაცრად ისჯება (საჯარიმო სანქციებიდან დაწყებული ლიცენზიის ჩამორთმევის უფლებით დამთავრებული). ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ს ან სხვა ნებისმიერ არხს, "ყველაზე ჭკვიანის", "ხალხის პირისპირისა" და სხვა მსგავსი შოუების თამაშის წესები დაუწუნო და ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას უსაყვედურო, ეს ყველაფერი არასწორად მოგიფიქრებიათო.

"ჯეოსტარის" მსგავსი ღონისძიება მსოფლიოს 22 ქვეყანაში თითქმის ყოველ წელს ტარდება და მათ რიცხვს წელს საქართველოც შეემატა. კომპანია "ჯეოსელმა" ამ ღონისძიების ჩატარების უფლება და ლიცენზია წელს ხანგრძლივი პროცედურების გავლის შემდეგ მოიპოვა.

ხსენებული წერილის ავტორის შეფასებით, "ჯეოსტარმა" ჩაისვარა, შესაძლოა, ეს მისი პირადი აზრია, რომლის შეზღუდვის უფლება ბუნებრივია, არავის არა აქვს, მაგრამ, ალბათ, მან არ იცის, რომ ამგვარი შეფასებით შეურაცხყოფა მიაყენა და გული ატკინა "ჯეოსტარელებს". ისინი ამ ტიტულით ძალიან ამაყობენ და ყველას ვთხოვთ, ნუ გააუფასურებენ და ნუ დააკნინებენ მათ სახელს.

**P.S.** დარწმუნებულები ვართ, ავტორი რადიკალურად შეცვლის საკუთარ მოსაზრებას "ჯეოსტართან" დაკავშირებით, თუკი ის პირადად გაესაუბრება ამ ღონისძიების ნებისმიერ მონაწილეს. თითოეული მათგანის შეფასებით, "ჯეოსტარმა" მათ შემოქმედებით ცხოვრებაში სერიოზული გარდატეხა შეიტანა.

**კომპანია "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

## შპს "კინოთეატრ "თბილისის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% სახელმწიფო წილის პრივატიზებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გაზეთ "24 საათის" 2004 წლის 22 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შპს "კინოთეატრ "თბილისის" პრივატიზებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული განცხადების საკონკურსო პირობების მე-3 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში კინოთეატრის ინტერიერისა და ექსტერიერის თანამედროვე დონეზე მოწყობა, ციფრული "დოლბის ფორმატის" ხმისა და უმაღლესი ხარისხის საპროექტო აპარატურის დამონტაჟება, ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანა, რისთვისაც მყიდველმა უნდა განახორციელოს არანაკლებ 200000 ლარის ინვესტირება.

## სკანვორდი




1. ვაზით გადახურული საჩრდილობელი; 2. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ქალი; 3. მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა; 4. სცენაზე წარმოსადგენი დრამატული ნაწარმოები; 5. უღვთო, ურჯულო მუსლიმანთა გაგებით; 6. რუსი სატირიკოსი მწერალი; 7. ესპანური ღვინო; 8. ჯ. ვერდის ოპერა; 9. თურქი ქვეითი ჯარისკაცი; 10. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა; 11. რისამე სისწორის საზომი; 12. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე; 13. უცხო ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი; 14. არწივის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავი; 15. კ. მარჯანიშვილის ფილმი; 16. ერთგვარი დარტყმა კრივში; 17. თეატრისა და კინოს ინგლისელი ქალი; 18. თეატრის საბჭოთა, რუსი მსახიობი; 19. ოპტიკური მინა; 20. ქართველი ძიუდოისტი, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი; 21. უკუსვლა, დეგრადაცია; 22. ფინური აბანო; 23. შიგაწვის ძრავის მოძრავი ცილინდრული ნაწილი; 24. პერსონაჟი რომანიდან "განკიცხულნი"; 25. "ჩელსის" ფრანგი ნახევარმცველი; 26. მსახურთუფროსი ძველად; 27. ლიტვის საკალათბურთო კლუბი; 28. მრავალწლიანი დეკორატიული მცენარე; 29. წვრილბურჟუაზიული ანტიმარქსისტული პარტიის წევრი; 30. ნეპალის დედაქალაქი; 31. ვულკანიდან ამოფრქვეული გამდნარი მასა; 32. სასწავლო ოთახი; 33. უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე; 34. პირისპირ მჯდომი.

## TV პროგრამა

29 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** დოკ. ფილმი "დალაილამა თავისუფლების ტყვეობაში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "არ დაიდარდო" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი "საიდუმლო პოლიციელი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ბაგერ ვანსის ლეგენდა" (გ) (უილ სმიტი) **01.55** პატრული

### პირველი არხი

შესაძლებელია ცვლილებები **08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "პარალელური სამყაროები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **12.20** ანიმაციური ფილმები **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემს გულში"- **15.00** "მთავარი" - სომხურ ენაზე **15.30** "რაციო" **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - "იფის ციხე-სიმაგრე" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ -"სენტიმენტალური ბედი" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "სიმართლე ტროას შესახებ" **23.00** "ახალი პროექტი" **23.30** მხ. ფილმი "გახსოვდე" (გ) **01.15** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "რეკეტი" (გ)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" მე-3 ს. **19.45** ანიმ. სერიალი "კლიფორდი" მე-3 ს. **20.15** "ბაბილინა" **20.30** დოკ. ფილმი **21.20** "მრწამსი" (ორშაბათის) **21.45** "სარჩევი" **22.40** "გზაჯვარედინი" (ორშ.) **23.10** კინოსეანსი

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "27 დრაკონი" **12.20, 17.10, 04.30** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 04.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "სენტიმენტალური მკვლელი" (გ) (მ. დაკასკოსი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 03.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "27 დრაკონი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი "სიყვარული იარაღია" (18) (კ. პრესტოუნი) **01.50** მხ. ფილმი "სინანული" (გ) (ი. აჯანი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** ფილმი-ზღაპარი "თოვლის დედოფალი" **10.40** დოკ. ფილმი "ზღვის ეშმაკები" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** მუს. კომედია "ჩვეულებრივი სასწაული" 1 ს. **13.00** მხ. ფილმი "დიდი ქურდობა" **14.45** მხ. ფილმი "გახსოვდეს" **16.35** მულტსერიალი **17.45** პანტომიმის თეატრი "სტუმარ-მასპინძელი" **18.50** მხ. ფილმი "აი, პოლიც..." **20.15** მუსიკა **21.00** მისტიკური თრილერი "სიჩუმის აღთქმა" **22.25** მუსიკა **23.00** "ზღვარი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** სათავ. ფილმი "ტოსკანიის მზის ქვეშ"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "სიყვარულის სიმწარე" (გ) **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "სიჩქარის წყურვილი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**18.00** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) 1-ლი ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "სისხლის მოგონება" (15)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.10** Новости. **09.20** Худ. фильм **"УЗКИЙ МОСТ". 2**-я серия. **10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Документальный детектив. "Банда с собачкой". Дело 2004 г. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Худ. фильм **"ДНИ АНГЕЛА". 2**-я серия. **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.10** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Худ. фильм **"УЗКИЙ МОСТ". 3**-я серия. **22.40** Алексей Булдаков в комедии **"ОСОБЕННОСТИ НАЦИОНАЛЬНОЙ ОХОТЫ В ЗИМНИЙ ПЕРИОД" 00.20** Том Скерритт в боевике **"ЧУЖОЙ"**. **02.30** Лесли Нильсен в комедии **"НЕИСТРЕБИМЫЙ ШПИОН" 04.00** Остросюжетный сериал **"МОНСТРЫ"**. **04.50** "Брачные игры животных". Часть 6-я. Закл. программа.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ВРЕМЯ - ДЕНЬГИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **10.55** Пол Хоган в приключенческом фильме **"ФЛИППЕР" 13.35** Мелодрама **"ЦЫГАН". 3**-я серия. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** "Жена Сталина Надежда". **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.35** Премьера. **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..." "САМЫЙ ЛУЧШИЙ ПРАЗДНИК". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Страна и мир" **22.40** Вера Глаголева в фильме **"НОЧЬ ВОПРОСОВ" 01.05** Федор Бондарчук в комедии **"ДАУН ХАУС" 02.40** Бильярд. **03.05** Коллекция Национального географического общества. "Красавица и чудовище". **04.10** Сериал **"ОДИССЕЯ-5". 04.55** Детективный сериал **"10-8". 05.35** Чрезвычайное происшествие.

# შეიძლება თუ არა, თანაგრძნობა და სინდისი კუნთებივით გაივარჯიშო?

## არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჰიმალაის ჩრდილში

B3 გვერდიდან

თუ არა ადამიანის ტვინს, ცვლილება განიცადოს არა მხოლოდ გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, არამედ წმინდად შინაგანი მენტალური სიგნალებითაც. და სწორედ მაშინ გაახსენდათ ბუდისტები მედიტაციის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით. გადაწყდა, რომ მათზე ექსპერიმენტის სახით შემოწმებულიყო, შეუძლია თუ არა აზრს, ასე ვთქვათ, წმინდა სახით არსებულს, შეცვალოს ტვინის ფიზიკური ნივთიერება.

**"ნევროლოგიის ყველა კონცეფციას შორის მხოლოდ ნევროპლასტიკას აქვს ბუდიზმთან გონიერი ინტერაქტივობის პოტენციალი"**, - ირწმუნება ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორი, ნევროლოგი რიჩარდ დევიდსონი. სწორედ მისი ინიციატივით დათანხმდა დალაი-ლამა, მეცნიერების "დროებით მფლობელობაში" გადაეცა ბუდისტი ბერების ტვინები.

ინტერაქტიულობის შედეგები კი მეცნიერებმა და ბერებმა აღწერეს ნოემბერში გამოცემულ, ამერიკის შეერთებული შტატების "ნაციონალურ მეცნიერებათა აკადემიის შრომებში". ამ შედეგებს "უოლ-სთრით ჯორნელის" ინტერპრეტაციით შემოგთავაზებთ.

მეცნიერების თანდასწრებით მედიტაციით დაკავებული ბუდისტი ბერების რეაქცია მათი ტვინის სკანირებით ფიქსირდებოდა. მეცნიერები მედიტაციის პროცესში ადარებდნენ ახალბედა მოხალისეთა და იმ ბერების ტვინებს, რომლებსაც მედიტაციაში, სულ ცოტა, 10 ათასი საათი მაინც აქვთ გატარებული. ახალბედებსაც და მედიტაციაში ჭიპმოჭრილებსაც ასეთი დავალება მიეცათ - გაეკეთებინათ ეგრეთ წოდებული "თანაგრძნობის მედიტაცია", რომელიც საყოველთაო სიყვარულისა და სიკეთის გრძნობას აღვიძებს. ბუდისტი ბერის მეთიუ რიკარდის თქმით, რომელსაც, სხვათა შორის, გენეტის დოქტორის ხარისხიც აქვს: **"ჩვენ, ბერები, ვცდილობდით ისეთი მენტალური მდგომარეობის გენერირებას, როდესაც თანაგრძნობა მთელ გონებას მოიცავს და ადგილს არ უტოვებს სხვა გრძნობებს"**.

და, აი, რა დააფიქსირა სკანირებამ. ბერებს, რომლებსაც მედიტაციის უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდათ, ექსპერიმენტის დროს "დრამატულად" გაუძლიერდათ მაღალი სიხშირის აქტივობა (ეგრეთ წოდებული გამა-ტალღები). გამა-ტალღები უმაღლესი ნერვული სისტემის აქტივობის მაჩვენებლად ითვლება, რომელიც, ასე ვთქვათ, ძაბავს ტვინის იმ უბნებს, რომლებიც პასუხს აგებენ უძლიერეს მენტალურ დატვირთვაზე - შემეცნებაზე. რაც შეეხება ახალბედა-მოხალისეებს, მათთან გამა-ტალღების აქტიურობამ უმნიშვნელო ზრდა განიცადა. პროფესორ დევიდსონის თქმით: **"გამოცდილი ბერების გამა-ტალღების აქტივობის ძალამ ისეთ ზღვარს მიაღწია, როგორიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ დაფიქსირებულა. ეს კი მოწმობს იმას, რომ მენტალურ ტრენინგს შეუძლია ტვინში შემეცნების უფრო მაღალი დონის გამოწვევა"**.

სკანირების საშუალებით მეცნიერებმა შეძლეს ტვინის იმ უბნების იდენტიფიცირება, რომლებიც თანაგრძნობის მედიტაციის პროცესში მეტ აქტივობას იჩენდნენ. თითქმის ყველა შემთხვევაში ეს აქტივობა ფიქსირდებოდა ბერებთან და არა ახალბედა-მოხალისეებთან. რაც მთავარია, აქტივობა ფიქსირდებოდა მარცხენა ნახევარსფეროს პროფრონტალურ ნაწილში, სადაც დადებითი ემოციები ბუდობენ. მაგალითად, ბედნიერების შეგრძნება. ეს აქტიურობა თითქოს თრგუნავდა მარჯვენა ნახევარსფეროს მოქმედებას, რომელიც ნეგატიურ ემოციებს, მაგალითად, შიშის გრძნობას იტევს. და ეს ყველაფერი ხდებოდა შინაგანი და არა გარე ძალების ზემოქმედებით, ანუ მხოლოდ და მხოლოდ აზრობრივი პროცესის გავლენით. ზრდადი აქტივობა მეცნიერებმა ტვინის იმ ნაწილშიც დააფიქსირეს, რომელიც განცდის დროს იწყებს მოქმედებას. იგივე შეიმჩნეოდა ტვინის "მოქმედების დამგეგმავ" უბნებზე, თითქოს ბერები განსაცდელში ჩავარდნილის დასახმარებლად ილვწოდნენ.

"უოლ-სთრით ჯორნელი" წერს, რომ დალაი-ლამას რეზიდენციაში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები **"აჩვენებენ იმის უზარმაზარი შესაძლებლობების არსებობას, რომ სხეულის სხვა ნაწილების მსგავსად, ტვინიც შეიძლება განზრახ, მიზანმიმართულად შეცვალო. როგორც აერობიკა აძლიერებს და აყალიბებს მუსკულატურას, ასევე გონებრივი ვარჯიში აყალიბებს ნაცრისფერ ნივთიერებას. მაგრამ, ეს არის პროცესი, რომლის შესწავლა მეცნიერებმა მხოლოდ ახლა დაიწყეს"**.

მეცნიერთა ეს შრომა ვინმეს იქნებ დაგვიანებულად, მეტიც, აღმოჩენად კი არა, უბრალოდ, ისედაც ცნობილი რამის კონსტატირებად მოეჩვენოს. სხვას კი არამეცნიერულად მოეჩვენება იმის მტკიცება, რომ ჰიმალაის მთების ჩრდილში ჩატარებული ექსპერიმენტის მსგავს, ოღონდ გაცილებით მასშტაბურ ცდას უკვე ჰქონდა ადგილი - კომუნიზმისა და ნაციზმიის იდეების მილიონობით ადამიანისთვის ინდოქტრინიზაციის სახით. და რას იტყვით თანამედროვე ტელევიზიაზე, ძალადობითა და სექსით რომ არის გაჯერებული? სად შეაგროვებს კაცობრიობა ბუდისტ ბერებს, რომ მათ სიკეთე თესონ? შეიცვლებოდა კი კაცობრიობის ისტორია, სტალინს, ჰიტლერს, სადამ ჰუსეინს, ბინ ლადენსა და მათ მსგავსთ ტვინის მარცხენა და არა მარჯვენა ნახევარსფეროს უბნები რომ ევარჯიშებინათ? და კიდევ...

მედიტაციის პროცესში ბუდისტი ბერების ტვინში გაძლიერებული თანაგრძნობა და განსაცდელში მყოფის დახმარების სურვილი მათი ტვინის ნახევარსფეროში მაინც ვერ დაიბადებოდა, მათ რომ ცხოვრებისეული (ანუ გარე ფაქტორებზე დამყარებული) გამოცდილება არ ჰქონოდათ, არასოდეს ენახათ, არ განეცადათ ან, სულაც, არაფერი სმენოდათ ადამიანურ განცდებსა და გასაჭირზე. დაბოლოს, მეცნიერების ისტორია კარგად მეტყველებს იმაზე, რომ მისი აღმოჩენები და მიღწევები ორგვარად შეიძლება იქნას აღქმული. ამ აზრს ვერც ამერიკელი ნევროლოგების ახალი აღმოჩენა გააქარწყლებს. ეს მხოლოდ ლექსებში შეიძლება იყოს ასე მარტივად საქმე:

ჰეი, ვინ ფიქრობს მანდ მარჯვენა ნახევარსფეროთი?
მარცხენა!
მარცხენა!
მარცხენა!

**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმი" აცხადებს კომერციულ კონკურსს საზოგადოების კაპიტალში რიცხულ, ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ.N 42-ში მდებარე შენობის:**

1) I სართულის თავზე, ანტრესოლში განლაგებული 3 ოთახის (საერთო ფართი 45 მ2),
2) II სართულზე განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 36 მ2),
3) II სართულზე განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 33,6 მ2),
4) III სართულზე განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 14 მ2),

**იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:**

საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს .

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:**

მეიჯარე: **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმი"**

მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42**

ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი საკონკურსო ფასი შეადგენს :

5) I სართულის თავზე, ანტრესოლში განლაგებული 3 ოთახის (საერთო ფართი 45 მ2) = 1 მ2 - 1.8 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით;
6) II სართულზე განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 36 მ2) = 1 მ2 - 2.8 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით;
7) II სართულზე განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 33,6 მ2) = 1 მ2 - 2.8 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით;
8) III სართულზე განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 14 მ2) = 1 მ2 - 5.7 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით;

წინასწარ შესატანი "ბე" შეადგენს - პოტენციური მოიჯარის მიერ შერჩეული ოთახის სრული თვიური საიჯარო ღირებულების (საწყისი ფასი გამრავლებული კვადრატულ მეტრზე) 10 პროცენტს.

**ოთახების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობების :**

■ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ნებისმიერი საქმიანობის წარსამართავად, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ხელს არ შეუშლის საქინფორმის საქმიანობას.

■ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა თავის თავზე უნდა აიღოს იჯარით აღებული ოთახის ელექტროენერგიის ხარჯის აღმნუსხავი მრიცხველის დაყენება და კომუნალური გადასახადების გადახდა.

■ საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმების გადახდის გარეშე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 12 საათიდან - 15 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.

კონკურსი გაიმართება **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმის"** შენობაში 2005 წლის 31 იანვარს, 15 საათზე.
მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42, IV სართული**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია :

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა, აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
3. შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმის" ანგარიშზე - **(ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი** კოდი : **220101502** საანგარიშსწორებო ანგარიში **N 021467320**, შპს საქინფორმი) "ბეს" შეტანის ქვითარის;
4. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება, მყარი ფინანსური გარანტიები და კონკურენტზე უკეთესი კომერციული წინადადება. თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი კომერციული წინადადების პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული ან დაახლოებული იქნება მედიასთან.

ცნობებისათვის დარეკეთ 899 988 131:

**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმი"**




**მიმდინარეობს კავშირ „იდეა-ცენტრის“ ლიკვიდაცია, დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 33-25-26**

## ყურადღება!

სასწრაფოდ იყიდება ძალზე კარგ მდგომარეობაში 1991 წლის "ოპელ ომეგა - უნივერსალი" (ფურგონი) CD - ბრილიანტი. სრული ელექტროპაკეტი, კომპიუტერი, ძრავა 2.0. შინდისფერი. ფასი 4000 დოლარი. ტელ: 899 111616; დათო.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.